

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო

*Sub-department of Ajara Autonomous Republic Government-
Archives Administration*

ISSN 2233-3541

ს რ ბ ე ი მ ბ ი
A R C H E I O N
XV

თბილისი 2018 Tbilisi

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: მაია იგანიშვილი

რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე

სარედაქციო საბჭო:

თეონა იაშვილი (თბილისი), სოსო სტერუა, ბესი ბაუჩაძე, ანზორ თხილაძე, ელგუჯა გოგიძერიძე, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო ქიქავა, ოთარ გოგოლიშვილი (ბათუმი), მერაბ კეზევაძე (ქუთაისი), ციური ქათამაძე, ირაკლი ბარამიძე

Maia Ivanishvili – chairman of editorial board

Tamaz Putkaradze - editor

Editorial Board:

Teona Iashvili (Tbilisi), Soso Sturua, Besik Bauchadze, Anzor Tkhilaishvili, Elguja Gogiberidze, Elguja Chaganava, Maia Rurua, Fridon Kardava, Nato Kikava, Otar Gogolishvili (Batumi), Merab Kezevadze (Kutaisi), Tsiuri Katamadze, Irakli Baramidze.

ერებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებებს.
ავტორების სტილი დაცულია.

Any opinion expressed in the book belongs to the author and may not reflect the view of the editorial board.

Authors' style reserved

**აჭარის საარქივო სამმართველო, ტელეფონი: 27 52 10
ვებ გვერდი: <http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=2>**

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2018

თბილისი, 0179, გ. ვაკევიძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com;

თამაზ ფუტკარაძე ქეთევან ფუტკარაძე

ფლობის პრინციპების გადამდინარების შესაბამისი მაღალი განათლების და კულტურის გაცვლა პუმანიტარულ მეცნიერებებში: ეკოლოგიური მდგრადი მოვლენი, XVIII მეორე ნახევარი - XXI საუკუნე“ ფარგლებში (H2020-MSCA-RISE-2016, № 734645 – KEAC-BSR).

ნაშრომი ქვეყნდება მ. სკლოდოვსკა-კიურის სამეცნიერო ფონდის (უკრავშირი) სამეცნიერო გრანტის „ცოდნისა და აკადემიური კულტურის გაცვლა პუმანიტარულ მეცნიერებებში: ეკოლოგიური მდგრადი მოვლენი, XVIII მეორე ნახევარი - XXI საუკუნე“ ფარგლებში (H2020-MSCA-RISE-2016, № 734645 – KEAC-BSR).

ქართველ ხალხს ოდითგანვე საზოგადოებრივი მდგომარეობის შესაბამისი მაღალი განათლების და კულტურის პქონდა, რასაც განაპირობებდა:

1. ქვეყნის განვითარება საკუთარ საგანმანათლებლო და კულტურულ ტრადიციებზე (ფაზისის რიტორიკული სკოლა, გელათის, იყალონსა და გრემის აკადემიები, მტკვარ-არაქსის, თრიალეთის, კოლხური კულტურა);

2. ქველი აღმოსავლეთის (შუამდინარეთი, სპარსეთი) კულტურულ კურებთან, მოგვიანებით კი ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან სიახლოებები. ქართული კულტურა ითვისებდა მათი განათლების და კულტურის ელემენტებისაც, რამაც განაპირობა მისი უფრო მაღალ კულტურული განვითარება, ვიდრე მის ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხებისა;

3. გეოგრაფიული მდებარეობა. საქართველოზე გადიოდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლების დამაკავშირებელი (დიდი აბრეშუმის) გზები, რაც ხელს უწყობდა იმჟამინდელი მსოფლიოს კულტურული თუ სამეცნიერო ტრადიციების გაცნობას, დასავლური და აღმოსავლური განათლების ელემენტების შერწყმას. ცხადია, კულტურის და მეცნიერების განვითარება უპირატესად ქართულ ტრადიციებს ეყრდნობოდა.

ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარება აღმაგალი ხაზით ვითარდებოდა უძველესი დროიდან (ძვ.წ.აღ. XII-XI საუკუნეებიდან) განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების პირობებში (XII-XIII საუკუნეების ჩათვლით). შემდგომ პერიოდში გარეშე მტერთა აგრესიულმა მოქმედებებმა და დაპყრობითმა ომებმა (მონგლები, ხვარაზმელები, თემურ ლენგის შემოსევები, ირანელები, ოსმალები) შეაფერხა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება, რაც აისახა განათლებასა და მეცნიერებაზეც.

საუკუნეების განმავლობაში ცოდნის გაცვლა-გადაცემის პროცესი საქართველოში წააწყდა გარკვეულ სირტულეებს, რაც მძიმე ისტორიული პროცესებით იყო განპირობებული. მე-18 ს. მეორე ნახევრიდან, ერეკლე მეორის მმართველობის ხანაში ქვეყანაში არსებულმა შედარებითმა სიმშევიდემ განაპირობა კულტურისა და მეცნიერების გამოცოცხლება. კიდევ უფრო ცხადი გახდა გეოპოლიტიკური მდგომარეობით განპირობებული საქართველოს მნიშვნელობა საგაჭრო-ეკონომიკური კავშირულოეთობების შემდგომი განვითარებისათვის. ეს მნიშვნელობა გააზრებული პქონდა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებასაც, რაზეც მეტყველებს ბათუმის თლექის სა-

ფაპრიკო ინსპექტორის სვიშევსკის ჩანაწერები ბათუმის გზით ინდოეთ-ეპროპის სავაჭრო გზის განვითარების პერსპექტივების შესახებ (რუსეთის (პეტერბურგი) სახელმწიფო-ისტორიული არქივი (შემდგომში რსია), ფ. 23, ან. 19, ს. 308). საბუმებისმეტყველო, ტექნიკური და შესაბამისად პუმანიტარული დარგების განვითარებამ ერთგარად შეუწყო ხელი ცოდნისა და სამეცნიერო ინფორმაციის დაგროვებას. შესაბამისად, გაიზარდა სამეცნიერო ცოდნის მრავალფეროვნება. ყოველივე ამან განაპირობა ცოდნის ინსტუტიციონალური ფორმების ცვლილებები. ნელ-ნელა მნელდება დაგროვილი სამეცნიერო ინფორმაციის ფლობა, რაც ასე აუცილებელი და საჭიროა სამეცნიერო კვლევებისათვის. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ცოდნის დიფერენციაციისა და გაცვლის აუცილებლობა, საეციალიზაცია, კვლევების წარმოება ცალკეული დარგების მიხედვით. ცხადი გახდა, რომ დაგროვილი ცოდნის გაცვლა-გადაცემა, მისი ეფექტური გავრცელება სარგებლობის მომტანი იყო მომავალი სემეცნიერო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის თვალსაზრისით. ცოდნის გაცვლა არსებითად ხელს უწყობდა სამუშაო დროის ეფექტურ გამოყენებას, საინფორმაციო ნაკადის ოპტიმიზაციას,, ეკონომიკურ სფეროში ამცირებდა ფინანსურ დანახარჯებს და ზრდიდა წარმოების რენტაბელობას. აღნიშნული ფაქტორების გამოყენება ქმნიდა ე.წ. „ტრანზაქციურ“ მეხსიერებას, რაც მეცნიერებს აძლევდა შესაძლებლობას ჰქონიდათ გარკვეული ცოდნა შესაბამისი ეპოქის სამეცნიერო მიღწევების შესახებ (A. Сергеев, 2013:3).

ზოგადად, ცოდნის გაცვლა ხორცილებებოდა სხვადასხვა ფორმით, საკუთრივ:

1. ზეპირი მეტყველება;
2. ქართული სუფრა;
3. ლიტერატურული სალონები;
4. წიგნი, ხელნაწერი;
5. მიმოწერები, წერილები;
6. მკვლევართა მოგზაურობები;
7. ეროვნულ დისციპლინებზე ორიენტირებული თანამეგობრობები, სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება;
8. სხვადასხვა ტიპის მეცნიერთა ასოციაციები;
9. სამეცნიერო კადრების მომზადება.

ცოდნის გადაცემის ერთ-ერთი გზა იყო ზეპირი მეტყველება. სშირად მკვლევარები ამა თუ იმ ამბების აღწერისას ემყარებიან თვითმხილველთა ზეპირ მონათხოობს ან გადმოცემებს. ამ მხრივ საინტერესოა XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის და პოლიტიკური მოღვაწის, სამეფო კართან დაახლოებული პირის პაპუნა ორბელიანის მოღვაწეობა. მას ეკუთვნის ისტორიული თხზულება „ამბავი ქართლისანი“, რომელიც ეხება 1739-1758 საქართველოს ისტორიას და წარმოადგენს სესხის ნაშრომის გაგრძელებას. ორბელიანი გადმოგვცემს თვალით ნანახ ან „სარწმუნო კაცთა მონათხობ“ ფაქტებს, ემყარება სანდო წყაროებს. მისთვის არ არის უცხო პროფიდენციალიზმის იდეები, ზოგიერთ შემთხვევაში იგი ქვეყნის მარცხს ცოდვათა სიმრავლით ხსნის (მაგ. აჯი-ჩალაბისაგან ქართველ მეფეთა და-მარცხებას 1752 წელს).

ქართველები ცდილობდნენ მომავალი თაობებისათვის გადაეცათ დაგროვილი ცოდნა, ჩაენერგათ შემწყნარებლობის, ტოლერანტობის, მშვიდობიანობისაკენ მისწრაფების გრძნობები. უველაზე უფექტური ამ თვალსაზრისით იყო ქართული სუფრა, როგორც ზეპირი მეტყველების ფორმით ცოდნის გადაცემის ერთ-ერთი გზა. როგორც ცნობილია, აღრე სწავლება არ იყო უველასათვის ხელმისაწვდომი. არ არსებობდა ან ძალზე ცოტა იყო სკოლები. ამიტომ ქართული სუფრა ადრიდანვე იქცა ახალგაზრდობის აღზრდის, ცოდნის გადაცემისა და გაცვლის ერთ-ერთი უველაზე უფექტურ საშუალებად. ქართულ სუფრას კი ოდითგანვე მიიჩნევდნენ აკადემიად. პურობის დროს უფროსებთან ერთად სუფრას ესწრებოდნენ ბავშვებიც. სუფრაზე იხილებოდა საქვეყნო საქმეებიც კი, ამასთან თამადისა და სუფრის წევრების მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოებში გამოხატული იყო სამშობლოს ისტორია, კულტურისა და მეცნიერების მიღწევები. სუფრაზე აუცილებლად ითქმებოდა სამშობლოს სადღეგრძელო, რომელშიც თამადა მოკლედ მიმოხილავდა ქვეყნის ტრაგიკულ ისტორიას.

სადღეგრძელოები ზოგჯერ ლექსადაც წარმოითქმება, რაც საშუალებას აძლევდა მოზარდს თუ სუფრის ნებისმიერ მონაწილეს მიეღო გარკვეული ცოდნა მხატვრული ლიტერატურის თუ ხალხური პოეზის შესახებ. ხალხურმა შემოქმედებამ ამ თვალსაზრისითაც გამოხატა ქვეყნის კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი საზოგადოებისა და ხალხის დამკიდებულება.

ქართული სუფრა უშუალოდაა დაკავშირებული პარლამენტარიზმის სათავეებთან. მსოფლიოს არც ერთ სასუფრო კულტურაში არ არსებობს იმდენი რიტუალური დამოკიდებულება, რამდენიც საქართველოში. ქართულ ლინის უზომო აღტაცებაში მოუყვანია უცხოელი მოგზაურები, მისიონერები, მწერლები და პოეტები (სოლომონ თეზელაშვილი; 2000:2), ხოლო კომუნისტების მმართველობის პერიოდში იგი გარკვეულწილად საბჭოურ ეტიკეტადაც იქცა

ნიშანდობლივი ის ფაქტი, რომ საქართველოში მყოფი უცხოელები ერთის მხრივ პოპულარიზაციას უწევდნენ ქართული სუფრის ტრსდიციებს, ამავე დროს სთავაზობდნენ ევროპული მიღწევების ათისებასაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ფრანგი ქალბაზონის ჟერვეს წინადადება. იგი სთვაზობდა ქართველ მელვინეებს ტრადიციულ წესებთან ერთად აეთვისებინათ დვინის დაყენების ფრანგული მეოთხი (რსია, ფ. 398, ან. 81, ს. 15107).

მე-19 ს. დასაწყისში ცოდნის გაცვლა-გადაცემა საქართველოში ხდებოდა ლიტერატურული სალონების საშუალებითაც. სტუმართმოცვარეობით განთქმული აღ. ჭავჭავაძის ოჯახი მაშინდელი საქართველოს მოწინავე აზრისა და კულტურის ერთ-ერთი მთავარი კერაც იყო. რუსეთისა და დასაცლეთ ევროპის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე, ვისაც კი საქართველოში ყოფნა უხდებოდა, უპირველეს ყოვლისა, აღ. ჭავჭავაძის სახლში ეცნობოდა ქართველი ერის ისტორიას, მწერლობას, მიღწევებს კულტურისა და მეცნიერების სფეროში. მის სახლში გამუდმებით იკრიბებოდნენ ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენელები, იმართებოდა ლიტერატურული სადამოები, თეატრალური წარმოდგენები, დისკუსიები.



ლექსანდრე ჭავჭავაძე

1831 წლის გაზაფხულზე ორბელიანი შეთქმულთა ფარული ორგანიზაციის წევრი გახდა. მისი ბინა შერჩეული იყო წვეულების აღგილად, სადაც უნდა დაეხოცათ სახმედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელენი. შეთქმულების გაცემის შემდეგ მ. ორბელიანს დაუწესეს მკაცრი პოლიტიკური მეთვალყურეობა.



მაიკო ორბელიანი

კომუნიკაციის არსებულ სისტემებს. „მასწავლებელი-მოსწავლის“ ერთობლიობით უზრუნველყოფილი იყო მასწავლებლიდან მოსწავლეზე ცოდნის გადაცემა და კვლევა-ძიების უნარების (ჩვევების) ჩამოყალიბება. ტრადიციულ ქართულ საზოგადოებრივ აზრში მკვიდრდებაოდა ევროპული განმანათლებლური იდეები, რაც გამოიხატა ალექსანდრე ამილახვარის („ბრძენი აღმოსავლეთისა“), დავით და იოანე ბატონიშვილების („ახალი შიხი“) შრომებში.

შეგრებილნი კითხულობდნენ ახალ ნაწარმო-ებებს. იონა მეუნარგიას გადმოცემით, ქართული მუდმივი თეატრის შექმნის იდეა ალექსანდრეს ოჯახში ჩასახულა. მათ ჩამოუყალიბებიათ სცენისმოყვარეთა პატარა წრე, რომლის სათავეში თავად პოეტი მდგარა. სწორედ ამ პერიოდში უთარგმნია ა. ჭავჭავაძეს პიერ კორნელის ტრაგედია „სიდი“. სალონის მონაწილეებს მოუმზადებიათ საოჯახო წარმოდგენა, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი როლი ალექსანდრეს უნდა შეესრულებინა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო წარმოდგენა ჩაშლილა. ა

XIX საუკუნის პირველ ნახევარში დიდი აღიარება მოიპოვა აგრეთვე მაიკო ორბელიანის სალონმაც. მისი ოჯახი იქცა პოლიტიკოსთა შეკრძის ადგილადაც.

1831 წლის გაზაფხულზე ორბელიანი შეთქმულთა ფარული ორგანიზაციის წევრი გახდა. მისი ბინა შერჩეული იყო წვეულების აღგილად, სადაც უნდა დაეხოცათ სახმედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელენი. შეთქმულების გაცემის შემდეგ მ. ორბელიანს დაუწესეს მკაცრი პოლიტიკური მეთვალყურეობა.

ორბელიანს სახელგანთქმული სალონი ჰქონდა. მასთან იკრიბებოდნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, ცოდნის „მოყვარენი“, ხელოვნების მუშაკები: ნბარათაშვილი, გორგებელიანი, გერისთავი, მთუმანიშვილი, დავით და სხვები. სალონის ხშირი სტუმრები იყვნენ თბილისში ჩამოსული უცხოელები. მ. ორბელიანმა მონაწილეობა მიიღო უურნალ „ცისკრის“ დაარსებასა და მუდმივი ქართული პროფესიულ თეატრის ჩამოყალიბებაში ცოდნის გაცვლის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო წიგნი, ხელნაწერები, რომლებიც ავსებდნენ პირდაპირი კომუნიკაციის არსებულ სისტემებს. „მასწავლებელი-მოსწავლის“ ერთობლიობით უზრუნველყოფილი იყო მასწავლებლიდან მოსწავლეზე ცოდნის გადაცემა და კვლევა-ძიების უნარების (ჩვევების) ჩამოყალიბება. ტრადიციულ ქართულ საზოგადოებრივ აზრში მკვიდრდებაოდა ევროპული განმანათლებლური იდეები, რაც გამოიხატა ალექსანდრე ამილახვარის („ბრძენი აღმოსავლეთისა“), დავით და იოანე ბატონიშვილების („ახალი შიხი“) შრომებში.



მაიკო ორბელიანის სალონი

ალ. ამილახვარმა ისტორიული ბედუკულმართობის გამო სიცოცხლის გარკვეული ნაწილი რუსეთში გაატარა. სწორედ იქ დაწერა მკვლევარმა პოლიტიკური პამფლეტი „გეორგიანული ისტორია“ (გამოიცა რუსულ ენაზე, პეტერბურგში, 1779).




**ალექსანდრე
ამილახვარი**

ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიისათვის კიდევ უფრო საინტერესოა ალ. ამილახვარის პოლიტიკური ტრაქტატი „პრძენი აღმოსავლეთისა“. მისი აზრით, ქვეყანას უნდა მართავდეს ბრძენი და ჰუმანური მეფე, მაგრამ მეფის უფლებები გაყოფილი უნდა იყოს რამდენიმე ორგანოს შორის. იგი ეწინააღმდეგება ცენტრალიზებული სახელმწიფოს იდეას და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აკადემიური ცოდნის გაცვლას, სწავლა-განათლებასა და მეცნიერაბას.


ამილახვარის მსოფლმხედველობაში აისახა XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლების: გოლტერის, დენი დიდროს, ჟან ჟაკ რუსოს ზოგიერთი პროგრესული იდეა, მაგრამ ეს იდეები მის პრაქტიკულ მოღვაწეობასთან არ იყო დაკავშირებული. ამილახვარს ექუთვნის აგრეთვე რუსულ ენაზე დაწერილი დრამატული სცენა - „ასტრახანში“.



ვოლტერი



დენი დიდრო



ჟან ჟაკ რუსო

ევროპული განმანათლებლური იდეები აისახა დავით ბაგრატიონის შემოქმედებაშიც. მის კალამს ეკუთვნის ვოლტერიანული თხზულებების თარგმანი. მანვე დაგვიტოვა მიმოწერის ფორმით დაწერილი ნაწარმოები "ახალი შიხი", რომელშიც აისახა ფრანგ განმანათლებელთა იდეები.

დავით ბატონიშვილი ეწეოდა ლექსიკოგრაფიულ მუშაობას. მან სულხან-საბა თრბელიანის "სიტყვის კონას" დაუმატა ცალქეული სიტყვები, შეავსო განმარტებანი, მიუწერა სომხური, თურქეული და რუსული შესატყვისები. მანვე დაგვიტოვა „შემოკლებული ფისიკის“ სახელმძღვანელო, რომელშიც ჩანს მ. ლომონოსოვის და ევროპის მოწინავე ფიზიკოსთა გავლენა. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“.



დავით ბატონიშვილი

მდღვანელოს ენიჭება (ვ. გუჩა, 1973:358). შესაბამისად, ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სკოლებს.

მე-13 საუკუნიდან სასკოლო განათლება საქართველოში შეფერხდა, მაგრამ არ მოსპობილა. სკოლები იხსნებოდა ეკლესია-მონასტერებთან. მოგვიანებით, მე-17 საუკუნიდან სკოლების გახსნა დაიწყეს კათოლიკე მისიონერებმაც (ვ. გუჩა, 1973:359). მათი მიზანი იყო რელიგიური ცოდნის გაცვლა-გადაცემა და ასევე ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის რომის კათოლიკური ეკლესიასთან შეერთებისათვის ნიადაგის მომზადება. თბილისში, კათოლიკი მისიონერების სკოლაში 1668 წლისათვის 25 მოსწავლე ყოფილა. მოგვია-



მეფე-პოეტი არჩილი

ნებით კი მათი რაოდენობა გაიზარდა 50-მდე (შ. თამარაშვილი, 1902:131,132). 1755 წ. მეფე თეიმურაზმა კათოლიკები განდევნა საქართველოდან და სკოლამაც არსებობა შეწყვიტა. მოგვიანებით, 1760-იან წლებში მეფე ერეკლემ სცადა კათოლიკების დაბრუნება და მათი საშუალებით ქართულ სკოლებში უცხო ენების სწავლების აღდგენა.

შე-18 ს. მეორე ნახევარში იხსნება **სკოლები**. 1755 წ. თბილისში დაარსდა **სასულიერო სემინარია** (რექტორი ფილიპე ყაითმაზაშვილი) (შ. როგავა:1950:36). 1758 წ. თელავში გაიხსნა სკოლა, რომლის საფუძველზე 1782 წ. ჩამოყალიბდა **ფილოსოფიური სემინარია** (რექტორი გაიოზი, 1778—1783 წწ., შემდეგ კი დავით მესხიშვილი (1790-1801) (შ. ქიქოძე, ქ. ჩხატარაიშვილი, 1973:778). რექტორ გაიოზს (გვარად ბარათაშვილი) განათლება მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ჰქონდა მიღებული და ფლობდა რუსულ, ლათინურ და ბერძნულ ენებს (შ. ქიქოძე, ქ. ჩხატარაიშვილი: 1973:779). იგი არის სამასზე მეტი ნათარგმნი და ორიგინალური ნაშრომის ავტორი, რომელთაგან აღსანიშნავია ანგონ I-ის "წყობილი იტყვაობის" წინათქმა (იამბიკოდ), „ქართული ენის გრამატიკა“ (პირველი ნაბეჭდი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე). აღსანიშნავია გაიოზ რექტორის "საქართველოს ისტორიის" ორიგინალური ნაშრომი და მისი შესანიშნავი გამოსვლები თბილისსა და თელავში, რომელიც აკადემიური ცოდნის გაცვლის და ორატორული მჯერმეტყველების ნიმუშად არის მიჩნეული.



თბილისის სასულიერო სემინარია

XVIII ს. მოღვაწეთა შორისაა **თოანე ბატონიშვილი** (1772-1830, ქართველი) სახელმწიფო მოღვაწე, განმანათლებელ-ენციკლოპედისტი, მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, რომელმაც 15 წლიანი დაუდალავი შრომის შედეგად შექმნა ახალი დროის ქართული მეცნიერული ენციკლოპედია „**ქალმასობა**“. მასში მეცნიერების სხვადასხვა დარგი იყო წარმოდგენილი.

„**ქალმასობა**“ ანუ, როგორც თვით ავტორი უწოდებს, „**ხუმარსწავლა**“, ორიგინალური ქანრის ნაწარმოებია. მეცნიერული მსჯელობანი მკითხველი-სათვის მოსაწყენი და ძნელად ასათვისებელი რომ არ ყოფილიყო, ავტორმა თხრობის თავშესაქცევი მანერა აირჩია. არქაული-მწიგნიბრული ენით გა-

მართულ მეცნიერულ ნაწილს მსუბუქი და ხატოვანი თხრობითი ნაწილი ენაცვლება. სიუკეტურ დერძს პქმნის ორი მთავარი პერსონაჟი — იონა ხელაშვილი და მისი მხლებელი გლეხი ზურაბა დამბარაშვილი. მათი ფათერაკებით აღსავს მოგზაურობის ფონზე გაშლილია მეცნიერული მსჯელობანი; წარმოჩენილია საქართველოს იმდროინდელი ვითარება, ქვეყნის დამტკაველ გარემოებად მიჩნეულია საყოველთაო უმეცრება. თხზულება საგმაო სისრულით ასახავს საქართველოში მეცნიერული ცოდნის დონეს XVIII—XIX სუბუნების მიჯნაზე. აქ წარმოდგენილია ცნობები საბუნებისმეტყველო და პუმანირატულ მეცნიერებათა თითქმის ყველა დარგიდან. ზოგ შემთხვევაში მასალა თარგმნილია რუსული და უცხოური წყაროებიდან, უმეტესად კი აგრორითავის დაკვირვებებს გვთავაზობს საქრთველოს ისტორიის, ხალხის ყოფისა და კულტურის შესახებ. მასგვე ეკუთვნის აგრეთვე აკადემიური ცოდნის გაცვლა-გადაცემისათვის განკუთვნილი თხზულება „სხვათა და სხვათა სწავლათა შეკრებილებანი“ (1829).



იოანე ბატონიშვილი

მეთორმეტეს, 1799 წარუდგინა მოხსენება ქართლ-კახეთში აუცილებლად გასატარებელი რეფორმების შესახებ. იოანე ბატონიშვილის პროექტის მიხედვით, სხვა საკითხების მოგვარებასთან ერთად, თბილისში, გორისა და თბილისში უნდა გახსნილიყო სასწავლებლები.

მოგვიანებით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მართლაც გაიხსნა პირველდაწყებითი, სახელოსნო სკოლები და კერძო სასწავლებლები (ხონი, ქაშუეთი, მეტეხი, ანჩისხატი, ვარძია და ა. შ.). იქმნებოდა სახელმძღვანელოები (მათ შორის ქართული ენის გრამატიკის სამი სახელმძღვანელო), მიმდინარეობდა მთარგმნელობითი საქმიანობა.

სახელმძღვანელოების ავტორთა შორის უნდა დაგასახელოთ ანტონ კათალიკოსი (ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი), როლებიც შექმნა „კატეხიზმის“ (შედგენილი ფრანგული საღვთისმეტყველო ენციკლოპედიის საფუძველზე), „ქართული ენის გრამატიკის“ და საქართველოს მოკლე ისტორიის სახელმძღვანელოები, რუსულიდან ქართულად ითარგმნა გოლფის „ფიზიკა“, ბაუმაისტერის „ლოგიკა“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი, აღწერილობა, S, I, 1950, გვ. 127-128.). მათი ნაშრომების თარგმნა იყო ცოდნის გადაცემა-გაცვლის ნათელი მაგალითი და დადასტურება იმისა, რომ ქართული ფილოსოფიური აზროვნება ცდილობდა სქოლასტიკისაგან გათავისუფლებას.



ანტონ კათალიკოსი
ანტონ კათალიკოსი

მის სახელს უკავშირდება სწავლა-განათლებისა და სასტამბო საქმის მოწესრიგებისათვის ზრუნვა კათალიკოსობის პერიოდში. ანტონმა გარს შემოიკრიბა საქმიანი და განათლებული ადამიანები ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. იგი დაუახლოვდა თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებს (კაპუცინელთა ორდენს). მათთან ერთად გეგმავდა ანტონი საგანმანათლებლო და რელიგიურ განახლებას, სტამბის აღდგენასა და მთარგმნელობით სკოლის ჩამოყალიბებას. ანტონისა და კათოლიკე ბერების ახლო ურთიერთობით ისარგებლა მისმა მოწინააღმდეგე ჯგუფმა, რომელსაც კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი მეთაურობდა; ანტონ I-ს გაკათოლიკება დასწამებს და "მწვალებლად" აღიარებს. გადმოცემით ანტონის გაკათოლიკება უნებლიერ გასცა ვინმე თავადის ქალმა, რომლის ვინაობას წყაროები არ ასახელებენ, მაგრამ ყვებიან, რომ ეს თავადის ქალი მძიმე ავადმყოფების დროს კათოლიკურ ლოცვებს კითხულობდა, რასაც შესწრებია თეიმურაზ I-ის ასული. ეს ფაქტი და ანტონის ერთად ჰყოფნა კაპუცინელ ბერებთან გამოიყენებს ზაქარია გაბაშვილმა და მისმა თანამოაზრებმა ბრალდების წასაყენებლად. მცხეთის საგანგებო საეკლესიო კრებაზე 1755 ანტონი არ დაასწრეს და გაკათოლიკების გამოკათალოკოსობიდან გადააყენებს, რის გამოც იგი 1756 წ. რუსეთში გაემგზავრა, სადაც თავი იმართლა სინოდის წინაშე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ იგი ხელს უწყობდა კალიგრაფიული სკოლების, ბიბლიოთეკების, თეატრის შექმნას, მხატვრობის, პოეზიისა და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებას; მკვიდრ ნიადაგზე დააყენა განათლების საქმე; ერეკლე II-ის დახმარებით თანდათან გარდაქმნა ნახევრად კერძო კაპარქიული დაბალი სასწავლებლები სახელმწიფო ტიპის სკოლებად, დიდი მონაწილეობა მიიღო ჯერ თბილისის (1755), შემდეგ კი თელავის (1782) სემინარიების დაარსებაში. ერეკლე II-თან ერთად შეიმუშავა სამი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების პროექტი.

ანტონი დიდ უურადღებას აქცევდა ფილოსოფიურ, ფილოლოგიურ, საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების განვითარებას. ფილოსოფიური კატეგორიების საკითხებს მიეძღვნა მისი ნაშრომი „სპეკალი“, რომელშიც იგრძნობა არისტოტელებს და პლატონის გავლენა. შედგენილ იქნა და ითარგმნა ნაშრომები ფიზიკაში, გეომეტრიაში, გეოგრაფიასა და მედიცინაში. უურადღება მიექცა ეკონომიკური საკითხების შესწავლასაც.

მე-18-19 სს. მიჯნაზე განსაკუთრებული უურადღება მიექცა ხელნაწერი წიგნების გადაწერას. იგი შემოსავლის წყაროდაც იქცა. იესე ბარათაშვილმა ჩამოაყალიბა წიგნის გადამწერთა დასი. (ზ. ქიქოძე, ქ. ჩხატარაიზშვილი, 1973:780). მომზადდა საქართველოს ისტორიის მოკლე ნარკვევი, რომელიც მოიცავდა 1801-1831 წლებს, რომლის წარდგენისათვის თავად ჭავჭავაძეს რუსეთის სამკერებორო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის სპეციალური პატაკიც კი დაუწერია (რსია, ფ. 1268, ან. 1, ს. 9).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სტამბა დაარსდა 1709 წელს, მაგრამ იგი აღა მაჟმად ხანის შემოსევის დროს (1795 წ.) განადგურდა. იგი ხელახლა აღადგინეს ჯერ 1800, შემდეგ კი 1849 წ. აღადგინეს მტრის მიერ განადგურებული სტამბა. (პ. ორბელიანი, 1913:417). 1780-იან წლებისათვის სტამბის მუშაკთა შორის მოიხსენება „მესტამბერუსუცესის“ თანამდებობა, დაწესდა აგრეთვე წიგნის გამფორმებლის თანამდებობაც (М. ჯანაშვილი, 1908:214-215). ახალი სტამბიდან გამოსულ წიგნთა რაოდენობამ საუკუნის

ბოლოსათვის 100 000 ცალი შეადგინა (მ. ქიქოძე, ქ. ჩხატარაიშვილი, 1973:783).

ქართული წიგნი საქართველოს ფარგლებს გარეთაც იბეჭდებოდა.. ეპისკოპოსმა გრიგოლ ხარჭაშნელმა 1786 წ. პეტერბურგში გახსნა სტამბა, ხოლო გაიოზ რეგტორმა ქ. მოზდოვში, საკუთარი სახსრებით გამართა სტამბა (ა. როგავა, 1950:142). პეტერბურგში, სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცულია 1761 წლით დათარიღებული დოკუმენტი, რომელიც ეხება საქართველოს მიტროპოლიტ აფანასიევისათვის ქართულ ენაზე მოსკოვში წიგნების გამოცემისათვის სტამბით დაარსებისა და სარგებლობის საკითხს (რსია, ფ. 796, ან. 43, ს. 17). წიგნის ბეჭდვის პარალელურად ხდებოდა წიგნების გადაწერაც. შეიქმნა წიგნსაცავი (ბიბლიოთეკა). მდიდარი ბიბლიოთეკა ჰა ჰქონდათ კერძო პირებსაც (ორბელიანები, დაღიანები, გურიელები).

სწავლა-განათლებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა მეცნიერების განვითარებისათვის. იქმნებოდა ორიგინალური და თარგმნილი სამეცნიერო ლიტერატურა. საქართველოს ისტორიის საკითხებს მიეძღვნა პაპუნა ორბელიანის („ამბავი ქართლისანი“), ომან ხერხელიძის („მეფობა ირაკლი მეორისა“, დავით ბატონიშვილის (საქართველოს შემოკლებული ისტორია), ანტონ პირველი კათალიკოსის („ქართველ მეფეთა შთამომავლობა“) და სხვათა ნაშრომები.


ცოდნის გაცვლის საუკეტესო მაგალითია ინტერესი მსოფლიო ისტორიის გაცნობა-შესწავლისათვის. შედგენილ იქნა სპეციალური კრებულები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო მსოფლიო ისტორიის საკითხები. 1763 წ. გადაიწერა მსოფლიო ისტორია ლევან ბატონიშვილის რედაქციით (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი, აღწერილობა S, I, გვ. 469-471).

1783 წ. მქებმა მონგოლიუმებმა გამოიგონეს აეროსტატი, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოში. მეცე ერეკლეს ბრძანებით ამ ფაქტის შესახებ გამოცემული წიგნი თარგმნეს ქართულად. მასში დახატეს აეროსტატის მოდელი და აღწერეს პირველი გაფრენის მარშრუტი (მ. ქიქოძე, ქ. ჩხატარაიშვილი, 1973:784).

დიდი ყურადღება მიექცა ეკონომიკური და სამხედრო მეცნიერების საკითხების შესწავლასაც. 1772 წ. ბაქარ ბატონიშვილმა ფრანგულიდან თარგმნა წიგნი „ეკონომიკა“, ხოლო გაიოზ რეგტორმა უცხოურიდან თარგმნა არტილერიის საკითხებისადმი მიძღვნილი კრებული.

ეკონომიკური მეცნიერებითა და კულტურით დაინტერესება პასუხისმგებელის მოთხოვნილებებს, მკითხველთა, მეცნიერთა იდეურ განწყობებს და უდავოდ გულისხმობდა ცოდნის გადაცემასა და გაცვლას.

1775 წ. ვენეციაში დაიბეჭდა „შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ქვეყნების რუკა“, რაც უცხოელების საქართველოსადმი ინტერესის დამადასტურებელი ფაქტია. 1817-1819 წლებში რუსეთში შედგა საქართველოს ცალკეული კუთხეების დაწვრილებითი რუკები, რომელსიც ცალკე იყო წარმოდგენილი ოსმალეთის მიერ დაპყრობილი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს რუკა:




რუსეთის სახელმწიფო ისტორიული არქივი (პეტერბურგი), ფ. 1487, ან. 1, ს. 323

პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიული არქივში წარმოდგენილია მე-19 ს. კავკასიის საგზაო რუკებიც (რსია, ფ. 95, ან. 3, ს. 1245)

თავად ქართველებიც ინტერესდებიან ევროპული დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი საკითხებისაღმიც. ქრისტიანულ-ზნეობრივ „სწავლათა“, მაქსიმე აღმსარებლის, არისტოტელეს, ანაქსაგორეს გვერდით ითარგმნა მარკ ავრელიუსის „საყოფაცხოვრებო სჯანი“ (მ. ქექოძე, ქ. ჩხატარაიშვილი, 1973:786). ქართველ მეცნიერთა დაინტერესება ევროპული ცოდნის მიღწევებით ცოდნის დადაცემისა და გაცვლის მაღალი დონის მაჩვენებელია.

ცხოვრების წინსვლა დღის წესრიგში აყენებდა პრაქტიკაში მეცნიერული ცოდნის დანერგვის აუცილებლობის საკითხს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა უკრაინაში მყოფი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის მიერ მორწყვისა და წისქვილების მოწყობის ტექნიკურ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პროექტის შემუშავება, რომელიც ნახაზებითურთ უკრაინიდან გამოუგზავნა საქართველოს მეფე ერეკლეს.

მე-18 ს. მეორე ნახევარში აღორძინდა ქართული ლიტერატურის მდიდარი ტრადიციები. ამ პერიოდის ქართული მწერლობის წარმომადგენლები არიან: ბესიქი, დავით გურამიშვილი, საიათნოვა.



დავით გურამიშვილი





ბეჭისი



საიათნოვა

ქართველ განმანათლებელთა მეორე თაობის წარმომადგენლებმა: და-
ვით ბაგრატიონმა, ოიანე ბატონიშვილმა, სოლომონ დოდაშვილმა და სხვებ-
მა კიდევ უფრო გააღრმავეს წინამორბედთა სამეცნიერო საქმიანობა. დავით
ბაგრატიონმა არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ქვეყნის ისტორიას. მასვე ეკუ-
ვნის ფიზიკის სახელმძღვანელო, რომელშიც გათვალისწინებულია იმჟამინ-
დელი მეცნიერების მიღწევები. სოლომონ დოდაშვილმა 1827 წ. გამოსცა ფი-
ლოსოფიური წიგნი „ლოგიკა“, რომელსაც სახელმძღვანელოდ იყენებდნენ
მთელი რუსეთის სკოლებში.



პეტრე ბაგრატიონმა (1818-1876) აღმოაჩინა მინერალ ორთიტის ახალი სახეობა, შეიმუშავა ოქროს მოპოვება-დამუშავების რაციონალური ხერხი, როთაც დიდი წვლილი შეიტანა ფიზიკის განვითარებაში.

ცოდნის გაცვლა-გადაცემის შესახებ საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრს (ნაშრომისათვის „ივერიის ისტორია“) (მ. გაფრინდაშვილი, ქართული კულტურა XIX საუკუნეში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ. 1970, გვ. 819), პარიზის სააზიო საზოგადოებისა და კოპენჰაგენის სამეცნ ანტიკვართა საზოგადოების წევრს, თეიმურაზ ბაგრატიონს (1782-1846, რომელმაც მ. ბროსესთან ერთად დიდი როლი შეასრულა პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებაში.

1830 წლიდან საფუძველი ჩაეყარა თეიმურაზ ბაგრატიონის მეცნიერულ თანამშრომლობას აკადემიკოს მარი ბროსესტანს, რომელიც მის მოწაფედ თვლიდა თავს. 1830 წლით დათარიღებული წერილით უნდა იწყებოდეს თეიმურაზის მიმოწერა ბროსესტანს, რადგან ამ მიმოწერით ბატონიშვილი, როგორც ჩანს პირველად აცხადებს კორესპონდენტობის სურვილს და აცნობს თავის მისამართსაც (სანქტ პეტერბურგს, ვასილის ოსტროვასა შინა მეცნერებს ლინიაზედ, მახლობელ მდინარესა ნევისა №8-ს). 1837 წელს კი ისინი პირადად ხვდებიან ერთმანებებს.


თეიმურაზ ბატონიშვილი გარდაიცვალა 1846 წლის 23 ოქტომბერს. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრში ბაგრატიონთა სასაფლაოზე, თავისი ძმის დავითის გვერდით. მას დარჩა მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა, რომელიც გადაეცა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აზიურ მუზეუმს.



თეიმურაზ ბაგრატიონი



სოლომონ დოდაშვილი




ს. დოდაშვილის ძეგლი სიღნალში

იმ პერიოდის გამოჩენილ მკვლევართა შორის უნდა დავასახელოთ: **დიმიტრი ბაქრაძე**, დავით ჩუბინაშვილი სულხან ბარათაშვილი, გერასიმე ქიქოძე და სხვები. დ. ბაქრაძემ - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პირველმა გამოსცა ვახუშტი ბაგრატიონის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“.



დ. ბაქრაძე



დავით ჩუბუნაშვილი




გერასიმე (გაბრიელ)
ქიქოძე

უნდა ითქვას ისიც, რომ ვახუშტი ბაგრატიონი იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი ელიზავეტა პეტრეს ასულთან და მიხეილ ლომონოსოვთან ერთად.



ვახუშტი



თბილისის გეგმის
ვახუშტიშვილი დედანი



ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი ეკროპის რუპა, 1752

მეცნიერების განვითარებისა და კვლევის სფეროების გაფართოებამ დღის წესრიგში დასვა მეცნიერების კომუნიკაციის ისეთი ფორმების აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფდა კვლევის შედეგების ერთობლივ განხილვებს. შედეგად ყალიბდება ცოდნის გადაცემის ახალი გზა - მიმოწერები მეცნიერებს შორის, წერილები, რომლებიც ატარებდნენ არა მარტო ყოფით ხასიათს, არა მედ მათში ხშირად კვლევის აღწერა და შედეგებიც იყო წარმოდგენილი. ასე, წერილები გადაიქცა სამეცნიერო ინფორმაციად, რომლებშიც ჩამოყალიბებული იყო კვლევის შედეგები, მსჯელობა, არგუმენტები და კონტრარგუმენტები. ასე ყალიბდება თანამეგობრობის განსაკუთრებული ფორმა, რომელმაც წერილი აქცია ცოდნის გაცელის საშუალებად და ეწ. „მკვლევართა რესაუბლიკა-ში“ გააქროთანა მკვლევარები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

განვითარდა ქართველობრიური მიმართულება უცხოეთის ქავენებშიც. ქართველი ხალხის მდიდარმა კულტურულ-სამეცნიერო მემკვიდრეობამ არაერთი უცხოელი მეცნიერი დააინტერესა. ცნობილი ეთნოგრაფი და დრამატურგი მოროზ დანილი, რომელიც იმყოფებოდა კავკასიაში, როგორც სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და დასახლების ინსპექტორი აგროვებს საინტერესო ცნობებს თავისი მეგობრის, კავკასიის ეთნოგრაფიის საკითხებით დაინტერესებული მეცნიერის ა. კისტიაკოვსკისათვის. მის წერილებში წარმოდგენილია კავკასიის ქალაქების აღწერილობა, აღილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესი. კავკასიის დედაქალაქის თბილისის შესახებ თავისი შეხედულება წერილებში შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „რა გითხრათ თბილისისა და მისი მაც-

към гръдене до със? Той идва отътам, че го зоват „Архитектът на България“.

а. კისტიაკოვსკი, როგორც კავკასიის ჩვეულებითი სამართლის საკითხებში კარგად გაცნობიერებული უკრაინელი მეცნიერი, მასალების მოძიებისას ეყრდნობოდა მეგობრებს. მან შექმნა კორესპონდენტების ქსელი, რომლებიც აწოდებდნენ მასალებს კავკასიის ხალხთა ყოფისა და კულტურის შესახებ. მისი წერილები სავსეა კორესპონდენტებისადმი თხოვნებითა და შეხსენებებით - გადაეცათ მისოვის ცოდნა, შეგროვებული ინფორმაცია, ლიტერატურა კავკასიის ხალხთა შესახებ. ერთ-ერთ წერილში თბილისში ჩასულ თავის მეგობარს წერს: „ვფიქრობ, რომ შენ დიდ სარგებლობას მოუტან შენი ყოფნით კავკასიაში, თუ კი ჩაიწერ შენს დაკვირვებებს. კავკასია უმდიდრესი რეგიონია ეთნოგრაფიული დაკვირვებებისათის. მისებნ უნდა იყოს მიმართული შენი ყურადღება“ (Н. Зуб (Руденко), 2015:78). შემდეგ გვერდზე ამატებს: „გთხოვთ არ დაივიწყოთ ჩემი ეთნოგრაფიული მიდრეკილებები. ნებისმიერი ეთნოგრაფიული მონაცემი ცემთვის არის სასარგებლო ინფორმაცია“ (Н. Зуб (Руденко), 2015:79). მას მასალებს უგზავნიდნენ მისი ყოფილი სტუდენტებიც, რომლებსაც ლექციებს უკითხავდა კიევის უნივერსიტეტში. მაგ. პ. სტუპინი, რომელიც თავიდან მუშაობდა პიატიგორსკში სახაზინო აღვოკატად, შემდეგ ვლადიპორტში საოლქო სასამართლოში. ასევე, 6 ჟერებცევი, რომელიც გარკვეულ პერიოდში მუშაობდა პიატიგორსკის საგამომმიებლო ნაწილში. მასწავლებლის თხოვნით ისინი აგროვებდნენ მასალებს, იწერდნენ საკუთარ დაკვირვებებს და აწვდიდნენ მას (Н. Зуб (Руденко), 2015:79).

საქართველოთი დაინტერესებულ უცხოელ მკვლევართა შორის უნდა და-
გასახელოთ მარი ბროსე. იგი მოიხიბლა სა-
ქართველოს ისტორიული წარსულით, დამოუ-
კიდებლად შეისწავლა ქართული ანბანი და
მთელი თავისი სიცოცხლე ქართული მეცნიე-
რებისა და კულტურის პოპულარიზაციას მო-
ახმარა. მან შეისწავლა ქართული ანბანი
„ბიბლიის“ ტექსტის მიხედვით. მ. ბროსემ 1743
წ. გამოცემული (ბაქარ ბატონიშვილის გამო-
ცემა) ქართული „ბიბლია“ შეადარა ბერ-
ძნულს, დააზუსტა ქართულ ასოთა მოხაზუ-
ლობა და გამოარკვია ქართული სიტყვების
ზუსტი მნიშვნელობა. ასე შეისწავლა მან
ქართული, შემდგებ კი საკუთარი ხელით გად-
მოწერა პარიზის ბიბლიოთეკაში დაცული
ქართული ხელნაწერების მნიშვნელოვანი ნა-
წილი, შეადგინა ქართული ენის კრცხვლი ლექ-
სიკონი სიტყვათა ძირების მიხედვით და ფრან-
გულად თარგმნა მოპოვებული მასალების დი-



მარი ბროსელი

გელად თასტიმას თურქული ელი თასაღების დო-
დი ნაწილი. მან დაგვიტოვა 250-ზე მეტი ნაშრომი ქართველოლოგის საკით-
ხებზე. იგი სამართლიანად ითვლება ევროპაში მეცნიერული ქართველოლოგი-
ოს ფუძემდებელად (H. A. Mapp, 1902:73-78).

ქართველოლოგიის საკითხებზე მეცნიერული კამათი, ცოდნის გაცვლა-გაზიარება მიმოწერების საფუძველზე ხორციელდებოდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა დისკუსია კლაპროტთან ქართული წელთააღრიცხვის სისტემებზე, რომელიც მ. ბროსეს გამარჯვებით დასრულდა (შ. ხანთაძე, 1966:16).

ბროსეს მეცნიერულ წარმატებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ მოღვაწეებთან მიმოწერებსა და ურთიერთობების. ამ თვალსაზრისით საინტერესოა თეიმურაზ ბატონიშვილისა და მ. ბროსეს მეცნიერული თანამშრომლობა. მათ ერთმანეთი გაიცნეს პეტერბურგში. შემდგომ პერიოდში ხშირი იყო ურთიერთმიმოწერები სხვადასხვა სამეცნიერო პრობლემატიკის შესახებ. მ. ბროსე თეიმურაზ ბატონიშვილს მიიჩნევდა მის მასწავლებლად და დაკრძალვის დღეს (1846 წელი) განსვენებულის ცხედართან ქართულად წარმოთქვა გამოსამშვიდობებელი სიტყვა.

მ. ბროსე 1838 წელს მიმოწერით დაუკავშირდა ალატონ იოსევლიანს, დიდი განათლებისა და ერუდიციის მქონე ქართველ ისტორიკოსს. პლატონ იოსევლიანმა მას გაუგზავნა თავისი ბიბლიოთეკის კატალოგი, რომელიც ძველი ქართული ლიტერატურის 140 ძეგლის დასახელებას შეიცავდა, ამასთანავე სისტემატურად აწვდიდა ისტორიულ მასალებს. პლატონ იოსევლიანისაგან მ. ბროსემ მიიღო ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობა“, „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტის თხზულება და ა. შ. თავის მხრივ ბროსეც უგზავნიდა პლ. იოსევლიანს აკადემიურ გამოცემებს, აძლევდა რჩევებს, ხელს უწყობდა მუშაობაში. მ. ბროსეს შუამდგომლობით პლ. იოსევლიანმა მიიღო სინოდალური კანტორის არქივში მუშაობის ნებართვა (შ. ხანთაძე, 1966:68, 69). პლატონ იოსევლიანის მეშვეობით მ. ბროსე უკავშირდებოდა სხვა ქართველ მოღვაწეებს (ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ფალავანდიშვილი, იოსებ წილოსანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვ.).

მ. ბროსეს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა დავით ჩუბინაშვილთანაც. ეს თანამშრომლობა ნათლად გამოიკვეთა „ვეფხისტყაოსნისა“ და „ქართლის ცხოვრების“ გამოცემისას. მარი ბროსემ 1841 წ. რუსეთში გამოსცა „ვეფხისტყაოსნი“, პეტერბურგის უნივერსიტეტში 1845 წ. შეიქმნა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა. დ. ჩუბინაშვილმა შეაღინა ქართული ლიტერატურის ქრესტომათია (1846), 1866 წ. კი ქართული ენის გრამატიკა.

ცოდნის გაცვლა-გადაცემა ხორციელდებოდა საქართველოს პრობლემატიკით დაინტერესებულ მკვლევართა მოგზაურობის შედეგადაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ცნობილი ბოტანიკოსის კ. კოხის საქართველოში მოგზაურობა, რომელმაც გამოაქვეყნა მოგზაურობის წიგნი. აღნიშნული წიგნის შესახებ შენიშვნები გამოაქვეყნა მ. ბროსემ. ამ შენიშვნებში იგი სხვა მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებსაც შეეხო და ზოგიერთს გაუსწორა დაშვებული უზუსტობები. ნიშანდობლივია, რომ თავად მ. ბროსემაც იმოგზაურა საქართველოში, მოიძია მასალები, გაარკვია ცალქეული ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხები (შ. ხანთაძე, 1966:71). მოგზაურობის შედეგად ბროსეს გაუფართოვდა ქართველ ნაცნობთა წრე, გაიზინა ახალი კორესპონდენტები, მასალის მიმწოდებლები - რაფიელ ერისთავი, იობ ცისკარიშვილი და სხვები.

იმ პერიოდის მოგზაურ-მკვლევართა შორისაა გერმანელი იაკობ რეინგასი, მედიცინის დოქტორი. 1779 წ. იგი ჩამოვიდა თბილისში, დაუახლოებელ სამეცნ კარს. მისი დამსახურებითა და მონაწილეობით შედგენილ იქნა კავკასიის ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა. მასში შევიდა ავტორის კავკა-

სიაში მრავალწლიანი მოღვაწეობის ამსახველი მასალები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული დაკვირვებები (Я. Рейнеггс, 1796:209). განსაკუთრებულ უურადღებას ამახვილებს ყაბარდოველთა ყოფისა და კულტურის საკითხებზე.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით უფრო მკრთალია სპარსეთში რუსეთის ელჩის მ. ტიხონოვის ჩანაწერები, რომელიც იძლევა ცნობებს სპარსეთის შაპის აბასის მიერ კახეთის ოხერების შესახებ, სამაგიეროდ უხვ მასალას გვაწვდის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის 1768-1775 წლების სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელი, ექიმი და ბუნებისმეტყველი, აკადემიკოსი იოჰან გიულდეგნშტედტი ქართველების, ოსების, ბალყარების, ყარაჩაჯლების სამეურნეო ყოფის, განსახლების, საცხოვრებელი კომპლექსის, თავდაცვითი ნაგებობების, სოციალური ორგანიზაციის საკითხებზე (გიულდეგნშტედტის მოგზაურობა საქართველოში. უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, IX, ტ. I-II, თბ. 1962, 1964).

ქართველების შესახებ საინტერესო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ცნობებს გვაწვდიან აგრეთვე: იოჰან გერბერი (რომელმაც შეადგინა კასპიის ზღვის სანაპიროს რუკაასტრახანიდან მტკვრის შესართავამდე სათანადო აღწერილობით), ნიკოლოზ იაზიკოვი (რომელსაც უნდა მოეწესრიგებინა ერეკლე მეფისა და რუსეთის გენერალ ტოტლებენის კონფლიქტი), სტეფანე ბურნაშვილი (დიპლომატი, რომელმაც დაგვიტოვა: „საქართველოს სურათი“, „აზერბაიჯანის ოლქების აღწერა“ და „მთიელი ხალხის აღწერა“, წარმოადგინა დემოგრაფიული მონაცემები, სამოო საქმე, მმართველობის სისტემა, რუსები და ა. შ.), ჟად ფრანსუა გამბა (1820 წ. სამხედრო გზით (რომელიც უნდა ქცეულიყო ევრაზიული ვაჭრობის ცენტრად) შემოვიდა საქართველოში საფრანგეთის კონსულის სტატუსით, მიწაც შეისყიდა იმერეთში, შემდეგ კი პარიზში ყოფნისას გამოაქვეყნა შემაჯამებელი ნაშრომი კავკასიისა და საქართველოს შესახებ), დიუბუა დე მონპერე (მე-19 ს. 30-იან წლებში ჩამოვიდა საქართველოში, შეისწავლა მატერიალური კულტურის ძეგლები და შეცდომით ისინი ბიზანტიური ხეროვნობრების განშტოებად მიიჩნია), შორლანდიელი რობერტ ლაიელი, ინგლისელი კ. საენსერი, გერმანელი პენრის კლაფროთი, კიევის მიტროპოლიტი ექვთიმე ბოლხვიცინოვი, პრუსიელი ავგუსტ პაგსტაუზენი და ა. შ. (კ. შამილაძე, 2001:114-197)

მეცნიერთა ურთიერთ მიმოწერები არა მარტო ცოდნის გადაცემის, არამედ კვლევა-ძიების მეთოდიების და თემატიკის შემუშავების ახალ საშუალებების შემუშავების გზაც იყო. კონტაქტები მეცნიერებს შორის და ცოდნის გადაცემის ფორმები ხელს უწყობდა მეცნიერების განვითარებას, მაგრამ მეცნიერული ცოდნის, სამეცნიერო ინფორმაციის დაგროვების კვალობაზე საჭირო ხდებოდა გარკვეული ცელილებები.

კერძო წერილებს ჩაენაცვლა სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება. წიგნისაგან განსხვავებით სტატია მცირე მოცულობისაა და არ მოეთხოვება ავტორის შეხედულებათა სრულყოფილი წარმოდგენა. სტატიის გამოქვეყნება იქცა მეცნიერული ცოდნის გადაცემის საუკეთესო საშუალებად. ამ პროცესში კიდევ უფრო ფართო ხასიათი ენიჭება ეროვნული ენების გამოყენებას. ლათინურს ენაცვლება ეროვნული ენები. ეროვნული ენა ტრანსფორმირდა, როგორც სამეცნიერო კომუნიკაციის საუკეთესო საშუალება მისსავე ქვეყნაში.

ცოდნის გადაცემის ახალი ფორმის - სტატიის გამოქვეყნების საჭიროებამ დღის წესრიგში დააყენა პერიოდული ჟურნალების გამოცემის აუცი-

ლებლობის საკითხი. თავიდან, ეს უურნალები ასრულებდა მპვლევართა გაერთიანების ფუნქციას. ბევრგან დაარსდა სხვადასხვა სახის აკადემიური დაწესებულება. საქართველოში ასეთი სამეცნიერო უურნალების დაარსება ცარიზმის პირობებში შეუძლებელი იყო, ამიტომ ქართველი მეცნიერები ახერხებდნენ სტატიების გამოქვეყნებას უცხოურ გამოცემებში. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა უცხოეთის ქვეყნებში ჩამოყალიბებულ ქართველობოგიურ ცენტრებს. მარი ბროსემ არაერთი ქართველი მეცნიერის ნაშრომი თარგმნა და გამოაქვეყნა უცხოეთში.

მართალია სამეცნიერო ხასიათის უურნალების დაარსება იმუამად ვერ მოხერხდა, მაგრამ მე-19 ს. დასაწყისში (1818 წლიდან) დაიწყეს გაზეთების გამოცემა, რომელშიც დიდია სოლომონ დოდაშვილის წვლილი. მასვე ეპუთვნის „ლოგიკის“ სახელმძღვანელო რუსულ ენაზე. 1818-32 წწ. მისი რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი „თბილისის უწყებანი“. 1832 წ. დაარსდა პირველი ლიტერატურული გაზეთი „სალიტერატურო ნაწილი თბილისის უწყებანი“. აღნიშნულ გამოცემებში იბეჭდებოდა სამეცნიერო ხასიათის ნაშრომებიც. პეტერბურგია სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცული 733-ე ფონდის 58-ე საქმე ენებასაქართველოს მთავარმარტებლის 1819 წ.განკქარგულებასტბილისში „ქართული გაზეტი“-ს გამოცემის ტაობაზე (რსია, ფ. 733, ან.87, ხ.58)

მე-18 ს. ბოლოსა და მე-19 ს. დასაწყისში - სამეცნიერო ინფორმაციის დაგროვების კვალობაზე იქმნება სხვადასხვა ტიპის მეცნიერთა ასოციაციები. მეცნიერების ორგანიზაციის ახალმა ფორმებმა დაბადა სამეცნიერო კომუნიკაციის ახალი ფორმები, პროფესიული უურნალები, რომლის ირგვლივაც ერთიანდებოდნენ მეცნიერები საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

წარმოიშვა სამეცნიერო კადრების მომზადების აუცილებლობის საკითხი. საქართველოში მაშინ არ იყო უმაღლესი სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულება. ამიტომ, უმაღლესი განათლების მისაღებად ახალგაზრდები მიემზავრებიან უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებში.

მე-17 ს. მეორე ნახევრიდან მეცნიერებაში ღრმავდება სპეციალიზაციის პროცესი. ცალკეულ ქვეყნებში ჩნდება მკვლევარ-სპეციალისტთა თანამეგობრობა, რომლებსაც ახალისებდა სახელმწიფოც.

განსხვავებული ვითარება შეიქმნა მე-19 ს. პირველ ნახევარში. 1801 წ. რუსეთმა დაიპყრო საქართველო. ქართული კულტურა ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლის ნიშნით ვითარდებოდა. რუსეთმა მოშალა ადრინდელი კულტურის კერძები, დახურა სასწავლებლები, რუსეთში გადაასახლა ბაგრატიონები, რომელთა შორის ბევრი ქართული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. ცარიზმის ქართველებს უკულტურობას აბრალებდა და უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაში თავს „საქართველოში განათლების პირველი სხივების შემომზანად“ ასაღებდნენ (მ. გაფრინდაშვილი, ქართული კულტურა XIX საუკუნეში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ. 1970, გვ. 812).

ცარიზმმა გააუქმა ქართული ეროვნული სასწავლებლები და დაიწყო რუსული სკოლების გახსნა. 1802 წ. 22 სექტემბერს თბილისში გაიხსნა ორკლასიანი სასწავლებელი, მაგრამ მაღალ დაიხურა, რადგან ბავშვები არ ფლობდნენ რუსულ ენას. ცარიზმის სასტიკო კოლონიური პოლიტიკის მიუხედავდ საქართველო ასე თუ ისე ექცევა ევროპული ცივილიზაციის ორბიტაში. კავკასიის ევროპეიზაციის საწყისებს თან ახლდა მოწინავე ქვეყნების

ისტორიისა და კულტურის გაცნობა, ცხოვრების ევროპული წესის არა მარტო გაცნობიერება, არამედ მისი დამკვიდრების ცდებიც.

ცარიზმს დაპყრობილ ქვეყანაში ადგილობრივი კადრებიც ჭირდებოდა. ამ მიზნით, 1804 წ. თბილისში გაიხსნა რუსული სკოლა, რომელიც 1830 წ. გადაკეთდა გიმნაზიად. ამავე წ. გაიხსნა ქალთა პანსიონატი, 1817 წ. - სასულიერო სემინარია. 1850 წ. გაიხსნა საერებო სკოლები ქუთაისში, გორში, ახალციხეში, დუშეთში, სიღნაძეში.

ხელშემჩნევის პირობების მიუხედავად ქართული მეცნიერება მაინც ვითარდებოდა. მეცნიერები უკვე ადარ კმაყოფილდებიან მარტო მიმოწერებით, წიგნების პუბლიკაციით. მიმოწერა თანდათანობით კარგავს ადრინდელ სტატუსს და ხდება ეროვნულ დისციპლინებზე ორიენტირებული თანამეგზობრობების ჩამოყალიბება. ცარიზმი ყოველმხრივ აფერხებდა ქართული მეცნიერების განვითარებას. შესაბამისად, ხელი ეშლებოდა მკვლევარ-სპეციალისტთა თანამეგზობრობების ჩამოყალიბებასაც. მაგრამ ქართველი მეცნიერები მაინც ახერხებენ ცალკეული დარგების მიხედვით გაერთიანებას. დიმიტრი ბაქრაძის (1827-1890) ინიციატივით - ქართული ისტორიული ძეგლებისა და ხელნაწერების დასაცავად დაარსდა საეკლესიო მუზეუმი და ჩამოყალიბდა „გაგვასიის არქეოლოგიის მოუგარულთა საზოგადოება“, ცოტა მოგვიანებით, 1850 წ. თბილისში დაარსდა „რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კაგვასიის განყოფილება“, რომელიც ათეული წლების მანძილზე სცემდა უურნალებს „ჩანაწერებისა“ და „ცნობების“ სერიით. ამ გამოცემების რედაქტორები იყვნენ ცნობილი მეცნიერები: ვ. სოლოგუბი, ი. ბართოლომეე, ნ. კოვალევსკი, ნ. ზაგურსკი, მ. ლომიძე და სხვები. უურნალთან აქტიურად თანამშრომლობდნენ ასევე ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, რომელთა ნაშრომებს გააჩნდა პირველხარისხოვანი წყაროს ფუნქცია (ვ. შამილაძე, 2001: 178).

მნიშვნელოვანი იყო გაზეთის დაარსება 1819 წ. პრესის განვითარებაში დიდია სოლომონ დოდაშვილის წვლილი. მასვე ეპუთვნის „ლოგიკის“ სახელმძღვანელო რუსულ ენაზე. 1818-32 წწ. მისი რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი „თბილისის უწყებანი“. 1832 წ. დაარსდა პირველი ლიტერატურული გაზეთი „სალიტერატურო ნაწილი თბილისის უწყებათანი“. აღნიშნულ გამოცემებში იძებლებოდა სამეცნიერო ხასიათის ნაშრომებიც. საკვლევ პერიოდში გამოდიოდა აგრეთვე: „კავკასიის კალენდარი“, „კავკაზი“, „კავკასიის სიძველენი“. ცოტა მოგვიანებით (1860-იანი წლებიდან) - „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები“ (ვ. შამილაძე, 2001: 183).

ცოდნის გადაცემა - გაცემას ემსახურებოდა 1846 წ. დაარსებული საჯარო ბიბლიოთეკა, ცოტა მოგვიანებით კი კაგვასიის მუზეუმი.

განვითარდა ქართული ლიტერატურა. დაწინაურდა რომანტიკული ლიტერატურული მიმდინარეობა (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები, სოლომონ რაზმაძე, მიხეილ თუმანიშვილი). 1840-იანი წლებიდან ლიტერატურაში გზა გაიკავა ოეალისტურმა მიმდინარეობამ (გიორგი ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, ლავრენტი არდაზიანი). მე-19 დასაწყისიდან თბილისი იქცა კავკასიის ცენტრად, სადაც ფეხი აიდგა მე-19 ს. აზერბაიჯანულმა და სომხურმა ლიტერატურამ. საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა არაერთი უცხოელი მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე (პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი (რუსეთიდან), ალ. დიუმა (საფრანგეთი), ბოდენშტედტი (გერმანია) და სხვა.

თბილისში, წარჩინებულთა ოჯახებში იმართებოდა ევროპული ხასიათის საღამოები და მეჯლისები. 1851 წ. დაარსდა იტალიური ოპერა. ფეხი მოიკიდა თეატრით გატაცებაში. თბილისის ლიტერატურულ სალონებში იდგმებოდა სპექტაკლები რუსი და უცხოელი დრამატურგების პიესების მიხედვით. სოფელ მეჯვრისხევში წარმოდგენილ იქნა შექსპირის „ოტელო“.

ერთი სიტყვით, თვითმყოფად კულტურასთან და მეცნიერებასთან ერთად აშკარად გამოიკვეთა ევროპეიზმის საერთო ტენდენცია, რაც იყო საქართველოს ორიენტაციის ბუნებრივი მიმართულება და ცოდნის გაცვლის გამოხატულება.

აღმავლობის გზას დაადგა ქართული ხელოვნება. წყაროებში ხშირად მოიხსენიება „მსახიობელთა“, „მეოთატრონეთა“ „მსახიობ-ხუმარათა მთელი დასები“. 1791 წ. გიორგი ავალიშვილმა მევე ერეკლე მოორის კარზე დაარსა საერთო თეატრი. თეატრის დაარსებამ ხელი შეუწყო ქართული დრამატურგის განვითარებას.. გიორგი ავალიშვილმა რუსულიდან გადმოთარგმნა აღ. სუმარაკოვის პიესები. ითარგმნა აგრეთვე ფრანგი დრამატურგის რასინის ტრაგედია „იფილენია“, რომელიც დაიდგა 1795 წ.

დაწინაურდა მუსიკალური ხელოვნება. ფეხმოკიდებული იყო ტრადიციული მრავალებმიანი გუნდური სიმღერები. მცხეთის სკოლაში 300-მდე მგალობელ-მომღერალი აღიზარდა. თბილისში ბევრი აშენდი და მომღერალი ცხოვრობდა (საიათნოვა, სათარა, მაჩაბელა და სხვ.)

ცოდნის გაცვლა ყოველთვის როდი გულისხმობს მეცნიერთა ყოვლედრიურ ინტენსიურ ურთიერთობას, თუმცა მოითხოვს ცოდნის მართვისა და გაცვლა-გადაცემის პროცესის ეფექტურ ორგანიზაციას. ეფექტურობა კი დამოკიდებულია მოტივაციაზე, თუმცა საკვლევ პერიოდში საქართველოში იგი ძირითადად პირად ინიციატივასა და ენთუზიაზმს ეფუძნებოდა

ცოდნის გაცვლის ჩვენს მიერ შესწავლილი მოდელი სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს პროცესი დაბრკოლებებისა და ბარიერების გარეშე მიმდინარეობდა. ზოგადად, ცოდნის გაცვლის პროცესში არსებული ბარიერების ეროვნული მოდელი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

1. მძიმე ისტორიული ხელორი. ბრძოლა აგრესიის წინააღმდეგ და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.

2. ინდივიდუალურ ხასათი. ცოდნის გაცვლის სურვილის არქონა;

3. ცოდნის დემონსტრირების სურვილის არქონა,

4. დაეჭვება მირებული ცოდნის ხარისხსა და ობიექტურობაში

5. წახალისების არასაკმარისობა;

6. ინიციატივის არქონა;

7. პოლიტიკური კონიუქტურა და ა. შ.

დასახელებული ბარიერებიდან საკვლევ პერიოდში მთავარ დაბრკოლებად მაინც მძიმე ისტორიული ხელორი განიხილება.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც საქართველოში არანაკლებ აბრკოლებდა ცოდნის გაცვლის პროცესს. ესაა საკვლევ პერიოდში შრომისუნარიანი მოსახლეობის სიმცირე - მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა. მუდმივი ომიანობის ვითარებაში შრომისა და ბრძოლისუნარიანი მოსახლეობის მნისვნელოვანი ნაწილი სამშობლოს დაცის საქმეს ემსახურებოდა. ეს გამოწვევა საქართველოსათვის განსაკუთრებით საგანგაშო იყო. ერეკლე მეფემ კრწანისის ბრძოლაში 5 ათასი კაციც კი ვეღარ შეაგ-

როგა. აღნიშნული ფაქტორი უარყოფითად მოქმედებდა უფროსი თაობის ექსპერტული ცოდნის გამოყენებაზე. არ იყო გამორიცხული უფროსი თაობის ექსპერტული ცოდნის დაკარგვა. (ოლგა უხანოვა, 2015:138-139). თუმცა ცოდნის დაგროვება-გაცვლა-გადაცემა საქართველოში ძირითადად მაინც წინა თაობის გამოცდილებას, მემკვიდრეობითობის პრინციპს (როგორც უნიკალურ საბაზო ცოდნას) ეფუძნებოდა. მართალია მაშინ თრგანიზაციულად ვერ ხერხდებოდა ცოდნის სისტემის მეცნიერული მართვა-მეცნიერები, მაგრამ მემკვიდრეობითობის პრინციპზე დაფუძნებული ცოდნა ორიენტირებული იყო უნიკალური განმავითარებელი გარემოს შექმნასა და ინოვაციებზე

მიუხედავად აღნიშნული დაბრკოლებებისა, XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში წარმატებით და ეფექტურად ხორციელდებოდა ცოდნის გადაცემა როგორც მომავალი თაობისათვის, ისე სამეცნიერო საზოგადოებისათვის, დაინტერესებული ადამიანებისა და უცხოელებისათვის. საქართველო ითვისებდა ცივილიზებულ სამყაროში დაგროვილი ცოდნის მარაგს, თავადაც მონაწილეობდა ამ პროცესში და ხელს უწყობდა მის ეფექტურ გადაცემასა და პრაქტიკაში გამოყენებას.

წყაროები და ლიტერატურა:

1. მ. გაფრინდაშვილი, ქართული კულტურა XIX საუკუნეში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ. 1970;
2. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, IX, ტ. I-II, თბ. 1962, 1964;
3. ვ. გუჩა, ქართული კულტურა XVII-XVIII საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, თბ. 1973;
4. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკისა ქართველთა შორის, თბ. 1902;
5. სოლომონ თეზელაშვილი, სუფრის კოდექსი, მანიფესტი, თამადის მისტერია და ინსტიტუტი ძველ საქართველოში. თბ. 2000;
6. ა. როგავა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბ. 1950;
7. პ. ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, ტ. 1913;
8. მ. ქიქოძე, ქ. ჩხატარაიშვილი, სწავლა-განათლება და მეცნიერება საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, თბ. 1973;
9. ვ. შამილაძე, ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხების შესახებ, თბ. 2001;
10. შ. ხანთაძე, მარი ბროსე, თბ. 1966;
11. М. Джанашвили, Описание рукописей церковного музея, кн. III, Тифл. 1908;

12. Н. Зуб (Руденко), Этнографическое сведения о народах Кавказа в епистолярном наследии Украинских Учионных XIX века. Лавровский сборник, Санкт-Петербург, 2015;
13. Н. Я. Марр, К столетию со дня рождения М.И. Броссе, Записки ВОИРАО, т. XIV, 1902;
14. Я. Рейнеггс, Всеобщее историко-топографическое описание Кавказа, ч. I, Гота-СПб., 1796;
15. А. Сергеев, Барьеры к обмену знаниями: результаты эмпирического исследования, Менеджмент в России и за рубежом, N 4, 2013;
16. Олга Уханова, Проблема „ отцов и синовейЭ менеджменте знаний. Проблемы теории и практики управления, N 4, 2015.

წყაროები:

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი, აღწერილობა, S, I, 1950, ფურც. 127-128;
2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი, აღწერილობა S, I, გვ. 469-471;
3. институт рукописей национальной библиотеки Украины, ф. 3, N 5277, стр. 8;
4. Российский (Санкт-Петербург) государственный исторический архив, № 398, оп. 19, д. 308;
5. РГИА, ф. 398, оп. 81, д. 15107;
6. РГИА, ф. 1268, оп. 1, д. 9;
7. РГИА, ф. 796, д. 17;
8. РГИА, ф. 796, оп. 43, д. 17;
9. РГИА, ф. 1487, оп. 1, д. 323;
10. РГИА, ф. 1424, оп.1, д. 85;
11. РГИА, 733, оп. .87, д. 58.

Tamaz Phutkaradze
Ketevan Phutkaradze

*National Model of Academic Education and
Knowledge Exchange in Georgia
(1750-1850)
Summary*

The Georgian people had a high level of education and culture, which led to: the development of the country on its own educational and cultural traditions, the cultural heritage of the Old East (Shuamadhiya, Persia), and later the proximity to the Greek-Roman world, geographical location contributed to the acquisition of the world's cultural and scientific traditions, combining Western and Oriental education elements. Of course, development of culture and science was mainly based on Georgian traditions.

The article presents the types of academic education and knowledge exchange in 1750-1850, based on which the authors attempt to present a national exchange model of knowledge.

თუა ქათამაძე

შოთა ზეგანიშვილის ობადებითი შოთა ზეგანიშვილი

საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი ბათუმი გამოირჩევა არა მხოლოდ არაგენულებრივი ბუნებით, მაგრა ზღვის ხიბლითა და და მზიანი დღეებით, არამედ განსხვავებულად თბილი და მოსიყვარულე ხალხით, ეს სითბო არქიტექტურულ ძეგლებზეც კი ასახული. ქალაქი თავისი ძეგლი თუ ახალი არქიტექტურული შენობებითა და ზღვისპირა ბულვარით თანამედროვე საქართველოს საუკეთესოდ წარმოაჩენს.

მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან ბათუმში განსაკუთრებით მომრავლდა არქიტექტურულად მდიდარი შენობები, ისეთები როგორიცაა ბათუმის ლგოისმშობლის ტაძარი, ფოსტის შენობა, ზღვისპირა ბულვარის კოლონადები, არქიტექტორთა სახლი, საზაფხულო თეატრი. ქალაქის განაშენიანების პროცესში მონაწილეობას ევროპელი არქიტექტორებიც ღებულობდნენ. ძველი ქალაქი ძირითადად ორ და სამ სართულიანი შენობებით გამოირჩეოდა, ამავდროულად თითეული შენობის არქიტექტურული იერი ერთმანეთი-საგან მკვეთრად განსხვავდებოდა, რაც უფრო საინტერესოს ხდიდა ქალაქის იერსახეს. სასურველი იქნებოდა ეს ტენდენცია შეინიშნებოდეს თანამედროვე ბათუმის არქიტექტურაშიც, იმედია ქალაქი შეინარჩუნებს ღიდებული სიძველით და თანამედროვე სიახლეებით შერწყმულ ულამაზეს იერს.

მინდა კიდევ ერთხელ მივიქციო მკითხველის ყურადღება ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ იმ მასალებზე, რომლებიც ძველი ბათუმის არქიტექტურის შესასწავლად ღირებულია. განსაკუთრებით კი ქუთაისის მიხეილის სათავადაზნაურო, საადგილმამჟლო ბანკისა და ქუთაისის გუბერნიის სამშენებლო განყოფილების ფონდების დოკუმენტები, მირითადად გეგმა-პროექტები ქონების შეფასებებით.

როგორც ვიცით, თავის დროზე საადგილმამჟლო ბანკის დაარსება წინგადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოს, უფრო ზუსტად მაშინ ჯერ კი-დევ რუსეთის იმპერიის ამ ნაწილის ეკონომიკური წინსვლისათვის. ილია ჭავჭავაძის აზრით, ბანკის შექმნით ფინანსურად დასუსტებული თავადაზნაურობა ”გამხნევდება, გაბეჯითდება და ძველ ღიდებასა და პატივს დაიბრუნებს”, ამიტომაც ბანკის გახსნა თავადაზნაურობის კეთილდღეობის შესანარჩუნებლად იყო ჩაფიქრებული. თუმცა, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ქართველ თავადაზნაურთა მიერ გირაოდ ჩადებული სახლები მძიმე განაჩენს ექვემდებარებოდა. ამისი მიზეზი კი ეკონომიკური სიდუხების გარდა ბევრი სხვა ფაქტორიც იყო, რომლებზე საუბარიც, ამჯერად, ამ თემის საგანს არ წარმოდგენს. ჩვენთვის საინტერესოა ბანკის მიერ გირაოში ჩადებული სახლების გეგმა-პროექტები, რომელთა საკმაო რაოდენობა ძველი ბათუმის სახლებს განეკუთვნება.

პირველი სახლი, რომელსაც შევეხებით 2012 წელს ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემულ ”ბათუმის არქიტექტურული ძეგლები“-შია განხილული. ალექსანდრე თიროშვილის მოგონებებში ”ძველი ბათუმის ცხოვრებიდან“ - ვკითხულობთ: „სახლი ეკუთვნოდა თავად გურიელს. ადრე ამ ადგილზე იყო დიდი მინდორი და დაიწყო ქუჩის გაყვანა და სახლების მშენებ-

ლობა ვიდრე ქალაქის სათათბიროსათვის საკუთარი შენობა აიგებოდა სახლის მეორე სართულზე 1903 წლამდე განთავსებული იყო ბათუმის აღმას-კომი, პირველ სართულზე, რომელიც ირანელ ვაჭარს ჰქონდა ნაქირავები და დუქანში ხილი და ბოსტნეული იყიდებოდა, გვერდით კი იყო წიგნის მაღაზია ”ჭოროხი”. სახლი მდებარეობდა ყოფილი მარინსკის პროსპექტსა და მიხაილოვის ქუჩაზე.





ქუთაისის ცენტრალურ არქიგზი, მიხეილის სათავადაზნაურო ბანკის ფონდში დაცულია ორსართულიანი სახლის პროექტი, რომელიც მდებარეობდა ქალაქ ბათუმში მიხაილოვისა და მარინის პროსპექტის კუთხეში. ქვედა სართულზე, შესასვლელისა და კარების გარდა განთავსებული იყო 8 მაღაზია. მეორე სართული შედგებოდა 12 ოთახისაგან და 6 დამხმარე სათავსოსაგან.

1904 წელს მიხეილის სათავადაზნაურო ბანკის შემფასებელი კომისიის წევრების გასილი თუმანოვისა და გიორგი დადიანის დასკვნის მიხედვით სახლის ღირებულება შეადგენდა 40000 მანეთს. სახლოს ფართობი იყო 150 კვადრატული მეტრი. აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა მოედანი, დასაგლეთიდან დურსუნ ბეგ თანგერიძის მიწა, სამხრეთიდან - აღი ფაშას მიწა და ჩრდილოეთიდან ქუჩა.

ქუთაისის გუბერნიის საამშენებლო განყოფილების ფონდში დაცულია ბათუმში, მეჩეთის მოედანზე მდებარე სახლის პროექტი. იგი ეპუთვნოდა

როგორისცი თავად იესე გურიელს. სამწუხაროდ პროექტი დათარიღებული არ არის. წარმოგიდგენთ იესე გურიელის სახლის ორ პროექტს:




ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია აგრეოვე პეტერბურგისა და შერემეტევოს ქუთხის კუთხეში მდებარე ა.ს. და კ. პუხინიანების კუთვნილი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. იგი 1891 წლის 25 ოქტომბრითაა დათარიღებული. სახლი ააგო ბათუმის არქიტექტორ-ინჟინერმა ქაპიტან საზანოვამ. ხებართვა სახლის აგებაზე გაცემულია 1891 წელს, გენერალ-მაიორ კოლოდევის და ინჟინერ პავლოვის მიერ.



პუხინიანის სახლის არქიტექტურასა და ისტორიის შესახებ საინტერესო ინფორმაციაა წარმოდგენილი წიგნში ”ბათუმის არქიტექტურულ ძეგლები”.


მასში ვკითხულობთ: ”ორსართულიანი შენობის ფასადი ფრონტალურად იშლება ქუჩის მიმართულებით და კლასიცისტურ სტილშია შესრულებული, სახლი აგურითა ნაგები და შელესილი, ძირითადად ქუჩისკენ მიმართულ კორპუსს მარჯვნივ ეზოს მხრიდან ემატება ფრთა, რომელიც შენობის გეგმას შებრუნებული რუსული Y-ს მოხაზულობას უქმნის. ეზოდან ნაგებობას მესამე სხვენის სართული ემატება, რომელზედაც ხის, მომრგვალებულ კიბეს ავყავართ რიცხვებიანი მოაჯირით. შენობის ფასადი სიმეტრიულია. კიდევებში შესასვლელებია განთავსებული. მარცხნივ გვირაბი-გასასვლელი ლითონის ჭიშკარით, მარჯვნივ სადარბაზო.” შენობის მკაცრი, კლასიცისტური გაფორმება, მასშებურობა, ტექტონიკურობა შესანიშნავად ჯღება ქუჩის განაშენიანების ხასიათში და მის ორგანულ ნაწილად აღიქმება.” სახლის ისტორიის მიმოხილვისას ავტორები აღნიშნავენ, რომ სახლი აშენებულია XIX საუკუნის ბოლოს პუჩინიანის მიერ. სახლი საჯარო ვაჭრობის წესით გაყიდული 1931 წელს მასზე რიცხველი სახლმწიფო და ადგილობრივი გადასახადების ასანაზღაურებლად. წყაროების ცნობით გახეთ ”საბჭოთა აჭარისტანის” 1931 წლის 30 ოქტომბრის N 242-ში გამოქვეყნებული იყო განცხადება კარაპეტ პუჩინიანის საკუთრებაში მყოფი საცხოვრებელი სახლის მისამართზე ლენინის N20, 1931 წლის 3 ნოემბერს, 10 საათზე სახლის საჯარო ვაჭრობით გაყიდვის შესახებ.”




ქუთაისის მიხაილის სათავადაზნაურო ბანკის შემფასებელი კომისიის მიერ 1908 წლის 13 დეკემბერს ჩატარდა პუჩინაიანების სახლის დათვალიერება. დასკვნაში აღნიშნულია, რომ ბანკში დაგირავებული ქონება მდებარეობდა ბათუმში პეტერბურგისა და შერემეტევოს ქუჩების კუთხეში. მამული შედგებოდა 11 ქვის დუქნისაგან, 2 ქვის სახლის, 4 ბინის 22 ოთახის და 3 სარდაფისაგან. მამული შეფასებულია 25802 მანეთად. სულ მამული 339,50 კვადრატული საუკუნია.

მკითხველს წარმოგუდგენთ ქუთაისის გუბერნიის სამშენებლო განყოფილების ფონდში დაცული იგანე დაგითის ძე კაგაბაძის საცხოვრებელი სახლის პროექტს. სახლი მდებარეობდა ბათუმში, ნურიის ნაწილში - პუ-


ტერბურგის ქუჩაზე. ქუთაისის მიხეილის სათავადაზნაურო ბანკის მასალების მიხედვით, ივანე დავითის ძე კაკაბაძეს ქონება ბანკში ჩაუდია. საქმეში არსებობს ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1898 წლის 30 მარტს N441 გირავნობის მოწმობა ივანე დავითის ძე კაკაბაძის ქონებაზე. მიხეილის სათავადაზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის გამგეობა უგზავნის რა გირავნობის მოწმობას ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსს, სთხოვს ამ მოწმობაში აღნიშნულ მამულზე მოხსნას აკრძალვა, რომელიც არის დადგბული როგორც ამ მოწმობის, ასევე ბანკის მიერ სესხის მიცემის გამო 4000 მანეთის ოდენობით, გინაიდან ხსენებული სესხი სრულებით გამქრალია, სახლი რჩება მეპატრონის - კაკაბაძის მფლობელობაში. სამწუხაროდ გერ მოვახერხეთ ამ სახლის დღევანდელი მდებარეობისა და მდგომარეობის დადგენა, ბათუმის არქიტექტურის ისტორიის არც ერთ ადრე გამოქვეყნებულ გამოკვლევებში არაფერია აღნიშნული ზემოთხსენებული სახლის შესახებ. ამიტომაც გამოვიტანეთ დღის შუქზე ეს ფოლიანტი. ვფიქრობთ, რომ ეს ინფორმაცია საინტერესო იქნება მკითხველისათვის.



ჩვენთვის უცნობია აგრეთვე პარალოვის მიერ 1896 წელს აგებული სახლის ახლანდელი მდებარეობა. პროექტი ნამდვილად საინტერესო და მიმზიდველია. ამიტომაც წირმოვადგენთ მკითხველის წინაშე. სახლი ეკუთვნოდა ოგანეზ ავანეზოვის ძე ტანიევს და მდებარეობდა შეპელევის ქუჩაზე. გეგმა დამტკიცებულია გუბერნიის არქიტექტორის ქ. ტარასევიჩის მიერ. სახლი ორსართულიანია, კრამიტის სახურავით. მეორე სართული შედგება 9 საცხოვრებელი ოთახისაგან, ქვედა სართული 3 საცხოვრებელი ოთახისა და სამზარეულოსაგან. სართულებს აკავშირებს ქვის კიბე.



სახლის პროექტი განუხილავს ბათუმის საამშენებლო განყოფილებას. პროექტი დამტკიცდა 1881 წლის 17 ივნისს ინჟინერ კვაჩალოვის, შემდეგ კი გუბერნიის არქიტექტორის ქ. ტარასევიჩის მიერ. სახლის პირვანდელი მფლობელი ყოფილა ერვანდე ოგანეზის ძე შახ-მელიკიანი, ხოლო შემდეგ გადავიდა ოგანეზ ოგანეზის ძე ტანიევის მფლობელობაში.



სტატიაში წარმოდგენილი გეგმა-პროექტები მხოლოდ ნაწილია იმ მასალისა, რომელიც ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული მიხეილის სახელობის საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკის 1861-1921 წლების დაქუთაისის გუბერნიის საამშენებლო განყოფილების 1862-1918 წლების მასალებშია დაცული. საქმეშია უამრავი საინტერესო დოკუმენტი არა მარტო ბათუმის, არამედ დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და წარსულის შესწავლად.

ბალზაკის თქმით ”არქიტექტურა საზოგადოების ზნეობისა და მორალის საუკეთესო გამომხატველია“. შესაბამისად, ბათუმი ყოველთვის იყო და იქნება ზნეობასა და მორალზე დაფუძნებული ულამაზესი ქართული ქალაქი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ნაზი ფაილოძე, ლელა პეტლაძე, მანანა სურამელაშვილი, ირინე ელიზბარაშვილი, ციცინო ჩაჩეუნაშვილი, ბათუმის არქიტექტურული ძეგლები, ბათუმი 2012;
2. ქცა (ქუთაისის ცენტრალური არქივი), ფ . N 22, საქმე N 4254;
3. ქცა, ფონდი N183, საქმე N266, საქმე N 278, საქმე N 269, საქმე N 270.

Tea Katamadze

Again history of some house in old Batumi Summary

From the second half of the 19th century, the architecturally rich buildings in Batumi have increased: Batumi Virgin Mary Cathedral, Post Office, Seaside Boulevard Colonnades, House of Architects, Summer Theater. In article is presented projects of buildings, documents of Kutaisi building department fund and etc.

ზურაბ ბერიძე

გოვარდ დ უ მ ა რ ი ბ ა ზ ა

კომუნისტურმა რეჟიმმა უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, გადარჩენილებს კი ცხოვრება გაუმწარა და დაუმახინჯა. ყველაზე საშინელი კი ამ საზარელი რეჟიმის პერიოდში ის იყო, რომ ისჯებოდნენ სრულიად უდანაშაულო, ალალ-მართალი და პატიოსანი ადამიანები - ავტოცენტრის ჯაშუშობითა და ბეზღობით. ის იყო დრო, როცა ბოროტება ზეიმობდა სიკუთებები, ავტოცენტრის კაცობაზე, უსამართლობა-სამართლიანობაზე, მაგეზღლარა კი ბოროტად ხითხითებდა და ზეიმობდა „გამარჯვებას“.

ამ საშინელი ეპოქის უსამართლობის მსხვერპლი გახდა კიდევ ერთი ალალმართალი, გულიანი და შრომისმოქვარე ადამიანი, ჩემი ბაბუა - ისკენდერ ნურის-ძე ბერიძე. იგი დაიბადა 1898 წლის 12 სექტემბერს, შუახევის რაიონის სოფელ დარჩიძეებში.

ბაბუა, თავის ორ დასთან ერთად იზრდებოდა სოფლის ერთ-ერთი პატიოსანი გლეხის ნური ბერიძის ოჯახში. მისი დედა - ზექი სოფელ მაწყვალთიდან იყო. ჩემი წინაპრები მედროშები-ბაირახტრები, სოფლის თავკაცები იყვნენ და მათ სიტყვას ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ისინი გამოიჩინდნენ სამართლიანობითა და პატიოსნებით, რის გამოც მთელი სეობის პატივისცემა დაიმსახურეს.



ისკენდერ ბერიძის დები - ესმა და გულფიგო

სამშობლოსა და ადამიანის სიუკარულით გაიზარდა ბაბუაჩემი მოსიუკრულე ცოლ-ქმრის ოჯახში, მიიღო ოთხეკლასიანი განათლება. 20 წლის ასაკში დაოჯახდა. ცოლად შეირთო იმ პერიოდში საქართველოს შემადგენლობაში მყოფი იმერხევის ერთ-ერთი სოფლის ყვირალას მკვიდრი - ტან-წერწეტა ქალბატონი ქებირე.

მოსიუკარულე ოჯახში სამი ახალი სიცოცხლე გაჩნდა: ადალი, თამაზი და იოსებ ბერიძეები.



ისებენდერ ბერიძის შვილები -აღალი, თამაზი და იოსები

სითბო და სიუკარული სუფევდა ოჯახში. სამი ვაჟკაცი იზრდებოდა. ბუხარი გიზგიზებდა, კვამლი ადიოდა და მამალი ყიოდა, მაგრამ „ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა?“

ისებენდერ ბერიძე აქტიურად ჩაერთო საკოლმეურნეო მშენებლობაში, იყო სასოფლო საბჭოს დეპუტატი, 1944-1946 წლებში იყო ადგილობრივი სასოფლო არტელის თავმჯდომარე. იმ დროისათვის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელში თავმოყრილი იყო უზარმაზარი ძალაუფლება. საუბედუროდ იგი უმრავლეს შემთხვევაში დაკომპლექტებული იყო ულიოსი, უზნეო-გაუნათლებელი ადამიანებით. მაშინდელი კანონმდებლობით ეწ. არტელის წევრი „ხალხის მტერი“ რომ დაეპატიმრებინათ, პირველ რიგში იგი არტელიდან უნდა გაერიცხათ. **1944-1946 წლებში სოფელ დარჩიდების არტელს ხელმძღვანელობდა ისებენდერ ბერიძე.** მისი თავმჯდომარეობის პერიოდში სოფლიდან არც ერთი პიროვნება არ დაუპატიმრებიათ, რაც მიუღებელი იყო იმამინდელი უშიშროების სამსახურისათვის.

იმ დროისათვის უშიშროებიდან მარეთის ხეობაში მომაგრებული იყო ვინე კალანდარაშვილი, რომელიც შემდგომში გაუგონარი ავკაცობისათვის დანით აჩესა ახალგაზრდა ხიხაძირელმა ვაჟკაცმა - გაბაიძემ. კალანდარიშვილმა გადაწყვიტა ნებისმიერი ხერხით მოეშორებინა ისებენდერ ბერიძე, რადგან მსგავსი ადამიანები უდანაშაულო ხალხის დაჭერა - გაციმბირებას ხელს უშლიდნენ. ადამიანის მოშორებისათვის კი საკმარისი იყო ერთი რამ - ცილისმწამებელი, რომლებიც ისედაც მრავლად იყვნან იმჟამინდელ სინამდვილეში.

იდგა 1946 წლის შემოდგომა. ისკენდერ ბერიძე ბათუმის საკოლმეურნეო ბაზარში არტეფის წევრებთან ერთად კოლმეურნეობის კარტოფილს ჰყიდდა. მოულოდნელად მასთან გამოჩნდა უშიშროების სამი თანამშრომელი, რომლებმაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ბაზარშივე სახალხოდ აიყანეს ისკენდერ ბერიძე და გადაიყვანეს ბათუმის ციხეში.

ი. ბერიძის დაპატიმრების ამბავი ელვის სისტრაფით მოედო სოფელს. მთელი სიმძლავრით ამუშავდა ბოროტების მანქანა. სოფლიდან საწრაფოდ ჩაიყვანეს ცილისმწამებელი, ხეობაში თავისი ავკაცობით ცნობილი მეზობელი, რომლის ცილისწამების საფუძველზე ი. ბერიძეს ბრალად წაუყენეს საზღვრის უკანონ გადაკვეთა ანუ ჯაშუშობა. გამოუნახეს აგრეთვე მეორე მოწმეც და შეიკერა საქმე, მაგრამ ბრალდებული ბრალს არ აღიარებდა. ბრალის აღიარების მიზნით ი. ბერიძეს თავს დაატეხეს სასტიკი წამება. ი. ბერიძის მონათხრობის მიხედვით პირველი რვა დღე იგი ამყოფეს ბეტონის იატაკიან ცივ სარდაფში. პატიმარი ერთ პოზაში უნდა ყოფილიყო. ორივე მხარეს გვერდიდან ედგა ორი ჯარისკაცი შტიკიანი თოვებით. ჯარისკაცები ყოველ ექვს საათში იცვლებოდნენ. განძრევის შემთხვევაში ისინი შტიკსა თუ დანის პირს აძგერებდნენ სხეულის იმ ნაწილში, რომელიც გაანძრია ბრალდებულმა. ი. ბერიძემ ვედარ გაუძლო ამ არაადამიანურ წამებას და მერვე დღეს გაითიშა. დასერილ ფეხებსა და ხელებზე ჭრილობები გაუმიზებდა, დაუჩირქდა და ცოცხალ ადამიანმა ლპობა დაიწყო. დაავადებული პატიმარი ციხის ლაზარეთში გადაიყვანეს, სადაც თვენახევარის განმავლობაში მკურნალობდა. ამის შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში კვლავ გაგრძელდა წამება სხვა გაუსაძლისი ფორმებით, ბოლოს კი ი ბერიძის გაუტეხელობით ჰქუაგადასულმა გამომძიებელმა იგი საიდუმლოდ, დამით ორ სანდო პირთან ერთად ნავით ზღვაში გაიყვანა, შუბლზე იარაღი დაადო და ბრალის აღიარება მოთხოვა: „ან ბრალს აღიარებ, ან არადა მოგკლავ და გაქცევას გავაფორმებო“.

ი. ბერიძე იძულებული გახდა დაებრალებინა ის, რაც მას არ გაუკეთებია.

რაოდენ გასაკვირი და დაუკერებელიც არ უნდა იყოს, ი. ბერიძე არასოდეს არ სჯიდა გამომძიებელს, რადგან სწამდა, რომ მას იმ პირობებში სხვა გზა არ ჰქონდა. უნებურად გაგასხენდება ნოდარ დუმბაძის ნაწარმოები „თეთრი ბაირალები“, რომელშიც გამომძიებელი ბრალდებულ ნაკაშიძეს ეუბნება: „ნაკაშიძე შენი საქმე აღესილ ნაჯახივით მადევს კისერზეო“.

არარსებული დანაშაულის „აღიარების“ შემდეგ ი. ბერიძე შორეულ ციმბირში შემზღომი ეტაპირებისათვის გადაიყვანეს თბილისში, გლდანის ციხეზე. ეტაპირებამდე, ბრალდებულის ოჯახის წევრებს მიეცათ გლდანის ციხეზე მყოფი პატიმრის ნახვის უფლება. მამას ციხეზე უფროსმა შვილმა აღალი ბერიძემ ჩააკითხა სოფლიდან წადებული პატარა ამანათით (საბანი, ლეიბი, ზამთრის ჩასაცმელები, მცირე სანოვაგე და 50 მანეთი). სადილი საკანში ყველამ თანაბრად განაწილა. სადილობის შემდეგ საკანის კარებთან ი. ბერიძეს დახვდა „ქურდი“ ორ პატიმართან ერთად და ფული მოთხოვა. „ციხის კანონით“ პატიმრებთან შემოსული ფული ქურდთან უნდა მისულიყო, რომელიც საკუთარი შეხედულებსამებრ გადაანაწილებდა შემოსულ თანხას. ი. ბერიძემ ეს წესები რა თქმა არ იცოდა (ცნობისათვის, ი. ბერიძე ფიზიკურად ძლირი კაცი იყო. ეს სიძლიერე პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგაც შეინარჩუნა. განსაკუთრებით ძლიერი ჰქონდა მარცხენა ხელი. იგი 85 წლის ასაკში გარდაიცვალა და სოფელში არ დადიოდა კაცი, ვინც

მას მარცხენა ხელს გადაუწევდა). ცხადია მან უარი უთხრა მომხვდურებს ფულის გადაცემაზე, რასაც მოყვა ჩხუბი. ი. ბერიძეს არასასურველი სტურები შემოელახა. ციხის დაუწერელი კანონით ქურდზე ხელის ამღები სიკვდილით ისჯებოდა. მაგრამ იმ საღამოს ციხეში ბუნტი მოხდა. პატიმრების ნაწილი გაიქცა ი. ბერიძის მიერ გალახული ქურდიც. გაცეულები დაიჭირეს და ჩაცხრილეს, დანარჩენები კი ციმბირის გზას გაუყენეს. მათ რიგებში იყო ისკენდერ ბერიძე.

ი. ბერიძეს 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. დაიწყო პატიმრის საშინელი ცხოვრება შორეულ ციმბირში, ჩეულებრივი ადამიანისათვის აუტანელ პირობებში. პირველი ერთი წელი იგი ჰყავდათ „კრიტში“ ე.წ. დახურულ ზონაში. მისი მონაცემლის მიხედვით პატიმრებს „ბეგონის იატაცზე ემინათ, სიდუხჭირისა და სიმრავლის გამო თევზებივით იყვნენ ჩაწყობილი ისე ჭიდროდ, რომ ერთი პატიმარი მარტოდ მხარს ვერ იცვლიდა, ამიტომაც დამის 12 საათზე და დილის 6 საათზე აღვიძებდნენ ბრძანებით: ბრუნი მარჯვნივ მარცხნივ. პატიმარს სახელი არ ჰქონდა, ჰქონდა ნომერი“.

ისკენდერ ბერიძეს განსაკუთრებით არაადამიანურად მიაჩნდა წამების იქ გავრცელებული ფორმა. „პატიმარი გამოსატეხად შეყავდათ კამერაში მარტოდ. ციხის ენაზე ამას უწოდებდნენ ე.წ. „შიზო“-ს. ადამიანი კამერაში ფეხზე იდგა ხელებჩამოშევებული. შეუძლებელი იყო თავის განძრევა. ზემოდან წვეთავდა წყალი ისე, რომ ეცემოდა თავის ერთ წერტილში. პატიმრების უმეტესობა წამების ამ მეოდეს ვერ უძლებდა და ჭკუაზე იშლებოდა. ამიტომაც შეარქვეს პატიმრებმა ამ კამერას „შიზო“//საგივეოთ.

ერთი წლის შემდეგ პატიმრები დახურული ზონიდან ბარაკებში გადაიყვანეს, სადაც ამუშავებდნენ ტყეში, აუტანელ ყინვასა და სიცივეში დღედამები 16 საათის განმავლობაში. პატიმრებს არ ჰყავდათ დაცვა, რადგან ციხე ტერიტორიულად ისეთ ადგილას მდებარეობდა, რომ იქედან პატიმრის გაქცევა შეუძლებელი იყო. ტერიტორია გარშემორტყმული იყო გაუვალი ჭაობით, მეორეს მხვრივ კი ათასობით კილომეტრზე გადაჭიმული აუთვისებული ტაიგის გადალახვა საშინელი ყინვის პირობებში სიცოცხლის რისკთან იყო დაკავშირებული.

ციხის ადმინისტრაცია სშირად აწყობდა მასიური ჩხუბების ინსცინირებას. ერთ-ერთი ასეთი ჩხუბის დროს ვიღაცას ბოროტად დაამახსოვრდა ი. ბერიძის მწარე ხელი. იგი დამით, ლაპირულად მიიპარა მის საწოლოთან მძინარე კაცის მოსაკლავად. მაგრამ ი. ბერიძეს სულ ბოლო მომენტში გაეღვიძა, ელვის სისწრაფით სწვდა დანიან მაჯას და მაჯაშივე გადაამტვრია. სმაურზე პატიმრებს გაეღვიძათ, შურისმაძიებელი გაასამართლეს და ბარაკშივე მოგუდეს. „ციხის კანონით“ გაუსამართლებლად, მძინარე კაცის მოკვლა დაუშვებელი იყო და მისი დამრღვევი სიკვდილით ისჯებოდა. ასეთ გაუგონარ პირობებში გაატარა უდანაშაულო კაცმა თავისი ცხოვრების ცხრა წელიწად ნახევარი - 114 ოვე, 3468 ლევ.


მთელი ამ ხნის განმავლობაში, უკიდურესი გაჭირვების პერიოდში, ოჯახის მძიმე უღელს ი. ბერიძის მეუღლე უძღვებოდა. ისკენდერის დედა შვილის დარღმა ლოგინად ჩააგდო. იგი ვეღარ მოესწრო შვილის ციხიდან დაბრუნებას. ისკენდერ ბერიძის უფროსი ვაჟი ადალი 4 წლიან სამხედრო სამსახურში წაიყვანეს. მეორე შვილი თამაზი 12 წლისა, ხოლო უმცროსი შვილი იოსები ძუძუს ბავშვი იყო. მიუხედავად ამ ტრაგიზმისა, ოჯახის წევრთაგან არავინ გაბოროტებულა!

თამაზ ბერიძე, ისკენდერ ბერიძის მეორე ვაჟი 1954 წელს მოეწყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში - რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. მან შეძლო მიეღწია იმისათვის, რომ მამის საქმე ხელახად ძიებაში დაებრუნებინათ. 1955 წლის თებერვალში, ქალაქ მოსკოვის ბესხანის სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი მამა ისკენდერ ნურის-ძე ბერიძე უდანაშაულოდ იქნა ცნობილი, მოქსნა ბრალეულობა და სასამართლოსავე გადაწყვეტილებით იქნა რეაბილიტირებული.

1955 წლის დეკემბრის დასაწყისში, ი. ბერიძე ვადაზე ექვსი თვით ადრე გაათავისუფლეს. ციხის კარები ადმინისტრაციამ დღის სამ საათზე გაუხსნა. გათავისუფლებული პატიმარი ზამთრის მოკლე, სუსსიან დღეებში დღის სამ საათზე გაუდგა გზას. უახლესი დასახლებული პუნქტი - რკინიგზის სადგური ციხიდან 40 კმ-ის მანძილზე მდებარეობდა. გზად მიმავალს ორიოდე საათში შემოადამდა. თოვლის შუქზე იგი მარტოდ მიიკვლევდა გზას. მაშინაც სასწაულებლრივად გადაურჩა სიკვდილს. იგი მოგვითხრობს: „რაღაც მომენტში ვიგრძენი, რომ ვიყინები, გზიდან გადავუხვიე ტყეში, უახლოეს არყის ხესთან გავჩერდი და გადავწყვიტე ცეცხლის დანოება. არყის ხე კვარივით აალებადია, მაგრამ ბედის ირონია - ორივე ხელის თითები გათოშილი მქონდა, ვერც ერთი თითოთ ასანთის დერს ვერ ვიჭერდი, რომ გამეკიდებინა და ცეცხლი დამენთო, დაუძლეურებული ხის ძირში ჩავჯექი, ღმერთს შველა ვსოხვე და ცოლ-შვილზე ერთხელ მაინც თვალის შევლება ვინატრე. დაუძლეურებულმა ათიოდე კოლოფიდან ასანთის დერები გამოვყარე და გათოშილი ხელის თითებით დავიწყე ფათური ასანთის დერებში და მოხდა სასწაული: არათითზე მოშვებულმა ფრჩხილმა დაიჭირა ასანთის დერი, გაგარი და აბრიალდა ცეცხლი, გადავრჩი - გავიფიქრე და გონი დავკარგე. სიმხურვალემ მალე მომიგვანა გონს, სასიამოვნოდ გიზგიზებდა ხმელი არყის ხე“. როგორც მოგეხსენებათ, ციხის ადმინისტრაცია პატიმრებს ადამიანებად არ თვლიდა. მათ გათავისუფლების დროსაც კი არ ინდობდნენ და უკელა დონეს ხმარობდნენ, რათა პატიმრის გზა ხიფათიანი და საშიში ყოფილიყო. ამიტომაც გამოუშვეს ი. ბერიძე დღის სამ საათზე (და არა დილით), რადგანაც იცოდნენ, რომ ორ საათში 40 კილომეტრი არ დაიფარებოდა. პატიმარი ან გაიყინებოდა, ან ნადირი დაგლეჯდა. წესით ისინი ვალდებული იყვნენ უზრუნველეყოთ პატიმრის უახლოეს სადგურამდე გადაყვანა. მაგრამ ვინ იყო გამკითხავი?

ნანატრ სადგურს გათავისუფლებულმა პატიმარმა მეორე დღეს მიადგია და ორკვირიანი მგზავრობის შემდეგ მოსკოვში, შემდეგ კი ბათუმში ჩამოადგია. შეუახვეში ასული გადაჯდა მარეთის მიმართულებით შებნამდე მიმავალ ერთადერთ ავტობუსში. თითქმის სახლში მისული ი. ბერიძე ავტობუსის მდოღლის უკადრისმა კინადამ უკან, ციმბირში დაბრუნა: „ავტობუსში ბევრი ხალხი იყო, საკმაო ტვირთი მქონდა - თხე ჩემოდანი. მდოღლს ვთხოვე - ცოტა დამელოდე, ტვირთს დაგაწყობ, 10 წელია სახლში არ ვუფილვარ მეოქი. იმ არაკაცმა კი თანაგრძნობის ნაცვლად მითხრა: დასაჭერი იქნებოდი და იმიტომაც დაგიჭირესო. არ მახსოვს როგორ დავკარგე კონტროლი საკუთარ თავზე, მდოღლს ყელში ვსწვდი, ჯიბიდან დანადგამრე და რომ არა იმ მომენტისათვის ჩემთვის უცნობი უჩამბელი დავთისნიერი ქალბატონის უხრაფესი რეაქცია, მკვლელის სახელით მომიწევდა უკან დაბრუნება“ (ი. ბერიძის თხოვნით მათ ვინაობას არ ვასახე-

ლებ). შიშისაგან გაქვავებულმა მძღოლმა როგორც იქნა ავტობუსი ადგილი-დან დაძრა. ათიოდე წუთში მიმავალთ ი. ბერიძის შესახვედრად სოფლიდან წამოსული ხალხით დატვირთული კოლმეურნეობის მანქანა შეხვდათ. სახლში ასულს მთელი სოფლის მოსახლეობა შეეგება. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ერთ-ერთი პირველი, ვინც ი. ბერიძეს შეეგება, იყო ის პიროვნება, რომლის დასმენითაც მან ცხოვრების 10 წელი გულაგში გაატარა. შეილებმა მონატებულ მამას მიმიკით ცილისმწამებლის გაძევების ნებართვა თხოვეს, მაგრამ დიდსულოვანმა კაცმა შვილებს ამის უფლება არ მისცა. უფრო მეტიც, გარკვეული დროის შემდეგ მაბეზდარა-ცილისმწამებელს საცხოვრებელი სახლის ბინის საძირკველიც კი ჩაუქარა. კაცი, რომელიც მთელი ათი წელი ცილისმწამებლის დასჯაზე ოცნებობდა, ახლა სახლის მშენებლობაში ეხმარება! ეს არის დიდსულოვნების უპრეცენდენტო მაგალითი. მსგავსი ფაქტები ძალიან ცოტა იცის ისტორიაში. ამის გაკეთება მხოლოდ ღვთის რჩეულ ადამიანებს თუ შეუძლიათ!



ისკენდერ ბერიძე ბიძაშვილებთან ერთად

კიდევ ერთი კონკრეტული მაგალითი მინდა მოვიყვანო ისკენდერ ბერიძის დიდსულოვნებისა. მამა ხუთი წლის ასაგში დავკარგე. ბაბუას - ი. ბერიძის ხელებში გავიზარდე. სტუდენტობის დროს შემთხვევა მომივიდა, საჭმის ქწ. „დასურვას“ 4000 მანეთი სჭირდებოდა (1981 წლისათვის 4000 მანეთი საკმაოდ დიდი თანხა იყო). აწ გარდაცვლილ მერაბ ვაშაყმაძესთან ერთად 80 წლის ბაბუამ ინსტიტუტში მომაკითხა, ცალკე გამიყვანა, ფული გადმომცა და მითხრა: “არ დაგავიწყდეს, ვისი შვილი ხარო!“ დიდბუნოვან მოხუცს სიტყვაც არ დასცდენია მომხდარის მიზეზებზე. ფული გადმომცა, მიტრიალდა და წავიდა. მას შემდეგ ი. ბერიძემ ოთხი წელი იცოცხლა. ამ ხნის მანძილზე მას არც ერთხელ არ უთქვამს და არც უგრძნობინების ჩემთვის იმ უზარმაზარი ეკონომიკური ზარალის შესახებ, რომელიც მივაყენე ისედაც მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფ თჯახს. უფრო მეტიც, ჩემი ოჯახის არცერთმა წევრმა, მათ შორის დედამაც მომხდარიდან მთელი 20 წლის განმავლობაში არაფერი იცოდა ამ ინციდენტის შესახებ. მოხუცი კა-

ცის გაუგონარი სულგრძელობა და დიდსულოვნება ჩემთვის იყო ცხოვრების დიდი გაკვეთილი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ჩემი ცნობიერება. ასეთ ადამიანებს საზოგადოება არასოდეს ივიწყებს!

Zurab Beridze

The victim of injustice
Summary

The Communist regime has killed many people. The victim of injustice of this terrible epoch has become one of the ally, heartfelt and hardworking person– Iskender Beridze. The article presents tragic adventure of I. Beridze.

სოხო სტურუა

**თბილისის მუნიციპალიტეტის მინისტრის
მინისტრის მინისტრის მინისტრის
(1938 წლის გვერდზე)**

1937-1938 წლებში ბოლშევიკური რეჟიმის მიერ უკიდურესი სისახტიკით განხორციელებული რეპრესიების მიუხედავად, საქართველოში კვლავ იყვნენ ადამიანები, რომლებიც გამოსავალს წინააღმდეგობის უფრო მეტად გააქტიურებაში ხედავდნენ. თვლიდნენ, რომ უდანაშაულო ადამიანების მასობრივი დაპატიმრებებისა და დახვრეტების გამო მოსახლეობაში საპროგესტო მუხტი კულტინაციას იყო მიღწეული და მიაჩნდათ, რომ სწორედ ასლა იდგა ხელსაყრელი დრო ბოლშევიკური რეჟიმის დამხობისა და უდანაშაულო ადამიანების მასობრივი დასჯის შეჩერებისათვის.

1937 წელს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ლევან აბაშიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის გივი ქიქოძისაგან მიიღო ფარული დავალება - შეექმნა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ორგანიზაციის ბათუმის ჯგუფი. სტუდენტები 19-20 წლისანი იყვნენ. მათი მიზანი იყო დედაქალაქსა და ბათუმში ერთდროულად დაეწყოთ წინააღმდეგობის მოძრაობა. მოგვიანებით, გივი ქიქოძის საბრალდებო დასკვნაში ჩაწერენ, რომ „იგი იყო ნაციონალურ-ფაშისტური ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი და რომ გივი ქიქოძე გივი გაჩეჩილადის პირდაპირი დავალებით ეწეოდა მაგნებლურ საქმიანობას ლიტერატურულ ფრონტზე“.

1937 წლის დეკემბერში ლევან აბაშიძემ საიდუმლო დავალება გაანდობათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტს მიხეილ სტურუას.



მიხეილ სტურუა

ლეგან აბაშიძემ და მიხეილ სტურუამ დაიწყეს სიმედო სტუდენტების შემოკრება. ორ-სამ თვეში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ორგანიზაციის ბათუმის საინიციატივო ჯგუფში შევ 8 სტუდენტი იყო გაწევრიანებული:

- 1.ლეგან აბაშიძე;
 - 2.მიხეილ სტურუა;
 - 3.ჭოლა კილაძე;
 - 4.ალი (კიპა) წულუკიძე;
 - 5.ვახტანგ (გუბური) ჩხაიძე;
 - 6.დავით ნაცვალაძე;
 - 7.მარგო ჩხაიძე;
 - 8.ალექსანდრე ბაქანიძე;

ამ ჯგუფთან აქტიურად თანამშრომლობდნენ ბათუმის N 1 საშუალო სკოლასთან არსებული ლიტერატურული წრის წევრები:

1. ოსტომ ქიქავა;
 2. აკაპი გაშაკიძე;
 3. აკაპი ჭავჭანიძე;
 4. გალერიან ქანდელაძე.

ეს წრე ბათუმსა და აჭარის სხვადასხვა რაიონში უკვე მართავდა ლი-
ტერატურული ხასიათის ღონისძიებებს. შეკრებებზე კითხულობდნენ ლექ-
სებსა და მოთხოვნებს, აკეთებდნენ მოხსენებებს, დგამდნენ სპექტაკლებს.
ეს ღონისძიებები ეროვნული სულისკვეთებით იყო გამსტებული.

1938 წლის მარტში გაიმართა საქართველოს ახალგაზრდების დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ორგანიზაციის ბათუმის ჯგუფის დამფუძნებელი კრება. სადმე შენობაში, თუგინდ საცხოვრებელ სახლში რვა ახალგაზრდის შეკრება სახიფათო იყო. რომელიმე თვითმხილველი დიდი ალბათობით მიაწვდიდა სამართალდამცავებს ინფორმაციას საეჭვო შეკრების შესახებ. ამიტომაც სტუდენტებმა თავშეყრის აღილად ბათუმის ბულვარი აირჩიეს. აქ ხომ ისედაც ბევრი ახალგაზრდა სეირნობდა. ლია ცის ქაშ გამართულ ქრებას უცხოთა ყურადღება მართლაც არ მიუწვდიო.

კრებაზე დაფუძნდა ბათუმის ჯგუფი და წევრებს შორის განაწილდა დავალებები. გადაწყდა დაეხეჭდათ და მთელ ქალაქში ფარულად გამოეპრათ პროკლამაციები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. ამ გზით ახალგაზრდები მოსახლეობაში არსებული ანტიბოლშევიკური განწყობების მობილიზებას და სახალხო მოძრაობის აგორებას იმედოვნებდნენ. პროკლამაციები თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ზოგადი სასიათოს. მოსახლეობას უნდა შეეტყო საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი იატაკებები თრგანიზაციის არსებობისა და მიზნების შესახებ, ხოლო შემდეგ, იგეგმებოდა ასევე პროკლამაციების გავრცელება და მოწოდებები მასობრივი შეკრიბებისა და სხვა აქტიური მოქმედებების თაობაზე.

პროგლომაციების დასაბეჭდად საჭირო იყო საბეჭდი მანქანა. იმ წლებში საბეჭდი მანქანის შემძნა ბუნებრივია, შეუძლებელი იყო. ხელისუფლების მხრიდან ტოტალური კონტროლის გამო მისი ყიდვა შავ ბაზარზეც კი ვერ მოხერხდებოდა. ჯგუფის წევრები იძულებულნი გახდნენ სხვა გამოსავალი ენახათ. სტუდენტებისთვის ცნობილი იყო, რომ ბათუმის ერთ-ერთი დაწესებულების პირველ სართულზე, ქუჩის მხრიდან, ფანჯარასთან იდო

საბეჭდი მანქანა, რომლის კონსპირაციულ ბინაში (ფარულად, დამით) გადა-
ტანა არც ისე როული იქნებოდა.

თუმცა ახალგაზრდების განზრახვას შესრულება არ ეწერა, ჯგუფის
ერთ-ერთი წევრი, ალექსანდრე ბაქანიძე გამცემი აღმოჩნდა... დამფუძნებელი
კრების მეორე დღესვე ჯგუფის ყველა წევრი - 18-20 წლის ასაკის ახალ-
გაზრდები - დაპატიმრებს.

„მე თბილისში გავიგე ლევანის, მიშას და მათი ჯგუფის წევრების და-
პატიმრების შესახებ - ისესენებდა როსტომ ქიქავა (გაზეთი „ბათუმის ხმა“
1993 წ.). ბათუმში ფარულად ჩამოვედი და მშობლებს გულახდილად მოუყვა-
ვი ჩემი პოლიტიკური საქმიანობის შესახებ, ვუთხარი, რომ ჩემი მეგობრები
დააპატიმრებს და მეც მალე დამაპატიმრებდნენ. იმავე დამეს მოვიდნენ ჩემს
წასაყვანად. ბათუმის შინაგანი ციხის კომენდანტი პირადად მოვიდა სხვა
უცნობი პირების თანხლებით. მათ ჩემი დაპატიმრების ორდერი წარმოადგი-
ნეს. დედახემი ატირდა, მუხლებზე დაუგარდა მოსულებს, ფეხებზე ემთხვია
კომენდანტს და ვეღრება დაუწყო. ჩემი დაპატიმრებიდან ერთი თვის შემდეგ
მამახემმა თავი ჩამოიხსრიო, იგი 48 წლის იყო.“

„დაპატიმრების პირველსავე დამეს აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო
კომისრის კაბინეტში აღმოვჩნდით - ისესენებდა მიხეილ სტურუა (გაზეთი
„ბათუმის ხმა“ 1993 წ.). დიდი რთახი იყო და გრძელი მაგიდის თავში
მჯდომი ძლივს ჩანდა. იქვე იყვნენ სხვადასხვა რანგის შინაგან კომელები.
კომისარმა მთხოვა მომეთხრო ორგანიზაციის შესახებ, რაზეც მე უარი გან-
ვაცხადე. ხანმოკლე კამათის შემდეგ დაიწყო ჩემი დამუშავება. შიშველს
მცემდნენ ბარებით და რკინის ჯოხით. გულისწავლა გავითამაშე. ცემა
შეწყვიტებს და ექიმი შემოიყვანეს, ქალი იყო. ექიმმა გამსინჯა და თქვა: გა-
ნაგრძეო ცემა, იგონებსო. კვლავ დამიწყებს ცემა, ისევ გავითამაშე გულის-
წავლა. ექიმმა კვლავ დართო ცემის ნება. ტანი მთლიანად დამისივდა და
დამისისხლიანდა. როცა ექიმი კვლავ დაიხარა პულსის გასასინჯად, ყელში
ვწვდი, მისი დახრიბა მინდოდა...“

„ფიზიკურ შეურაცხოფაზე უფრო მტკიცნეული მორალური შეურაც-
ხოფა იყო - ისესენებდა როსტომ ქიქავა. მოსამართლემ, როცა ეროვნება
მკითხა და ვუპასუხე, დვარძლიანად მითხრა, ქართველი კი არა აჭარელი
სარო. მე ვუთხარი: თქვენ უფიცობაზე პასუხს მე ნუ მაგბინებო-მეოქი. მან
გველის წიწილი მიწოდა. მოსამართლის ეს ნათქვამი გულში ჩამრჩა და ერ-
თხელ მესიზმრა თითქოს ქართველი არ ვიყავი. მას შემდეგ ფხიზლად მძი-
ნავს, რომ სიზმარი არ განმეორდეს“ - თქვა როსტომ ქიქავამ დაკითხვიდან
56 წლის შემდეგ (გაზეთი „ბათუმის ხმა“ 1993 წ.).

„ბორკილებგაყრილი საკანში თავქვე დამკიდეს და ქვემოთ კოცონი და-
ანთქს - ისესენებდა მიხეილ სტურუა - ცემისაგან დახეთხილ ტანზე, ჭრი-
ლობებზე მარილის დაყრით მემუქრებოდნენ. გამცემი ალექსანდრე ბაქანი-
ძეც დამიპირისპირებს, მაგრამ მათ რომ უნდოდათ, ისეთი ჩვენება, მაინც არ
მივეცი.


სასამართლო შედგა დაპატიმრებიდან 6 თვის თავზე, 1938 წლის სექ-
ტემბერში - ისესენებდა როსტომ ქიქავა - სასამართლოს დაწყებამდე დამოუ-
კიდებლობისათვის მებრძოლი ორგანიზაციის ბათუმის ჯგუფისა და ბათუ-
მის N 1 საშუალო სკოლასთან არსებული ლიტერატურული წრის წევრები
ერთ კამერაში მოგვათავსეს. მოსამართლის შეკითხვაზე, ვგრძნობდი თუ

არა თავს დამნაშავედ, ვუპასუხე - მე მონობის წინააღმდეგ ვიძრძოდი და თუ გადავრჩი კვლავ გავაგრძელებ ბრძოლას-თქო.

ბათუმის ჯგუფის თბილისელი თანამებრძოლი გივი ქიქოძე 1938 წლის ნოემბერში, 20 წლის ასაკში დახვრიტეს;

ლეგან აბაშიძეს 10 წელი მიუსაჯებს, სასჯელს თბილისის ციხეში იხდიდა;

მიხეილ სტურაშვილის ჯერ 8 წელი მიუსაჯეს, შემდეგ 10 წლამდე გაუზარდეს სასჯელი, ხოლო საბოლოოდ სამუდამოდ გადაასახლეს ციმბირში. გათავისუფლდა 1957 წელს ამნისტიით;



ოთხეტომ ქიქავას 8 ოქლი მიუსაჯებ;

ვახტანგ (კუკური) ჩხაიძე 8 წლით გადაასახლებ, კატორდაში მუშაობისას მოჭრილი ხელი და გარდაიცვალა;

კონა გიგინეიშვილს ჯერ დახვრეტა მიუსაჯეს, ხოლო შემდეგ სასჯე-ლი სამუდამო გადასახლებით შეუცვალეს;

ალი (კიბა) წელუგიძემ წამებას ვერ გაუძლო და ობილისის ციხეში გარდაიცვალა;

მარგო ჩხაიძემ 6 წელი გაატარა გადასახლებაში, აკაკი ვაშაკიძემ 7, ჭოლა კილაძემ 5, ხოლო ვალერიან კანდელაძმა და დავით ნაცვალაძემ 2-2 წელი;

დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ორგანიზაციის გადარჩენილი წევ-რები 70-ს გადაშორებულნი იყვნენ, როცა მოესწრნენ სამშობლოს დამოუკი-დებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.გაზეთი „ბათუმის ხმა“ 1993 წ.
- 2.გაზეთი „ბათუმის ხმა“ 1993 წ

Soso Sturua

*Batumi Group of Fighter organization
for Georgia's independence
(1938)
Summary*

In 1937, Levan Abashidze - student of Batumi Pedagogical Institute received a secret assignment from Givi Kikodze - student of Tbilisi State University – to create Batumi group of youth organization fought for independence. This article is about the issue.

რამაზ სურმანიძე

“შროვის შონებას სოფლი უ არ გა აკავშირდეთ”

ძეირფასო მკითხველო! დასაწყისშივე გეტჰეიო, რომ ფრთიანი ფრაზა „ზღვის ცა“ პირველად თქვა სახელოვანმა და სამაკონსტიტუციურმა, დიდმა მეცნიერმა, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალურმა დირექტორმა, გენერალმა ელგუჯა მემარიაშვილმა. რატომ დავიწყე ჩემი წერილი სწორედ ამ ტერმინით? უბრალო მიზეზების გამო. ჯერ ერთი, თავის მშობლიურ ქალაქ ბათუმს და ზღვას იგი დიდი მადლიერებით იგონებს, მეორე თავის ბიოგრაფიულ მოგონებებს სათაურად შეურჩია „ზღვის ცა“ და მესამეც, ისესენებს: ბათუმის „ცა პირს რომ შეიკრავს, ასეთ დროს განმარტოებისა და წვიმაში სეირნობისას დიდი ოცნებები და ფიქრები გაგიტაცებს, ეს ის მოგონებებია, რომელიც პირვანდელი სახით შემომრჩა ბათუმიდან. ალბათ მაშინ გამოიკვეთა მომავლის საფუძვლები თუ არა, კონტურები მაინც, რაც შემდგომ მთელი ცხოვრება გამყავა...“

ეს სიტყვები ნათქვამია საკმაოდ დიდი მოცულობის 404-გვერდიან წიგნში, რომელიც პირველიდან ბოლო სიტყვამდე ერთი ადამიანის, ელგუჯა მემარიაშვილის კალამს ექუთვნის, თუმცა იგი თავისი გვარის წინ წამოწევისგან თავის იკავებს ისე, როგორც მთელი მისი შემოქმედება, გენიალური აღმოჩენები და მათზე ხორცშესხმა იყო გასაიდუმლოებული და ანონიმური. რას ვიზამთ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიარ, უთქვამთ და ავტორმაც თავისი წიგნი - „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი“ (თბილისი, 2016), სახელ-გვარის მითითების გარეშე წარმოგვიდგინა.

ასეთი იდეალური ცხოვრების გამოც იყო, რომ არ ვიცნობდით მას. ვერც კი წარმოგვედგინა, რომ 1999 წლის 23 ივნისს 19 საათსა და 30 წუთზე შინაური და გარეშე მტრებისგან იავარქმნილ ქვეყანაში, რომელიც სახელმწიფოდ ჯერ არ მომწიფებულიყო, ცაში აიჭრებოდა აპარატი, რომლის ანალოგი ქვეყნიერებას არ ახსოვდა და რომლის სულისჩამდგმელი ქართველი კაცი, ელგუჯა მემარიაშვილი იქნებოდა.

არ ვიცნობდით-მეთქი ვთქვი და ამასთან დაკავშირებით ერთი ქარაფ-შუტა უურნალისტის ნათქვამი გამასსენდა. ბატონი ელგუჯა თავისი დიდი საკაცობრიო მნიშვნელობის წარმატების მიღწვისთანავე, სრულიად დამსახურებულად საქართველოს პარლამენტის მეოთხე მოწვევის დეპუტატად აირჩიეს. ბუნებრივია, ხშირად სიტყვითაც გამოდიოდა, თანაც უოველთვის მაღალპროფესიულად და გააზრებულად. იმ უურნალისტმა თურმე „აღმოჩნა,“ რომ ელგუჯა მემარიაშვილის ერთი გამოსხვა არაპროფესიული იყო და ამ საცოდავმა ეს ტვინის (თუ უტვინობის) პროდუქტი გაზეთშიც გამოაჯვეუნა მაშინ, როცა მისი სტატიის მთავარი გმირის მეცნიერული ნახელავი გარს უვლიდა და სერავდა დედამიწას.

ბუზის ნაკბენი რას უზამდა, მაგრამ შეწუხდა ელგუჯა, თუმცა გვერდით მჯდომმა დეპუტატმა, დიდმა პოეტმა, ჯანსულ ჩარკვიანმა იგი შემდეგი სიტყვებით დაამშვიდა: „ბიჭო, რას ჯავორობ... ჩვენ ხომ ქართველები ვართ და არ ვიცით ქართველი კაცის დაფასება... შენ რომ სხვა ერის კაცი ყოფილიყავი, თუნდაც ჩვენი ძმების წარმომადგენელი – სომები, აი მაშინ გენახა,


როგორ დაგაფისებდნენ და გატარებდნენ ხელის გულზე. – თქვა პოეტმა და ლექსიც მოაყოლა:

უკელაფერი გულს ეთქმის,
უნდა გულს უყვარდე,
მე არ ვამბობ რუსს-მეთქი,
შენ რომ სომებს ჰყავდე,
დედამიწას დაშლიდა
სიყვარულით დღეთა,
აგიყვანდა ცაში და
დაგტოვებდა დმერთთან....

ცაში სხვისი ხელით აყვანისა რა მოგახსენოთ, ელგუჯა თავისი დაულალავი შრომით, ნიჭით, ფიქრით და მიღებული შედეგით, თვითონ აიჭრა ცაში, ჩვენ კი ვალდებული ვართ, თუ ციურ აღმაფრენაზე არ ვიოცნებებთ, მიწიერად ვიამაყოთ ჩვენი სასახელო შვილით, მისი არნახული მეცნიერული მიღწევებით.

ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ ვისაუბრო ელგუჯა მემმარიაშვილის დიდ შემოქმედებით წარმატებებზე. ჩემდაგვარი უბრალო მოკვდავისთვის ეს მეცნიერება და მისი საიდუმლოებები მიუწვდომელია, ამიტომ მე მისი ცხოვრების ბათუმურ პერიოდს შევეხები, რომელიც მას საოცარი სიყვარულით, სიღრმით, და კეთილშობილებით აქვს მოთხოვობილი.

ელგუჯას მამა გიქტორ მემმარიაშვილი 1941 წლის 22 ივნისს მოხალისედ გამოცხადდა ბათუმის სამხედრო კომისარიაგში, ჩაიცვა ოფიცრის ტანსაცმელი, ხოლო სამოქალაქო სამოსი ახალშერთულ მეუღლეს ალექსანდრა გიორგაძეს სახლში სხვისი ხელით გაუგზავნა. ვიქტორმა დრო, 1945 წლის 9 მაისამდე ბრძოლებში გაატარა, გამარჯვება ბერლინში იზეიმა. საომარ მოქმედებებში იმდენად დიდად გამოიჩინა თავი, რომ იგი ბერლინის ერთ-ერთი რაიონის კომენდანტად დანიშნეს. როგორც ჩანს, კარგი პირობებიც შეუქმნეს, ამიტომ იგი ბათუმში საგანგებოდ ჩამოვიდა, რათა მეუღლეც გერმანიაში წაეყვანა, თუმცა ქალბატონმა ალექსანდრამ იმარჯვა და არა თუ გაყვა, ქმარიც აიძულა ბათუმში დარჩენილიყო.



ელგუჯა მემმარიაშვილის მშობლები

ამის შემდეგ ერთი წელიც არ გასულა, 1946 წლის 17 აგვისტოს ელგუჯა რომ გაჩნდა. თანდაყოლილ ნიჭს უნდა მივაწეროთ, რომ მის ხსოვნას შემორჩა ისეთი მოვლენები, რომელიც მასზე ორი-სამი წლით უფროსი პატარები თუ დაიმახსოვრებენ. ბავშვურ ხსოვნაში კი მე დავინახე დიდი დაკვირვების, გარემოებათა სწორი შეფასების, კაცომოყვარეობის, ზოგჯერ კეთილი ბავშვური მიამიტობის მაგალითები, რომლითაც გარემოსილი იყვნენ მისი თჯახის წევრები, მეგობრები, მოყვარე-ნათესავები და ახლობლები.

აბა მითხარით, ვის შეუძლია, თუ არა კაცომოყვარეს, თავისი ცხოვრების მოვონება დაიწყოს თჯახის უცვლელი მეცვლეთი, ამ შემთხვევაში რიჩარდ ჯაშით, რომელიც ალბათ არაერთხელ სწვევია ახალი წლის დამეს და გაუხარებია პატარა ბავშვის გული. დაკვირვებულობას უნდა მივაწეროთ აგრეთვე კედელზე ჩამოკიდებული ფერწერული ტილოთი მიღებული შთაბეჭდილებები (ჩამწკრივებული გემები, ზღვის და ცის ერთიანი სივრცე, მოწმენდილი ცისა და მშვიდი ზღვის შეგრძება), რაც დღემდე გამოყვა.

რაოდენ დიდი სიყვარულია ჩაქსოვილი ბავშვობის მეგობრების თამაზ გორგაძის, ალექო გვარიშვილის, მზევინარი ქიქავას, მანანა კოპლატაძის, ირაკლი შენგელიას, გენო ქაცარავას, დემურ თოფურიას, თამაზ თხილაიშვილის, ჯემალ აბაშიძის, დემურ ლიპარტიას, ლეილა მამალაძის და სხვათა გახსენებისას. მათი არ ვიცი, მაგრამ მე რატომდაც ვიგრძინი, რომ ელგუჯა თავისი საქმიანობის თავისებურებების გამო ერთხანს ჩამოშორდა მათ და ამით დიდ სინანულს გამოხატავს. პატარა ბიჭს კიდევ უფრო ღრმად შთაებეჭდა უფროსი ძმის ზურაბის სურათი, რომელიც 1938 წელს ორი წლისა გარდაცვლილა. შემდეგ ელგუჯას ბავშვური მეხსიერება გურიაში, იმერეთსა და ბორჯომ-ბაკურიანის ხეობაში გადაინაცვლებს. ჯიხეთის მონასტერი, დედის დედი მონაზონი მარიამი, ნათლობა... ფიჩხის შესაგროვებლად წასული მარიამი, რომელსაც გოდორში პატარა მგზავრი ელგუჯა პყავდა, ეკლესიის ეზოში დიდ ხეზე ზარი, რომელსაც ხელში აყვანილს არეკინებდა და ა.შ.



ქეთევან მიქელაძე
ელგუჯას პირველი
მასწავლებელი და
კლასის დამრიგებელი

ბათუმის პირველი სკოლის პირველი კლასიდანვე ჩვენს გმირს განსაკუთრებით დაამას-სოვრდა დამრიგებელი ქეთევან მიქელაძე; მის-მა „სახემ, დიდსულოვნებამ და კეთილშობი-ლებამ, ჩემში არამარტო კეთილი მოგონება, არამედ მუდმივად განახლებადი ემოციური მუხტი შემოიტანა და როდესაც ცხოვრების ასპარეზზე რაღაც წარმატებას ვაღწევ; კვლა-ვაც და კვლავაც ქალბატონი ქვთი მიქელაძე მახსენდება, რათა მისგან ვირტუალური შეფასება მივიღო“ – იგონებს იგი (პირველი ქართული...2016:32)

ისე, როგორც ბუნებაში არ არსებობს უმშობლო არსება, ასევე ვერ წარმოვიდგენთ ადა-

მიანს აღმზრდელი-პედაგოგის გარეშე. რაკი ასეა, ყველას გვახსოვს ჩვენი პირველი მასწავლებელი, ყველა ვიხსენებო მისგან ბოძებულს, მაგრამ ელგუჯას შეფასება იმდენად შთამაგონებელია, რომ ის შეიძლება მაგალითადაც გა-

მოგვადგეს, თუ როგორი მოკრძალებით და პატივისცემით უნდა ვისექნებ-დეთ მეორე მშობელს. ასეთ სენტენციებს ქვემოთაც მრავლად შეხვდებით.



თანაც თურქეთის საზღვარი ერთი ხელის გაწვდენაზე იყო“ (პირველი ქართული... 2016:32).

„ზღვის ცაზე“ ზემოთ რაც მოგახსენეთ, აღარ გავიმეორებ, მსოლოდიმას ვიტყვი, რომ ბავშვობის დროინდელი ყველა სახსოვარი, რომელსაც ზემოდან ამძიმებს მომდევნო ცხოვრების ურთულესი სათავგადასავლო სხოვნის ფენები, მაინც რჩება ელგუჯას მოგონების მთავარ ქვაკუთხედად. მინდოდა მეთქა, რომ მეჩვენება-მეთქი, მაგრამ არა, სინამდვილეა, რომ მის მსოფლმხედველობას საფუძველი ბავშვობიდნავე ჩაუყარა და ეს მის გამონათქმამებშიც მკაფიოდ იგრძნობა. ამას იმიტომაც ვამბობ, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც გვეყილება ასეთი უსაზღვრო ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები, რომლებიც ჩვენგან ძალზე გულდასმით დაკვირებას, მათი შესაძლებლობების გამოვლინებას და სწორ გზაზე დაყენებას საჭიროებენ. ელგუჯას მაგალითი კი მათ გამოადგებათ.

დიახ, ელგუჯას ბავშვობიდანვე იტაცებდა სივრცეები, უსასრულობა, რაც მოწიფეულ ასაკში საკაცობრიო მნიშვნელობის კვლევა-ძიების საგნად იქცა და რაც არნახული წარმატებით დაგვირგვინდა. ამ წარმატებებს იგი მამას უმადლის, რომელიც „გერ იტნადა შეფერხებას ან შეჩერებას, მით უმეტეს დასახული მიზნის მიღწევისკენ მიმავალ გზაზე... ეს თვისება მეც გამომყვა“ (პირველი ქართული... 2016:36). ვეთანხმებით, თანდაყოლილი ნიჭი გენეტიკურია, მაგრამ მშობლების ცხოვრების წესის გავლენა შვილის მომავალზე არანაკლებ როლს ასრულებს მის განვითარებაში.

სკოლაში ელგუჯა მსოლოდ ერთი მიზნით დაღიოდა – მიედო ხუთიანები. ვერც კი წარმოედგინა, რომ ამაზე ნაკლები აკადემიური მაჩვენებლით შორს წავიდოდა. ამასაც თავისი საფუძველი გააჩნდა. მამის შეუვალი მოთხოვნა იყო მოემზადებინა ქართულში, მათემატიკაში, ფრანგულში, ფიზიკაში და ქიმიაში. ამითაც არ კმაყოფილდებოდა. მათემატიკაში, როგორც შედარებით რთულ საგანში, ორი ცნობილი პედაგოგი, დოცენტი სილოვან დადუნაშვილი და „გირტუოზი“ მათემატიკოსი მაკარ კილასნია ამზადებდნენ.

ახლა დედას არ იკითხავთ? ქალბატონი ალექსანდრა ყოველ შაბათს ამოწმებდა მთელი კვირის განმავლობაში მიღებულ შედეგებს, გამოკითხავდა საგნებს, ათვალიერებდა ხაწერებს და უკმაყოფილო იყო მაშინც კი, როცა ხუთიანი ეწერა. დედაჩემის გავლენით გამომყვა „სიმძიმის“ გრძნობა, რომელიც დიდ განცდასთან და მოვალეობასთან იყო დაკავშირებულიო, ამბობს ელგუჯა.

ამასაც მიეწერება, რომ ბათუმის პირველი სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, გამოსაშვებ სალამოზე კი სიმარტოვეს გრძნობდა, მოწყებილი იყო, „იმის გამო, რომ ბათუშმი გატარებული სიყმაწვილის ხანა დამთავრდა. წინ რთული ცხოვრების გზა იწყებოდა“ ((პირველი ქართული... 2016:38).

ასეთი დატვირთვის პირობებში ყმაწვილს თავისუფალი დრო არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ შინაგანი მისწრაფება ხელოვნების, სპორტის მიმართ თავისას აკეთებდა და იგი ცეკვის ანსამბლში ამ დარგის დიდოსტატის ენვერ ხაბაძის, ხოლო ჩოგბურთში ცნობილი მწვრთნელის გურამ თოხაძის შეგირდი გახდა.

ცეკვაში ელგუჯას წარმატება განსაკუთრებული აღმოჩნდა. იგი ანსამბლში ჩარიცხეს და თბილისში გამართული კონცერტის დროს, მისმა ბავშვის სოლო-ხომერმა „განდაგანაშ“ მაჟურებელი ისე მოხიბლა, რომ ოვაციები დიდხანს არ ჩამცხრალა. კონცერტის დასრულების შემდეგ კი, იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვასილ მეავანაძემ, რომელიც მთავრობის ლოებით აღვინებდა თვალს, ბავშვი მასთან მიაყვანინა, მოეფერა და საჩუქრად პატარა მაჯის საათი გადასცა.

მთავარი სახსოვარი მაინც ელგუჯას „რაკეტმშენებლობაა“, რომლის იდეაც ასევე სრულიად უმწიფარ ყმაწვილს ჩაესახა. მან ეს აზრი მეგობარს გია პეტანტირაძეს გაუზიარა, დიდი თავგადასავლების შემდეგ საჭირო მასალებიც მოიძია და სკოლის დირექტორს დურსუნ მახარაძეს ეახლა. მისგან მიიღო ნებართვა ხელგარჯილობის სახელოსნოში ემუშავათ. მალე რაპეტაც მზად იყო და წრის ხელმძღვანელის შუამდგომლობით კონკურსგარეშე მონაწილეობდა თბილისის იპოდრომზე გამართულ მოდელების ფრენაში.

მექანიზმის არასწორად ჩართვის თუ სხვა მიზეზით რაკეტა უიურის მაგიდის წინ აფეთქდა, რის გამოც აჭარის გუნდი ელგუჯა მემმარიაშვილის, მიხეილ ჯანიგაშვილის, გასილ ურუშაძის და ალექო გვარიშვილის შემადგენლობით, შეჯიბრებიდან მოხსნეს. ასე უშედეგოდ და იმედგაცრუებით დასრულდა ელგუჯას პირველი „რაკეტმშენებლობის“ ცდა.

ასევე უშედეგო აღმოჩნდა მოზარდთა მიერ აწყობილი და ზღვის პირას პარტიზანულად, ნებართვის გარეშე, გატანილი რაკეტის ბედი. იგი აფეთქდა და დიდი ხმაც გამოსცა. ახლო-მახლო თაგმეფარებულმა ბიჭებმა იფიქრეს, გაფრინდაო, მაგრამ ადგილზე მისვლისას მისი ნაფლეთები დახვდათ. თითქოს მორიგი კრახი საკმარისი იყო, ასეთ საქმეზე ხელი აედოთ, მაგრამ მოხდა პირიქით, ისინი არათუ ჩამოშორდნენ, არამედ კიდევ უფრო გაუღვივდათ სწრაფვა და ინტერესი და კვლავ განაგრძეს ამაზე ფიქრი და ეს ელგუჯა მემმარიაშვილმა რა დონემდე აიყვანა, ცნობილია. საყურადღებოა, რომ მისი ერთი მეგობარი მიხეილ ჯანიგაშვილი კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, ხოლო ვასილ ურუშაძე საგურამოს სასტენდო კომპლექსის უფროსი.

ბორჯომ-ბაკურიანთან მიმართებაში საინტერესოა ელგუჯას მოგონებიდან ერთი ადგილი, რაც ხუთიოდე წლის ბავშვის დაკვირვების ნაყოფია:

„ხაშურის ძველ სადგურში მერცხლების გუნდი ადამიანებთან სულ ახლოს დაფრინავდა... ვაგონის ფანჯარას არ მოვცილებივარ. რკინიგზა მდინარე მტკვარს მარჯვენა ნაპირიდან მიყვებოდა. ვაკვირდებოდი მდინარეში ქვები, რომლებზეც წყალი ზემოდან გადადიოდა, დიდი თევზები მეგონა, დინების საწინააღმდეგოდ რომ მოცურავდნენ. წყალში ამოხული ხეები დავინახე და მატარებელიც ძალიან ახლოს მივიდა მდინარესთან. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს წყალში უნდა შესულიყო“ (პირველი ქართული... 2016:38).

რამდენი მოგონება და მემუარული ლიტერატურა წამიკითხავს, მაგრამ ბავშვს მისთვის უცხო გარემო ასე ოსტატურად და ხატოვნად დამახსოვრებოდეს, არ შემხვედრია. აქაც სულ ფრენა, სიჩქარე, წინსვლა, სწრაფვა და ვინახე და არც გამკვირვებია. ეს ელგუჯას ხასიათში იყო ჩასახლებული და მან აკი თავისი ხორცშესხმაც პპროვა.

ახლა სხვა გატაცებებიც გავიხსენოთ. ბიძის, გივი მემარიაშვილის დახმარებით ისე კარგად დაეუფლა ფოტოსეფლოვნებას, რომ ამ დარგის განვითარების მაშინდელ დონეზე, ერთ დღეში ასწრებდნენ ფოტოწამლების, ფირების და ქადალდის შეძენას, მათ მომზადებას, ფოტოსურათების გადაღებას, გამუდავნებას და დაბეჭდვას.

ელგუჯას ბავშვობა დაემთხვა იმ დროს, როცა მთელ ქვეყანაში კინო ერთ-ერთ გასართობს წარმოადგენდა და ახალგაზრდობაც ამაში პოულობდა თავის სულიერ საზრდოს, თუმცა ეს არაა მთავარი. კინოს სიყვარულმა კინოპროექტორის საიდუმლოებებშიც ჩაახედა და ბორჯომში, სანატორიუმ „ფირუზას“ კინომექანიკოსმა მე-4 კლასის ბიჭი დროებით თავის „შემცვლელად“ დანიშნა, თვითონ კი შეთავსებით სხვა სამუშაო გამონახა.



საოცარია ელგუჯას მიზანში სროლაც. ტირში მოგებაზე თამაშობდნენ და მისი თითქმის კველა გასროლა მეტირე სიმონას ძვირად უჯდებოდა. ბოლოს მან გამოსავალი იმაში ნახა, რომ ერთი კარგი პნევმოოფი ელგუჯას აჩუქა იმ პირობით, რომ მოგებაზე აღარ ითამაშებდა.

ელგუჯა მემარიაშვილის მოგონებების ბათუმური პერიოდიდან ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოხდინა გემის კაპიტნის ქუდმა, რომელსაც ატარებდა სკოლამდელ ასაკში, სკოლაში, სტუდენტობის დროს და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც, თბილისსა და მოსკოვში.

ამას ერთგვარი საბაბიც ამაგრებდა. ნურის ტბის მოკამპამე ტბაზე იგი საბავშვო გემის მეზღვაური იყო და მეტახელად „კაპიტანი“ შეარქვეს. ეს თავსაბურავი არა მხოლოდ კაპიტნის, იგი „ზღვის ცისაა“. ქუდი კაცობის, სიმამაცის, პუმანურობის, თავმდაბლობის, უანგარობის, ნიჭიერების, სამშობლოს და საკუთარი ხალხის უსაზღვრო სიყვარულის გამომხატვები, რომლითაც მისმა მამულმა და მშობელმა ერმა უნდა იამაყოს.

ასეთია ელგუჯა მედმარიაშვილის ცხოვრების ბათუმური პერიოდი. ამის შემდეგ იწყება „როგორი ცხოვრების გზა“ რომლის აღწერის უფლებას თავს ვერ მივცემ. დაე, იგი საქმის კარგად მცოდნე მემატიანებმა გამოიტანონ მზის შუქზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი“, თბილისი, 2016.

Ramaz Surmanidze

Elguja Medzmariashvili – life in Batumi Summary

Great scientist Elguja Medzmariashvili is the general constructor of the first Georgian object. She is born in Batumi. The article deals with the life of the great scientist.

ფრიდონ ქარდაგა

თემურ მარტინ გვ. გუბაშვილი და პატარა გვ.
1919-1920 პლ. შისტ
(ფონდი ი. 84-ის (კოლექცია) მიმოხილვა)

საარქივო სამმართველოში დაცული კოლექცია, ფონდი ი. 84 წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან და საინტერესო დოკუმენტაციას, რომელიც შეეხება საქართველოს პირველი რესპუბლიკის საქმიანობას. ფონდში იშვიათი და მკვლევარებისა და ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო მასალებია თავმოყრილი.

ზემოთხსენებული მასალა ჩვენს მიერ საარქივო წესით დამუშავებულ იქნა 2010 წელს. მანამდე ის ინახებოდა სამმართველოს პირველ სართულზე სხვა ფოლიანტებთან ერთდ. როგორც ირკვევა, ეს დოკუმენტები სხვა მნიშვნელოვან მასალასთან ერთად (ბრიტანული მასალები, ქუთაისის არქივის მასალის ასლები...) შემოტანდ იქნა 2004 წელს, აჭარის უმაღლესი საბჭოდან. ფონდში შესულია სულ თორმეტი საქმე და მის ქრონოლოგიურ ჩარჩოს შეადგენს 1919-1920 წლები.


პირველ საქმე ასახავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო (გარეშე) საქმეთა სამინისტროს საქმიანობა. მასში წარმოდგენილია აგრეთვე: 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება; რუსეთში საქართველოს წარმომადგენელის, ურატაძისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, გეგმებისა და ხინქრინის მიმოწერები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნარევი საქმეები. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება, ამონარიდები დასავლეთის პრესიდან, გენერალ უოკერის წერილები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი .

საქმეში დაცულია: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმოწერა თამბაქოს შესახებ (მათ შორის ინგლისურ, ფრანგულ და იტალიურ ენოვანი დოკუმენტები - 1919 წლის 20 ოქტომბერი- 1920 წლის 11 თებერვალი);

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საიდუმლო მიწერ-მოწერა, საქართველოს რეგიონების (ცხინვალი, ახალციხე...) რწმუნებულთა, სამხედრო, შინაგან საქმეთა და სახვა სამინისტროების ხელმძღვანელთა მოხსენებით ბარათები მთავრობის თავმჯდომარისადმი, ბათუმთან დაკავშირებული მიმოწერები (1920 წლის 26 აპრილი - 1921 წლის 1 ოქტომბერვალი) ინგლისის წარმომადგენლობასთან.

სპეციალისტებისათვის უაღრესად საინტერესოა საქმეში დაცული ბათუმში საქართველოს კონსულის მიმართვები ბრიტანულ მმართველობისადმი, ბათუმის მიმართვების მიმართვები ბრიტანულ მმართველობისადმი, კაპიტან კუმინის, კაპიტან კერნენის, მაიორ დუნნეს და სხვათა პირთა მისამართით.






ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის,
ბათუმში საქართველოს კონსულისა და
სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენელთა
მიმოწერები

დემოკრატიული საქართველოს ისტორიისათვის განსაკუთრებული
მნიშვნელობა ენიჭება საქმეში დაცულ სხვა დოკუმენტებსაც, კერძოდ: მიწერ-მოწერები ინგლისის წარმომადგენლობასთან ბათუმში, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის, ბათუმში საქართველოს კონსულისა და სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენელთა მიმოწერები; ბათუმში საქართველოს კონსულის მიმართვები ბრიტანულ მმართველობასთან.

დოკუმენტებში შეგვიძლია გავეცნოთ სისხლის სამართლის დამნაშველთა გაცემის შესახებ კონვენციას აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის; მიმოწერებს ინგლისის მისიასთან; ბათუმის კონფერენციის სხდომის მასალებს.

ფონდში მდიდრადა ინფორმაცია ინგლისელების მიერ ბათუმის დაკავებასთან დაკავშირებით. აქვეა დაცული სხვადასხვა სახის მემორანდუმებსა და მიმართვები ფრანგულ ენაზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ძირითად კორესპონდენციები, ნარევ საჭმები.

ფონდი მდიდარია აგრეთვე საქართველოს დამფუძნებელი კრების მასალებით. მასში წარმოდგენილია ოქმები, დამფუძნებელი კრების მიერ მოკავშირე სახელმწიფო კარლამენტებისადმი გაგზავნილი მიმართვები, დოკუმენტები ფრაქციებისა და ბათუმის შესახებ, სანრემოში ქართული დელფაციის საქმიანობის ანგარიშები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილები საბჭოთა წარმომადგენლობის შესახებ.



მასალები შეეხება ასევე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმოწერას პოლონეთის შესახებ. ფონდში დაცულია აგრეთვე კონსტიტუციის პროექტი.

როგორც ვხედავთ, საარქივო სამმართველოში დაცული ფონდი ი-84 (კოლექცია) ფრიად საინტერესოა თავისი შინაარსითა და შემაღენლობით. ეს ფონდი დიდ დახმარებას გაუწევს მკვლევარებს, სტუდენტებს, კონკრეტული პირებს, ფართო საზოგადოება ს- საქართველოს ისტორიის ამ მეტად მნიშვნელოვანი და გარდამტები პერიოდის შესწავლის, მეტად მნიშვნელოვანი მოვლენების გაანალიზებისა და სიტუაციებში წვდომის საქმეში.

გამოყენებული წყაროები:

1. ასს ცხა, ფ. ი-84

Fridon Kardava

*Democratic Republic of Georgia
1919-1920 years
(An overview of the fund - I 84 (collection)
Summary*

In Archives Administration is preserved Fund I – 84, which represents the most important and interesting materials for the history of the first republic of Georgia. Article reviewes archival documents kept in this fund.

**მზია სურმანიძე
ნინო გოგიძიძე**

**იშტ ბაზო თბელი ჯრ თბილი უდ თ გვ თბილ უ
ძბჯ უბაზო ძა ლ უ კ უ უ უ უ
(საარქივო დოკუმენტების საფუძველზე)**

ბათუმის საქალაქო გაუთა სამკლასიანი სასწავლებელი 1881 წლის 1 ივნისს გაიხსნა. რეორგანიზაციის შემდეგ, 1899 წელს იგი გადაკეთდა ჯერ ექვსკლასიანი, ხოლო 1915 წელს უმაღლეს დაწყებით სასწავლებლად. გახსნიდან ცხრა წლის თავზე სასწავლებელში უკვე არსებობდა ექსპონატებით საკმაოდ მდიდარი სასკოლო მუზეუმი, რაც დასტურდება აჭარის საარქივო სამმარველოს დასახელებული სასწავლებლის ფონდში დაცული განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტით - სასკოლო მუზეუმის გზამპვლევით, რომელიც დაბეჭდილია 1892 წელს.



მეგზური არის პატარა ზომის, ლამაზ ვარდისფერ ყდაში ჩასმული ბროშურა, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი ეთმობა ექსპონატების რაოდენობას, მათ განლაგებასა და დახასიათებას, მეორე და მესამე ნაწილი კი შენიშვნებსა და წესებს. შენიშვნა ითვალისწინებდა კოლექციის ნუმერაციასა და მის ოანმიმდევრულ ზრდას, ხოლო წესებში განზოგადობული იყო დამთვალიერებელთა უფლება-მოვალეობები.



სასწავლებლის მუზეუმს საფუძველი ჩაეყარა 1890 წელს. მას დათმობილი პქნებდა ორი ოთახი. ფართი იმდენად ვიწრო და პატარა იყო, რომ ვერ იტევდა უკვე იმ დროისათვის არსებულ ექსპონატებს. ფართის სიმცირე არ იძლეოდა კოლექციის შეკვება-გაფართოებისა და ახალი განცოლებების შექმნის შესაძლებლობას.

მუზეუმის ნორმალურ მუშაობას ართულებდა აგრეთვე ფინანსების არქნა. ყველაფერი ეს ერთად აღებული ამუხრუჭებდა უფრო მუზეუმის გაფართოებას, რომლის სარგებლიანობაში უკვე უკვე აღარავის აღარ ეპარებოდა. ყველა აღიარებდა მუზეუმის არსებობის აუცილებლობას.

იმ დროისათვის მუზეუმში უკვე 2500-ზე მეტი ექსპონატი იყო თავმოყრილი. კოლექციის შედგენასა და გამდიდრებაში მონაწილეობას დებულოდნენ ამავე სასწავლებლის მოსწავლეებიც.

როგორც ითქვა, მუზეუმს თავდაპირველად დათმობილი პქნებდა ორი ოთახი. პირველ ოთახში კარადებში მოთავსებული იყო ფიზიკურ ხელსაწყოთა 60 ეგზემპლარი. მათი ლირებულება შეადგენდა 315.15 რუბლს. მუზეუმში წარმოდგენილი იყო:

- ადგილობრივ მცენარეთა თესლების კოლექცია;
- ძუძუმწოვართა ჩონჩხები, ბუს ფიტულა;
- ეტიმოლოგიური და ზოოლოგიური კოლექციები;
- ძველ თურქულ სასაფლაოზე ნაპოვნი ადამიანის თავის ქალა (სასაფლაოს ადგილზე იმ დროისათვის უკვე არსებობდა საღვარი);
- ქიმიური ცდების ჩასატარებელად საჭირო რეაქტივები და მოწყობილობები.

თაროებზე ინახებოდა დასპირტულ ცხოველთა და მწერთა კოლექცია, მცენარეული საღებავების, ზეთების, ადგილობრივი ობობების კოლექცია. ამ ოთახშივე ინახებოდა ატლასები, რუქები და ნახატები, გამხმარ მცენარეთა ათი ალბომი (ჰერბარიუმი), სულ 300 ეგზემპლარი. მაგიდებს შორის მოთავსებული იყო გლობუსი და უკუთი ადგილობრვი ფლორის მცენარეთა ნიმუშებით (დაახლოებით 500 ეგზემპლარი), ქობულეთის ტყეში ნაპოვნი დიდი ზომის ხის სოკო. თვალსაჩინოებისათვის კედლებზე გაკრული იყო სხვადასხვა სახის რუქები, ადამიანის ანატონიური აგებულების სურათები. აქვე იყო მწერალთა ბიუსტები. ფანჯარასთან იდგა პატარა აკვარიუმი და ბათუმის შემოგარენში გავრცელებული ხის ჯიშების კოლექცია.

დამთვალიერებელი მეორე ოთახში შესლვისას აღმოჩნდებოდა ბათუმის შემოგარენის ტყებისათვის დამახასიათებელი მცენარეების და ადგილობრივი ფლორის გარემოცვაში. ოთახში არსებულ მაგიდებზე განლაგებული იყო, როგორც ჭოროხის აუზის, ასევე გელათის მონასტრის მიდამოების, ართვინისა და ყარსის ოლქის მინერალების კოლექცია, აგრეთვე ინგლისის ქარხნის მინერალები, სადონის ვერცხლისა და ტყვიის წიაღისეული, ყაზბეგის მთის ბროლი, ხის და მამონტის გაქვავებული ნაწილები, სასწავლებლის 3-ე კლასის მოსწავლეების შეგროვებული გეომეტრიული ფიგურების მსგავსი კრისტალების კოლექცია. იქვე იყო გამოფენილი თითქმის ყველა კლასის მოსწავლეთა ნამუშევრები გეოგრაფიაში, ზოოლოგიაში, ზოგადა და ფიზიკაში.

დამთვალიერებელს შეეძლო ენახა ადგილობრივი პურული მცენარე „გომი“-ის ნიმუში, ზოოლოგიური კოლექცია: ჩონჩხი, თავის ქალა, რქები და ცხოველთა სხვა ნაწილები, ფრინველთა პეპრცხები, თეთრი ყანჩას ფიტულა, ბათუმის შემოგარენში გავრცელებული პეპლების კოლექცია, შავ ზღვასა და ინდოეთის ოკეანეში მოპოვებული ნიუარები, ადგილობრივი ჯიშის ხისგან დამზადებული ფირფიტები, კორპის ხის ნაწილი, რომელიც ინდოეთიდან იყო ჩამოგანილი, ხერხემლიანი ცხოველების ცალკეული ნაწილები და ქალა, კიბორჩხალა დანაწევრებული სახით, ბათუმის შემოგარენში მობინადრე მწერთა კოლექცია.

ფანჯრის რაფებზე განთავსებული იყო ბაქოში მოპოვებული და დამუშავებული მინერალური ზეთების, საღებავებისა და რეზინის კოლექცია, ფანჯრებს შორის მოთავსებულ შემინულ ვიტრინებში კი ელაგა ნუმიზმატიკური კოლექცია.

ოთახში, მრგვალ მაგიდაზე დამთვალიერებელი იპოვნიდა კატალოგს, სადაც საფუძვლიანად იყო აღწერილი მუზეუმის ნებისმიერი ექსპონატი. აქვე იყო ბათუმის ფლორის „ბოტანიკური კალენდარი“ და მუზეუმის დამთვალიერებელთა შთაბეჭდილებების წიგნი.

ყველა ქართველი მომენტის შესაძლებელი შენარჩუნებულიყო საგანთა ნომერაციის თანმიმდევრობა. ამ მიზეზის გამო ზოგიერთი საგანი დროებით რჩებოდა უნომროდ.

კველა კარადას, ყუთსა თუ მაგიდას მიკრული ქონდა შესაბამისი ნომერი. გზამკვლევის დაბეჭდვის შემდეგ მუზეუმში გამოფენილ თითეულ ექსპონატზე იქნებოდა განმარტებითი ანოტაცია.

გზამკვლევში ცალკე პუნქტადაა გამოყოფილი წესები მუზეუმის დამ-
თვალიერებელთათვის:

1. ნებისმიერ მსურველს სასწავლებლის მუზეუმში შესვლა შეეძლო უფასოდ;
 2. მუზეუმი კვირაში ორჯერ იხსნებოდა, ხუთშაბათობით (11 სთ-დან 12.30 სთ - მდე) და კვირაობით (10 სთ-დან 12 სთ-მდე);
 3. უმცროსი ასაკის ბავშვები მუზეუმში არ დაიშვებოდნენ;
 4. აკრძალული იყო შენობაში მოწევა და ძაღლების შეყვანა;
 5. ყველა ტიპის განმარტებებისათვის, რაც მუზეუმს ეხებოდა უნდა მი- ემართათ მუზეუმის ხელმძღვანელობისათვის.

მუზეუმის ხელმძღვანელი იყო ამავე სასწავლებლის მასწავლებელი ი.

ПРОТОКОЛЪ

Засѣданія Педагогическаго Совѣта Батумскаго Городскаго Училища
состоявшагося 15 декабря 1893 года.

Представительство въ губерніи Уфимской Речного суда

Присутствовали члены совета ~~Бахчандинского сез-
щества~~: А. Ильинский, членовед О. Н.
Дмакова, В. И. Козлова, в.п. членоведом
Н. И. Гайдара и Ч. Д. Мархраман.

Обсуждали.	Постановили.
Почувствии отъ Исполкома. Зургидского городского столичного исполкома.	<p>Чтобы посторонний Зургидский городской исполкома г. Г. Г. Чистяковым и представителями заведовъ изъ музея Башкирского губернаторства было уничтожено въ здании бывшего земельного комитета, Иоанн- ировъ въ музеи Башкирии изъ когд. О Башкирскомъ земельномъ комитетѣ имѣется одна фотографія на Чистяковскомъ, а затѣмъ Фрунзѣ въ Сибирскомъ генеральскомъ училище Румянцевской губерніи. На настоящемъ образѣ г. Чистяковъ запечатленъ въ касахъ беретомъ съ бронзовыми (бронз.) инсигніями каковыхъ, какъ видѣлъ, педагогическіе обраты не имѣютъ сихъ, при чемъ и въ данномъ Кунсткамерѣ ученіи периодъ изъ времія бывшаго г. Чистякова небывало по многовѣковому измененію. Тогда же, какъ изъ училища вышелъ.</p> <p>Решено създѣть въ музее Башкирии изъ времія г. Чистякова Зургидскому городскому исполкому г. Г. Г. Чистякову.</p>

ე. ცელოვალნიკოვი, რომელიც 1893 წელს გადაიყვანეს ზუგდიდის საქალაქო სახაზავლებლის ინსპექტორად. საარქივო მასალიდან ირკვევა, რომ ცელოვალნიკოვს ბათუმის სასკოლო მუზეუმიდან წაუღია სხვადასხვა სახელმწიფოს სპილენძის ძველი მონეტები, და უკან უბრუნებს სასწავლებელს. ეს საკითხი განიხილა სასწავლებლის პედაგოგიურ-მა საბჭომ 1893 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომერეობდა სასწავლებლის ინსპექტორი ქოსტანტინე მაჭავარიანი. სხდომაში დაადგინა მიეღოთ და შესაფერი ადგილი მიეჩინათ ცელოვალნიკოვის მიერ უკან დაბრუნებული 48 მონეტისათვის. ოქმს ხელს აწერენ მასწავლებლები: თეოფანე ჯაფული და იმ დროისათვის სასწავლებლის მუზეუმის ხელ-მძღვანელი გაბულოვი.

ბათუმის საქალაქო სასწავლებლის მუზეუმის სიღრმისეული გზამ-კვლევი მომზადდა და გამოსაცემად გადასცეს ბათუმში პირველი მესტამბის ა. 6. მახარაძის ტიპო-ლითოგრაფიას.

გამოყენებული წყაროები:

1. ასსცსა, ფონდი ი-9, ანაწ. 1, საქ. 21, ფ. 3-13
2. ასსცსა, ფონდი ი-9, ანაწ. 1, საქ. 22, ფ. 19

Mzia Surmanidze

Nino Gogitidze

A short guide of the museum at Batumi City School Summary

Batum Three-Grade School of boys was opened on June 1, 1881. A few years later, the school has already had a very rich school museum with exhibits, which is confirmed by a special valuable document preserved in the Archives Administration of Ajara - the guide of the school museum printed in 1892. The article is about this guidebook.

ელგუჯა ჩაგანაგა

ძაღლურის მუზეუმი

ბოლო წლებში განსაკუთრებით იმატა უცხო ქვეყნის სტუმართა თუ დამსკვერებელთა რაოდენობამ. თუ ადრე უცხოელებს მხოლოდ ბათუმი და შავი ზღვა იზიდავდა, ეხლა უკვე ისინი ჩვენი კუთხის ბუნებითაც ინტერეს-დებიან. ზაფხულის დღეებში ხშირად შევხვდობილგართ ტურისტების ჯგუფებს აჭარის სხვადასხვა რაიონში, საკუთრივ მთიან აჭარაში. ტურისტების სიმრავლეა აჭარისწყლის ხეობაში. უცხოელები ტპბებიან ბუნების სიმშვენიერითა და სილამაზით, აცხობიერებენ, თუ რა უხვი საგანძური მოუვლენია ბუნებას საქართველოს ამ კუთხის მოსაკაზმავად და მოსართავად.

აქ არ ვსაუბრობთ კულტურული მემკვიდრეობის შემორჩენილ-შესწავლით და ჯერ კიდევ შესასწავლი ძეგლების შესახებ, რომლებიც მრავლადა მიმობნეული აჭარის სხვადასხვა რაიონში. მაღალმთიანი აჭარა საგსეა სილამაზითა და ისტორიული ადგილებით. მათ შორისაა მახუნცეთის ჩანჩქერი (ბათუმიდან 30 კილომეტრში) ცნობილი თამარის ხიდი, რომელსაც ასევე მახუნცეთის ხიდი ეწოდება. ეს აჭარის ერთეული დიდი თაღოვანი ხიდია, რომლის სიგრძე 20 მეტრია, ხოლო სიმაღლე – 6 მეტრი. მახუნცეთის ხიდი, როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავი ძეგლი თვალინათლივ აჩვენებს ჩვენი ერის უმდიდრეს წარსულს და სულიერ საგანძუროს. ამჯერად მსურს მკითხველს მოვუთხრო მდინარე აჭარისწყალზე ცისარტყელასავით გადაჭიმული ზემოთდასახელებული ხიდის შესახებ.



გასული წლის ზაფხულში სტუმრებთან ერთად კიდევ ერთხელ მომიხდა ამ ხიდის მონახულება. მახუნცეთში ასულს უამრავი უცხოელი (უკრაინელი, გერმანელი, რუსი, ირანელი, თურქი, არაბი, პოლონელი...) სტუმარი დაგვხვდა. ჩვენც ამ ჯგუფებს შევერიეთ. მე, როგორც სტუმრების მასპინძე-

ლი გვერდში მდგომ ორ მკვიდრს კითხვა დავუსვი ხიდის ისტორიის შესახებ. მათი ინფორმაციით რამდენიმე წლის წინ, გაზაფხულზე დიდი წვიმების გამო ზგავი ჩამოწოდილა და მდინარე ჭარის წყალი შეუგუბებია. ბოლოს წყალს უმდლავრია, წინ გადაღობილი ქვა-ღორდი, ხეები გაურდვევია და საშინელი ხმაურით წამოსულა. მეტად საზარელი სანახავი იყო თურმე ეს სურათი. ამდვრეული, აქაფებული მდინარე კალაპოტში ჩაყრილ ხაგავთან ერთად, ძირიანად მოთხრილ ხეებს მოათრევდა, დაჭრილი ხადირივით ღრიალებდა და არე-მარეს ეხეთქეფოდა. დალეწა და დაამსხვრია ახლად აშენებული რეინის ხიდები, ზოგს საყრდენები გამოაცალა, ზოგი მთლიანად გაანადგურა, მაგრამ მახუნცეთის საუკუნოვან ხიდს ვერაფერი დააკლო. იმ საშინელი წყალდიდობისას იგი კვლავაც იდგა ამაყად და შეურყევლად. ამ ამბის მოსმენით განცვიფრებული სტუმრები ინტერესით კითხულობდნენ ხიდის ადგილსამყოფელს.

მიხვეულ-მოხვეული ჩასასვლელი ბილიკით მივუახლოვდით ხიდს. სტუმრები გააოცა ხიდის მიმზიდველობამ, ხელოვნურმა სიმაგრემ. ვათვალიერებდით და ხიდის ქვეშ გამდინარე წყლის ხმაურში გვეძალებოდა ფიჭრები ჩვენი ქვეების ტრაგიკული ისტორიის შესახებ.

„დიახ, ეს ხიდი გაუმპლავდა იმ საზარელ ნიაღვარს და ქედი არ მოსარა მის წინაშე“.

ექსკურსიამდლოლები სტუმრებს სიამაყით აცნობდნენ განვითარებული ფეოდალური ეპოქის საქართველოს ისტორიას. თამარ მეფეს აუშენებია ეს ხიდიო, უხსნის გიდი ცნობისმოყვარე უცხოელებს, რომლებმაც ბევრი არაფერი იცოდნენ თამარის დროინდელი საქართველოს შესახებ. ხიდის სიდიადითა და ბუნების სიმშვენიერით აღფრთოვანებულნი ემოციებით დატვირთულნი დაგბრუნდით მახუნცეთიდან. მახუნცეთის ხიდი ხომ ჩვენი გმირული ისტორიის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ეპოქის მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლია.

ქეთევან ფუტკარაძე

ଶୁଣ ଆଜ୍ଞାର କଥାର ପାଇଁ ଆଜ୍ଞାର ମହିନେ ଏହାର
ଦୟା ଦେଖିବାର ପାଇଁ ଆଜ୍ଞାର ମହିନେ ଏହାର

ინტერესულტერული განათლება 21-ე საუკუნის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. კულტურათაშორის კონტაქტს ისტორიულ ჭრილში თან ახლდა ომები, რეპრესიები, გენოციდი და ა. შ. ინტერესულტერული განათლება ხელს უწყობს ამ ნებაზიური ქმედებების ტრანსფორმაციას. აღსანიშნავია პრობლემის აქტუალობის კიდევ ერთი, ქართული რეალობისთვის მეტად მნიშვნელოვანი მხარე. კერძოდ, საქართველო, როგორც პოსტსაბჭოოთ სახელმწიფო, ღია, სამოქალაქო საზოგადოების შექმნას ცდილობს. ამიტომ მნიშვნელოვანია ეროვნული უმცირესობების ადგილისა და როლის განსაზღვრა ქვეყნის პო-ლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ინტერეულტურული სწავლების მოთხოვნა სათანადოდაა ასახული საქართველოს კანონმდებლობაში, კერძოდ: „საქართველოს კონსტიტუციაში“, „სისხლის სამართლის კოდექსში“, „დისკრინინგის კველა ფორმის არმოფენის შესახებ“ საქართველოს კანონში, საქართველოს ორგანულ კანონებში, „შემწყნერებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციაში“ და ა. შ. (მრავალეთნიკური და მრავალკულტურული საქართველო, 2015:14-150). 2008 წლის 21 ნოემბერს გამოცემულ მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტში კითხულობთ: „მასწავლებელი იცნობს ინკლუზიური განათლების, ასევე მულტიკულტურულ და მულტილინგვურ მიღღომებსა და პრინციპებს და იყენებს მას საკუთარი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში.“ უფრო დეტალურად ინტერეულტურული ასპექტები ასახულია მასწავლებლის საგნობრივ სტანდარტებში, კერძოდ, ქართულის, როგორც მეორე ენის, საზოგადოებრივი მეცნიერებების და უცხოური ენების მასწავლებლების სტანდარტებში.

სამოქალაქო ინტეგრაციის შემავრცხებელ ერთ-ერთ ფაქტორს საქართველოს კულტურული ძალის მახასიათებლების ცოდნის, პატივისცემისა და კომუნიკაციის დეფიციტი წარმოადგენს. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 86.8%-ს ქართველები შეადგენენ; შემდეგ მოდიან აზერბაიჯანელები (6.3%); სომხები (4.5%); რუსები (0.7%); ოსები (0.4%) და სხვ. მოსახლეობის 83.4%-ს მართლმადიდებელი ქრისტიანები შეადგენენ. მუსლიმური სარწმონოების მატარებელია მოსახლეობის 10.7%; სომხური-სამოციქულო აღმსარებლობის მიმდევარია 2.9%; კათოლიკები – 0.5%. ამავე დროს, იცვლება საქართველოს ეთნიკური უმცირესობების რუსა. გლობალიზაციის შედეგად, ჩვენთვის ე.წ. „ტრადიციულ უმცირესობებთან“ ერთად (რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები და სხვ.), რომლებთან ურთიერთობის გარკვეული ემპირიული გამოცდილება არსებობდა, განსდა ახალი ეთნიკულტურული უმცირესობები (<http://census.ge/ge/results/ensus>). ახალმა რეალობამ კიდევ უფრო მძაფრად დააყენა ინტერკულტურული განათლებისა და კომპეტენციების საკითხი. საბჭოთა პერიოდში იქმნებოდა იდეოლოგიზმირებული ინტერკულტურული ნაშრომები ე.წ. „საბჭოთა ინტერნაციონალიზმის“ შესახებ. თავისთავად, ეს ფენომენი („საბჭოთა ინტერნაციონალიზმი“) ინტერკულტურალიზმის დამახინჯებულ გაგებად იქცა, რომლის პოლიტიკურ მიზანდასახულო-

ბას იდენტობების ნიველირებით, ასიმილაციის პროცესის ხელშეწყობა წარმოადგენდა (დავით მალაზონია, შორენა მაღლაკელიძე, ნინო ჭიაბრიშვილი, გიორგი გახელაძე, 2016:28-29).

თანამედროვე გლობალური პირობები ინტერკულტურული განათლების აუცილებლობის წინაშე აყენებს როგორც საგანმანათლებლო, ისე სამთავრობო სტრუქტურებსაც. სკოლაშ უნდა მოამზადოს კონკურენცუნარიანი პიროვნება საერთაშორისო შრომით ბაზარზე, რომელიც იცხოვებს მულტიკულტურულ და მრავალფეროვან მსოფლიოში და იმუშავებს მულტიკულტურულ და მრავალფეროვან შრომით დაწესებულებებში. ამის აუცილებელ წინაპირობას კი ინტერკულტურული განათლება წარმოადგენს. შესაბამისად, ყველა ახალგაზრდისათვის, განურჩევლად გენდერული, ეთნიკური, რელიგიური, კულტურული, რასობრივი, ლინგვისტური, სოციალური კუთხით და თანასწორობა სასწავლო დაწესებულებებში (ინტერკულტურული განათლება, პედაგოგიური მიდგომები, 2015:5).

იუნესკოს მიერ ჩამოყალიბებული ინტერკულტურული განათლების პრინციპების მიხედვით, ინტერკულტურული განათლება პატივს სცემს მოსწავლის კულტურულ იდენტობას ყოველი მათგანისთვის კულტურის ოვალსაზრისით შესატყვისი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფით. ეს პრინციპი შეიძლება მიღწეულ იქნება ა) ისეთი კურიკულუმისა და სასწავლო მასალების გამოყენებით, რომელიც: ეფუძნება მოსწავლეთა ცოდნისა და გამოცდილების მრავალმხრივ სისტემას; აერთიანებს მათ ისტორიას, ცოდნას და ტექნოლოგიებს, დირექტულებათა სისტემებს და შემდგომ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ მისწრაფებებს; აზიარებს მოსწავლეებს მათივე კულტურული მემკვიდრეობის ცოდნასა და დაფასებას; მიზნად ისახავს მოსწავლეთა კულტურული იდენტობის, ენისა და ლირებულებების პატივისცემის განვითარებას; იყენებს ადგილობრივ რესურსებს. ბ) სწავლების ისეთი მეთოდების შემუშავებით, რომელიც: კულტურის ოვალსაზრისით შესატყვისია, მაგალითად, ტრადიციული პედაგოგიკის ინტეგრირებითა და მედიის ტრადიციული ფორმების გამოყენებით, როგორიცაა მოთხოვნების წერა, დრამა, პოეზია და სიმღერა; ეფუძნება სწავლის პრაქტიკულ, მონაწილეობით და კონტექსტურ მეთოდებს, რომლებიც მოიცავს: კულტურულ-საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით აქტივობებს (UNESCO Guidelines on Intercultural Education, UNESCO 2006, <http://unesdoc.unesco.org/images/0014/001478/147878e.pdf>) და ა.შ.

ინტერკულტურულ განათლებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მულტიკულტურული განათლება, რომელიც წარმოადგენს უწყვეტ პროცესს და ცდილობს განათლების თანასწორობის უზრუნველყოფას, ყოველგარი დისკრიმინაციის აღმოფხვრას. ეს იდეები საზოგადოების მიერ ყოველთვის გაზიარებული არაა (ინტერკულტურული განათლება, პედაგოგიური მიდგომები, 2015:5).

მულტიკულტურულ განათლებას განმარტავენ როგორც საერთაშორისო მოძრაობას თავისუფლებისათვის, რომლის მიზანია დაეხმარონ მოსწავლეებს განივითარონ ის ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებანი, რომლებიც აუცილებელია საკუთარ და მიკროკულტურულ გარემოში (ინტერკულტურული განათლება, პედაგოგიური მიდგომები, თბ2015, გვ5). ასეთი გა-

ნათლება ინდივიდს ეხმარება სამოქალაქო ჩართულობისათვის უფრო თანასწორი და სამართლიანი საზოგადოების შესაქმნელად.

მასწავლებლებს და მოსწავლეებს აქვთ საკუთარი ინიციალობა და კულტურა. ამ შემთხვევაში განათლების ერთ-ერთი ამოცანაა რეფლექსია უპერატორების არსებულ ტერიტორიაზე თრიენტირებული მულტიკულტურული განათლება შეიძლება დაგვეხმაროს პირადი და ჯგუფური რეფლექსის პროცესში. მასწავლებლები და მოსწავლეები საკუთარ თავზე დაკვირვებით უნდა მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ თითოეული მათგანი არა მხოლოდ ერთ, კონკრეტულ კულტურასთან იდენტიფიცირდება, არამედ მულტიკულტურული ადამიანია. განსხვავებული კულტურული იდენტობის მქონე ადამიანებთან დისკუსიით, მათი მსჯელობის მოსმენით და ანალიზ-შეფასებით აღმოაჩენენ ბევრ საერთო და განსხვავებულ ელემენტებს ერთმანეთის კულტურული კონტენტებიდან (ინტერკულტურული განათლება, პედაგოგიური მიღღომები, 2015:10). როცა სწავლა-სწავლების შინაარსი შესაბამისობაშია მულტიკულტურული განათლების ამოცანებთან, მაშინ მოსწავლეების მხრიდან განსხვავებული შეხედულებების შეთვისება-გაზიარება ან მიღება მოხდება ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. დასახული მიზნის განხორციელება მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა მეთოდისა და პედაგოგიური მიღღომის გამოყენებით. საილუსტრაციოდ ავიდოთ ოუმა - „დისკრიმინაცია და თანასწორობა“. მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს „მასწავლებლის დღიური“. მოსწავლეები ყურადღებით ეცნობიან და ჯგუფებად ამზადებენ დღიურის სხვადასხვა მათთვის სასურველი ფრაგმენტის (მაგ., სხვადასხვა ანთროპოლოგიური ტიპის ორ მოსწავლეს, პირობითად შავგანიან რობერტსა და გიორგის კონფლიქტი, მასწავლებლისა და სასწავლო ნაწილი საუბარი, მასწავლებლისა და რობერტის მამის საუბარი) ინსცენირებას. ამ მცირე სცენების შემდეგ წრეში დამსხდარი მოსწავლეები მსჯელობები დისკრიმინაციის პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზებზე. იხსენებენ საკუთარი ცხოვრებიდან შემთხვევებს, როცა იყვნენ დისკრიმინაციის შემსწრე, დისკრიმინაციის მსხვერპლი ან დისკრიმინაციის ინციდონტი. მსჯელობები თითოეულ სიტუაციაში საკუთარი განცდების შესახებ. მოსწავლეები დღიურების სახით სამუშაო ფურცლებზე აღწერენ კონფლიქტის ისტორიას, თუ როგორ დაიწყო და როგორ განვითარდა იგი. ბავშვები მსჯელობისას ეძიებენ კონფლიქტის გადაჭრის გზებს. ამ მიზნით მასწავლებელი ქმნის დაინტერესებულ მხარეთა მრავალფეროვან ჯგუფებს, რომლებიც თანამშრომლობის მეთოდით უცდებიან პრობლემის მოგვარებას. მიზნის მისაღწევად საჭიროა:

1. **პრობლემის იდენტიფიკაცია:** განსაზღვრეთ ან სახელი დაარქვით სიტუაციას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. რა სახის კონფლიქტია? რა არის კონფლიქტის წარო?

2. **პერსპექტივები:** შექმნით ყველა ადამიანის, ჯგუფისა თუ ინსტიტუტის სია, რომლებზეც კონფლიქტი იქონია გავლენა და იმსჯელეთ, რა სახის გავლენა მოახდინა შექმნილმა სიტუაციამ მათზე? სიაში შეიტანეთ მსხვერპლი, მოძალადე, საზოგადოების წევრები, ყველა, ვისაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეეხო ინციდენტი. 3.გამოწვევები და შესაძლებლობები: სიტუაციაში ჩართული სხვადასხვა მხარის თვალთახედვით განიხილეთ კონკრეტული სიტუაციის განვითარების პერსპექტივები.

4. სტრატეგიები: მოქადაკინეთ სიტუაციიდან გამოსვლის გზები. გაითვალისწინეთ ის ფაქტი, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება განსხვავებულად იმოქმედებს სხვადასხვა ადამიანზე.

5. გადაჭრა: შეიძუშავეთ სამოქმედო გეგმა.

6. მოსალოდნელი შედეგები: დაასახელეთ პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გზების მოსალოდნელი შედეგები

მასწავლებელი არ სთავაზობს მოსწავლეებს კონფლიქტის მოგვარების კონკრეტულ სტრატეგიას. დისკუსიის გზით თავად მოსწავლეები უნდა მივიღნენ იმ დასკნამდე, რომ დაუშვებელია დისკრიმინაცია და გამოთქვან მოსაზრებებით, რა გზით იქნება შესაძლებელი პრობლემის მოგვარება კონკრეტულად რობერტსა და გიორგის შორის.

კონფლიქტისა და კონფლიქტის გადაჭრის გზებთან დაკავშირებით შეიძლება სხვა მეთოდის გამოყენება. მაგ. მასწავლებელი დაფის ერთ მხარეს წერს სიტყვას „კონფლიქტი“ და თხოვს მოსწავლეებს ფურცლებზე ჩამოწერონ კონფლიქტან ასოცირებული და დაკავშირებული სიტყვები. შემდეგ ბავშვებს წააკითხინებს ჩამოწერილ სიტყვებს. მოსწავლეთა ასოციაციები იწერება დაფაზე. ყველა მოსწავლეს აქვს საშუალება გააკეთოს საკუთარი კომენტარები. შემდეგ მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ კონფლიქტი, როგორსაც შეესწრენ ან თავად იყვნენ კონფლიქტის მსხვერპლი. ბავშვები დაფიქრდებიან - რამდენად იყო გადაწრადი თითოეული ეს კონფლიქტი. მასწავლებელს შემოაქვს მოსაზრება, რომ ყველა კონფლიქტს არ მივყავართ ძალადობამდე და აცნობს ერთ-ერთ ოჯახში მომხდარი კონფლიქტის შინაარსს, როცა ოჯახში და-ძმას ტელევიზორის უურებისას სხვადასხვა ინტერესები აქვთ. დას უნდა ფილმს უყუროს, მმას კი შემეცნებით გადაცემას. მასწავლებელი ბავშვებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს. იწყება გაანალიზება. პირველ რიგში მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ-რა არის კონფლიქტი, შემდეგ კი წარმოადგინონ კონფლიქტის გადაწრის გზები. ჩამოითვლება ყველა შესაძლო ვარიანტი. მასწავლებელი მოსწავლეებს კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით აწვდის სამ ცნებას: მოგება-მოგება; მოგება-წაგება; წაგება-წაგება. საჭიროა ბავშვებმა წყვილად შეაფასონ კონფლიქტის მოგვარების თითოეული ვარიანტი. თუ აღმოჩნდა, რომ კონფლიქტის მოგვარება შეუძლებელია მოგება-მოგებით, გადადიან შემდეგ მოდელზე. ანალიზის ბოლოს მოსწავლეები წყვეტენ, თუ რომელია კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო გზა. ბოლო ეტაპზე მოსწავლეებმა შერჩეული გზა უნდა შეაფასონ გარკვეული დოროვის შემდეგ. ბოლოს, მასწავლებელი კითხვას სვამს მეთოდის ეფექტურობის საკითხთან დაკავშირებით - თუ რა სიტუაციაში იქნება ეს მეთოდი ყველაზე ეფექტური. მსჯელობა უნდა წარიმართოს მეთოდის გამოყენების სხვადასხვა კონტექსტზე - კლასელებთან, ოჯახში, ოში, სპორტში და ა. შ. (ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, 2009:78-79).

მასწავლებელმა სწავლების პროცესში უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მიღება და მეთოდოლოგია, კერძოდ: დისკუსია, მსჯელობა, ერთმანეთის აზრის გამოხატვა, შეფასება, თვითშეფასება, კონტრიბუციული მიღება, ტრანსფორმაციული მიღება, აღმზრდელობითი საუბარი, როლური თამაში, თვალსაჩინოება, სადამრიგებლო საათი, პროექტი, როგორც სასწავლო აქტივობა, კლასგარეშე აქტივობები, ექსკურსიები. ა. შ. მათგან ყურადღებას გავამახვილებთ რამოდენიმე მიღებობაზე. მაგ. თვალსაჩინოება ნახატის სა-

ნით, როცა ნახატში გადმოცემული შინაარსი და მისეული გააზრება მოსწავლეს გადააქვს ფურცელზე.

მულტიკულტურულ სტრატეგიებში მნიშვნელოვანია პროგრესული მიღები. პედაგოგი ცდილობს მოსწავლეს დაანახონ ის პოზიტიური ინტერაქულტურული საქმიანობა, რომლებიც სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებმა შეასრულებ ქართული კულტურის განვითარებაში. აღნიშნულის დემონსტრირება ხდება კონკრეტული მაგალითისა და კლასგარეშე აქტივობის ფარგლებში.

მასწავლებელთა ნაწილისათვის უცხო არა ის სტრატეგიები და მიღები, რომლებიც დაკავშირებულია ბენქსის სახელთან (შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე, 2013:167-175). მათგან მნიშვნელოვანია კონტრიბუციული მიღვმა, რომელსაც ჯეიმს ბენქსი „გმირებისა და დღესასწაულების“ მიღვმას უწოდებს. ამ მიღვმით ეროვნულ თუ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით სასწავლო პროცესში მოსწავლეებს აცნობენ და წარუდგენებ სხვა ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური ჯგუფების კულტურასა და ტრადიციებს. მაგალიტისათვის შეიძლება დავასახელოთ ახალი წლის დღესასწაული, როცა ვაცნობთ, თუ როგორ ხვდებიან სხვადასხვა ქვეყანაში ახალ წელს. ეს მიღვმა აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებთან. ამ მეთოდის ფარგლებში შესაძლებელია წინა პლანზე წამოიწიოს არაქართველი მოსწავლის ეროვნული კულტურის საკითხები.

ამავე მიღვმის ფარგლებში შეიძლება სხვა აქტივობების განხორციელება. მაგ. მასწავლებელი ბავშვებს აძლევს დავალებას, რომ თავი წარმოიდგინონ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებად და მოიძიონ მასალები შესაბამისი კულტურის შესახებ.

ეფექტურია აგრეთვე, როცა სახელმძღვანელოში მოცემულ მულტიკულტურული თვალსაზრისით საინტერესო მასალას დაამატებ სხვა აქტივობებს. ბავშვებს წააკითხვინებ შესაბამის ნაწარმოებს, მაგ. მოთხოვობას „ერთი და შეიძი“. მთავარი მოქმედი პირები ამ მოთხოვობაში იყვნენ სხვადასხვა ეროვნების ბავშვები: ამერიკელი, ინგლისელი, უკრაინელი, რუსი, ქართველი. ბავშვებმა უნდა შეადარონ ისინი ნაწარმოების მიხედვით, შეუძლიათ გააკეთონ ჩანახატები და ნახატებიც.

პროექტის, როგორც აქტივობის სტრატეგია აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული მულტიკულტურული განათლების პროცესში. ამავე დროს მნიშვნელოვანია პოზიტიურ აქცენტებზე ყურადღების გადატანა განსაკურებით მაშინ, როცა მოთხოვობის პერსონაჟი სხვა კულტურის მატარებელია. ასეთი მიღვმა პოზიტიურად მოქმედებს მოსწავლეთა ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარებაზეც.

მულტიკულტურული და ინტერკულტურული სწავლებისას ეფექტურია ტრანსფორმაციული მიღვმების გამოყენება. ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა ნოდარ დუმბაძის „ჰელადო“. საკითხის განხილვა ეფექტურია ჯგუფური მუშაობის ფორმით. განხილვები დააფიქრებს ბავშვებს თუ როგორი ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს სხვა ეროვნების თუ რელიგიური აღმსარებლობის ადამიანთან. ბავშვებს შესაძლოა მიეცეს წერილობითი დავალებაც.

მასწავლებელთა უმეტესობის უნდა გამოიყენოს მულტიკულტურული განათლების მიღვმები, თუკი მასალა ამის საშუალებას იძლევა და უშუალესობას მიღვმების უნდა გადააქვს ფურცელზე.

ლოდ სასწავლი მასალა ტრანსფორმაციული მიღებომითაა შედგენილი. მაგ. მოთხოვბაში „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ - მტერმა თავის მოწინააღმდეგ-გეს ცხენი მიაწოდა და უთხრა: თუკი მე სიცოცხლეს ვიჩუქებდი, მხოლოდ შენისოთანა ვაჟკაცისაგანო. საკითხის განხილვა ნათლად წარმოაჩენს ვაჟკა-ცის, თუნდაც მტრის იდეალს, რომელიც პატივს სცემს მოწინააღმდეგის ადამიანურ მახასიათებლებს. ამ თვალსაზრისით უხვი მასალებია ვაჟა ფშა-ველასა და ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში.

უნდა ითქვას, რომ დასახელებული და სხვა მეთოდები სხვა თემების შესახებაც შეიძლება იქნას გამოყენებული. ცხადია, ჩვენ აქ არ განვიხი-ლავთ თანამედროვე სწავლების სისტემაში არსებულ სხვა მეთოდებს. ეს საკითხები კარგადაა ასახული პედაგოგიურ ლიტერატურული (ცხოვრება დე-მოქრატიულ საზოგადოებაში, 2009), ვიზუალ მხოლოდ იმას, რომ ჩვენს სკოლებში მსგავსი მეთოდოლოგია ნაკლებად გამოიყენება, რაც მასწავლე-ბელთა დაბალ კვალიფიკაციაზე მეტყველებს. ცხადია, მასწავლებელთა დი-დი ნაწილი აცნობიერებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს მულტიკულტურული განათლე-ბის მიმართულებით, თუმცა ჩვენი დაკვირვებით, მათი აქტივობები მხოლოდ დეკლარირებით ან ხშირად დეკლარირებული ლირებულებების სწავლებით შემოიფარგლება, ხოლო ამ ლირებულებების შესაბამისი სასწავლო პროცე-სის წარმართვა და სასწავლო გარემოს შექმნა სასკოლო დონეზე ვერ ხერ-ხდება. უფრო მეტიც, მულტიკულტურული განათლების არსის შესახებ მას-წავლებლთა გარეულ ნაწილს ან საერთოდ არ აქვთ წარმოდგენა, ან მისი ძალიან შეზღუდული გააზრება აქვთ. მასწავლებელთა ძირითადი ნაწილი მულტიკულტურულ განათლებას ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხს, მეორე ნაწილი კი სხვადასხვა ეთნიკური, რასობრი-ვი თუ რელიგიური ჯგუფების და მათი კულტურის შესახებ ცოდნას უკავ-შირებს. ერთ-ერთმა მასწავლებლმა განაცხადა, რომ მისთვის ეს თემატიკა აქტუალური არ არის, რადგან მათი კლასი ერთგვაროვანია; ან თემატიკა, რომელსაც ისინი ასწავლიან, არ არის დაკავშირებული მულტიკულტურულ განათლებასთან.

ინტერკულტურული განათლების მიზნების თვალსაწიერიდან სკოლა განიხილება, როგორ სოციალურ სისტემა. სკოლის გარდაქმნა განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობის მიღწევის მიზნის შესაბამისად, საკმა-ოდ რთულია, რადგან ის გულისხმობს სკოლის ყველა ძირითადი ფუნქციუ-რი კომპონენტის ცვლილებას. სკოლის რეფორმირების პროცესში კი აქცენ-ტი მხოლოდ ერთი კომპონენტის - სასწავლო პროგრამების ცვლილებაზეა გადატანილი. შედეგიც არასახარიელოა. მულტიკულტურული განათლების განზომილებები სამართლიანი, მიუკერძოებელი პედაგოგიკა არსებობს მა-შინ, როდესაც მასწავლებლები ცვლიან თავიანთი სწავლების სტილს ისე-თი ახალი საშუალებების გამოყენებით, რომლებიც ხელს უწყობენ რასობ-რივი, ძულტურული, გენდერული და სოციალური კუთვნილების მოსწავლე-თა აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას.

ადამიანური ურთიერთობების, პარმონიული თანაცხოვრების უნარ-ჩვე-ვების, სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის, უმცირესობების მოსწავ-ლებთან, სტუდენტებთან, შრომით კოლექტივთან ურთიერთობის კულტურა უნდა ჩამოაყალიბოს ინტერკულტურულმა განათლებამ მოზარდის აკადემი-ური წარმატების მიღწევის გზით. სხვადასხვა ჯგუფის// ჯგუფების წარმა-

ტებული ინტეგრაცია პოლიეთნიკურ თუ პოლირელიგიურ საზოგადოებაში არის ინტერკულტურული განათლებისა და აღზრდის შედეგი. ეს უზრუნველყოფილია მრავალფეროვნების აღიარება და თანასწორობის პრინციპი.

რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოს, საქართვივ აჭარის სკოლებში? მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ აჭარის კონტექსტი ინტერკულტურული განათლების კუთხით საკმაოდ სპეციფიკურია. მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა დომინანტური ერს განეკუთვნებიან, ეს კი ნიშნავს, რომ მასწავლებლები ვერ ახერხებენ განსხვავებული კულტურული წარმომავლობის მოსწავლეებთან სასწავლო პროცესის წარმართვას. განსხვავებული მდგომარეობაა რელიგიური მრავალფეროვნების თვალსაზრისით. ბარის ზონაში ერთმანეთის გვერდით სწავლობენ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის მოსწავლეები.

2002 წლის აღწერის მასალების მიხედვით (2014 წლის აღწერის მასალები არ გამოქვეყნებულა წიგნად, ინტერნეტრესურსებში ეს მონაცემები ცალკეული რეგიონების მიხედვით არაა წარმოდგენილი) აჭარაში მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შემდეგ სურათს იძლევა:

აჭარის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 2002 წლის აღწერის მიხედვით:

ეროვნული ბა	სელ	ქართველი	აფხაზი	ოსი	სომები	რუსი	აზერბ.	ბერძნი	უკრაინელი	იქნიდი
სულ აჭარაში	376010	351132	1558	208	8848	9073	542	2168	1056	76
ქ ბათუმშე	121808	104413	800	142	7517	6300	301	587	770	69

მსგავსი სურათია რელიგიური აღმსარებლობის თვალსაზრისითაც. რეგიონში მართლმადიდებლების გენერდით ცხოვრობენ ისლამური, იუდაური, სომხურ გრიგოლიანური და სხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები. აჭარაში მაცხოველებელი 376016 კაციდან 240552 მართლმადიდებელია, 683 კათოლიკი, 3162 სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობის, 161 იუდაიზმის წარმომადგენელი, 115161 კი არიარებს ისლამს (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2003).

ამ პრობლემის შესასწავლად სასწავლო დაწესებულებებში ჩვენი კვლევების ფარგლებში შეირჩა ქალაქის ორი (მე-8 და მე-12) და მაღალმთა-ანი აჭარის სოფლების ორი სკოლა (მახალაკიძეები, დიდაჭარა). ქალაქის სკოლებში კვლევის შედეგად გამოიკვეთა საინტერესო ტენდენცია: რელიგიური აღმსარებლობის სხვადასხვაობის მიუხედავად ეთნიკური ნიშნით ქართველობის იდენტიფიკაციას ეთანხმება მაღალი კლასებში გამოკითხულო მოსწავლეების 83 პროცენტი. საქართველოს კულტურული მოქალაქის თანასწორობაზე რელიგიური მრავალსის მიუხედავად დასტურ შეკითხვას დადგებითი პასუხი გასცა 97 პროცენტმა, შვიდმა მოსწავლემ ჩაწერა, რომ საშიშ მოვლენად მიაჩნია ისლამური ექსპანსია და ერთგვარი უქმდებულება გამოხატა ქართველების ნაწილის არაქრისტიანული აღმსარებლობის გამო, სამმა მოსწავლემ კი არ დამალა თავისი აგრესიული დამოკიდებულება მუსულმანური აღმსარებლობის ქართველთა მიმართ. საგულისხმოა, რომ მართლმადიდებ-

ლობის პრივატულებულ მდგომარეობას არ ეთანხმება მოსწავლეთა უმნიშვნელო ნაწილი (სავარაუდოდ მუსულმანურ ოჯახში დაბადებული ბავშვები).

გამოკითხვის მასალებით გამოიკვეთა საინტერესო ტენდენცია. მასწავლებელთა ნაწილი თვლის, რომ არაქრისტიანი ქართველი „სწორ გზაზე უნდა დააყენოს“. ე.ი. ისინი ტოლერანტობის ხელშემწყობ სტრატეგიად განსხვავებული რელიგიური რწმენის მოსწავლეთა „ჯეშმარიტ სარწმუნოებაზე“ მოქცევაში ხედავენ. ეს ტენდენცია ნათლადაა გამოხატული ქალაქის სკოლებში აჭარლების მიმართ. საგულისსმოა, რომ მერვე კლასის ერთ-ერთმა მოსწავლემ ჩაწერა „მუსლიმანს ჩვენს კლასში სწავლის უფლება არ აქვს“.

მასწავლებლები რომ სხვადასხვა საკითხს მხოლოდ საკუთარი კულტურული პერსპექტივით განიხილავენ, ეს დაადასტურა მასწავლებელთა გამოკითხვებმაც. უფრო მეტიც, მასწავლებლები მოსწავლის განსხვავებულ რელიგიურ აღმსარებლობას საკუთარი რელიგიური მრწამსითა და პერსპექტივით აფასებენ და სურდ, რომ მათი მოსწავლეები მათივე რელიგიური აღმსარებლობის იყოს,

კითხვები შეეხებოდა განსხვავებული რელიგიის მქონე ადამიანთან ოჯახის შექმნის საკითხებსაც. მართალია, მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა სიყვარულის პრიმატის გაუსვა ხაზი, მაგრამ გარკვეულმა ნაწილმა მიუღებდად მიიჩნია ქორწინება რელიგიური სხვადასხვაობის პირობებში. დაფიქსირდა მაგვთო უარყოფითი და არაშემწყნარებლური დამოკიდებულება იელოველების, ორმოცდათიანების და სხვა რელიგიური სექტების მიმართ. .

ზოგადად, მოსწავლეები დეკლარირებულ დებულებებს ემსრობიან, რადგან ისინი ერთგვარად დამკვიდრებულია საზოგადოებაში და უკველდრიურად ხდება ტირაჟირება მასმედიის საშუალებით. ამგვარ დებულებებზე მაღალკლასელმა მოსწავლეებმა იციან, „სწორად“ როგორ უნდა უპასუხონ, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არც განსხვავებული პოზიციის დაფიქსირებას ერიდებიან.

განსხვავებული ვითარებაა სოფლის სკოლებში, სადაც მაღალი კლასის მოსწავლეთა უმეტესობა უარყოფითადაა განწყობილი ქრისტიანული პროპაგანდის, ქრისტიანული დღესასწავლების საყოველთაო ხასიათის მიმართ და უპირატესობას სხვა ფაქტორებთან ერთად ოჯახის შექმნისას რელიგიურ ასპექტს ანიჭებენ.

წარმოდგენილი მასალების დეტალური შესწავლა და ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეების ინტერესულტურული დამოკიდებულებების ფორმირებაზე.

მაღალმთიანი აჭარის სოფლებში მუსულმანები კომპაქტურად ერთად სახლობენ და ბავშვები სკოლებში შესაბამისად არიან გადანაწილებულნი. აჭარის ბარის რეგიონში კი რელიგიური მრავალფეროვნებაა როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. უფრო მეტიც - რელიგური მრწამსით განსხვავდებიან ერთი ოჯახის წევრებიც. ასეთი მრავალფეროვნების მიუხედავად განათლების სისტემა რჩება მონოკულტურულ სისტემად, რომელიც ხშირ შემთხვევაში ჯერ კიდევ სრულყოფილად გერ ახერხებს ინტერესულტურული სამოქალაქო ცნობიერების მქონე პიროვნების აღზრდას, პიროვნებისა, რომელიც მზად იქნება იცხოვროს მულტიელტურულ გარემოში და იყოს შემწყნარებელი განსხვავებული კულტურული ჯგუფის წარმომადგგუ

ნელთა მიმართ. რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები ზოგჯერ (არა ყოველთვის) სერიოზულ პრობლემებს აწყდებიან. ამის მიზეზი არაერთია:

1. სახელმწიფოს დონეზე დეკლარირებულ ყველა დოკუმენტში ასახულია ინტერკულტურული განათლების მნიშვნელობა, მაგრამ ხდება მისი არასწორი ინტერპრეტაცია. შედეგად, საჯარო სკოლებში შესაბამის დისკიპლინებში ძირითადი აქცენტი გადატანილია მართლმადიდებლობის საკითხებზე და ნაკლებად, ან სრულიადაც არაა გათვალისწინებული რელიგიური უმცირესობები, რაც დადასტურებულია ჩვენი კალეგების შედეგებით.

2. სასწავლო გეგმებში მრავალფეროვნების და ინტერკულტურული განათლების საკითხები არაა ასახული ყველა საგანში;

3. მასწავლებლები მოუმზადებელნი არიან ინტერკულტურული სწავლა-ბისთვის და საჭიროებენ სასწრავო გადამზადებას.

4. აუცილებელია ინტერკულტურულ განათლებას მიექცეს სათანადო ყურადღება უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც ამზადებენ საჯარო სკოლების პედაგოგებს;

5. მოქმედი მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამებში უნდა ჩაირთოს ინტერკულტურული განათლების ასპექტები;

6. საზოგადოება ნაკლებად არის ინფორმირებული ინტერკულტურული განათლების თაობაზე და ზოგჯერ ანტიატრიოტულ განათლებასთან ასოცირდება. ამ თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯები სოციალური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით არ არის მიმზიდველი.

ადნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ პრობლემა არსებობს არა მარტო მოსწავლეებში, არამედ პედაგოგებშიც. ნაკლებად არიან მასწავლებლები ინტერკულტურული კომპეტენციებით, ცოდნითა და უნარით შეიარაღებულნი, რომლებსაც შეეძლებათ მრავალფეროვანი საკლასო გარემოს მართვა და ინტერკულტურული განათლების მიცემა.

სარგებებია სასწავლო პროგრამებშიც. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ექსპერტთა და სახელმძღვანელოს ავტორთა აბსოლუტური უმრავლესობა დომინანტი კულტურულ ჯგუფს მიეკუთვნება. მაგალითისათვის, არაქართულენოვანი სკოლისათვის გათვლილ სხვადასხვა სახელმძღვანელოს 70-ზე მეტი ავტორიდან მხოლოდ ერთია ეთნიკურად აზერბაიჯანელი (სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრის მასალები). ქართულენოვანი სკოლის სახელმძღვანელოების ავტორთა აბსოლუტური უმრავლესობა დომინანტი კულტურის წარმომადგენლებია (იშვიათი გამონაკლისი გვხვდება ინგლისური და რუსული ენის სახელმძღვანელოს ავტორებში). ეს მონაცემები გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ სასწავლო გეგმების შესაბამისად შექმნილი ასალი სახელმძღვანელოები, შესაძლოა, კულტურულად მიკერძოებული იყოს; მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არანაირად არ არის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი. საქმე ისაა, რომ სახელმძღვანელოების სკოლებში გაგრცელებას საბაზრო ეკონომიკის პრინციპები არეგულირებს

დასახელმწიფო პრობლემებს ემატება სხვა სირთულეებიც. კერძოდ: ა. მონოკულტურული განათლების სისტემა ბ. ამ სისტემაში ინტერკულტურული განათლების განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები გ. სამიზნე ჯგუფებად ძირითადად უმცირესობების წარმოდგენა. ინტერკულტუ-

რული პოლიტიკა ამ პრობლემების გადაჭრაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ამიტომ საჭიროა გატარდეს კონკრეტული ღონისძიებები, კერძოდ:

1. უპირველესად საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკური ნების გამოხატვა;

2. შესაბამისი სახელმძღვანელოების მომზადება;

3. მასწავლებელთა მომზადება-გადამზადება;

4. კუმანიტარულ დისციპლინებში ამა თუ იმ ხარისხით წარმოდგენილია ინტერკულტურული განათლების საკითხები, მაგრამ საჭიროა ასეთივე მიღგომები საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფებში.

5. ინტერკულტურული განათლების საკითხები უნდა აისახოს სასწავლო გეგმებში;

6. მულტიკულტურული ასპექტების მიუკერძოებელი ასახვა სახელმძღვანელოებში;

7. ექსპერტებთან ერთად პრაქტიკოსი მასწავლებლები უნდა ჩაერთონ სასწავლო გეგმების შემუშავებაში:

8. უნდა ამაღლდეს მასწავლებლის ავტორიტეტი, გატარდეს ღონისძიებები, რათა პედაგოგობა იქცეს მიმზიდველ პროფესიად;

9. კედაგოგიურ საეციალოებზე საგალდებულო სასწავლო დისციპლინის სახით შემოღებული უნდა იქნას ინტერკულტურული განათლების კურსი.

ჩვენს ქალაქში და ზოგადად ქვეყანაში არსებული მულტიკულტურული გარემო სასწავლო პროცესის წარმატებული ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია (ი. ტაბატაძე, ნ. ნაცვლიშვილი, 2008). იგი არ უნად იქნას განხილული როგორც შემაფერხებელი ფაქტორი. ამისათვის საჭიროა ინტერკულტურული განათლების დანერგვა, როგორც საგანმანათლებლო მიღებისა და მოწოდებული განათლების სხვადასხვა სისტემის ტრანსფორმაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინტერკულტურული განათლება, პედაგოგიური მიღები, თბ. 2015;

2. დავით მალაზონია, შორენა მადლაკელიძე, ნინო ჭიათურიშვილი, გორგი გახელაძე, ინტერკულტურული განათლების გზამკვლევი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ. 2016;

3. მრავალეთნიკური და მრავალკულტურული საქართველო, თბ. 2015

4. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველოაო აღწერის შედეგები, გ. 1, თბ. 2003;

5. შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე, ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე, კვლევის ანგარიში, თბილისი, 2013;

6. ტაბატაძე, ნ. ნაცვლიშვილი, ინტერკულტურული განათლება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008

7. ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, წიგნი მესამე, მასწავებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბ. 2009;

8. <http://census.ge/ge/results/ensus>;

9. UNESCO Guidelines on Intercultural Education, UNESCO 2006, <http://unesdoc.unesco.org/images/0014/001478/147878e.pdf>.

Ketevan Phutkaradze

Intercultural education in Georgian educational space Summary

Intercultural education is the most important challenge of the 21st century. Intercultural contact was accompanied by wars, repressions, genocides, and so on. Intercultural education contributes to the transformation of these negative actions. The article is about these issues.

ପ୍ରକାଶନ କେନ୍ଦ୍ର

სტეფანე ქემხაძე

ଓঃ ওঃ ওঃ এ দু শ্ৰেণী ও ত ওঃ

(ପ୍ରତିକାଳିକା)

(დოკუმენტი მოგვაწოდა გენადი გვარიშვილმა)

1918 წელს ვმუშაობდი ქობულეთში კინტრიშის უბნის მწერალ. ამავე წლის იანვრის თვის ბოლო რიცხვებში კარგი ამინდები დაიჭირა, განსაკუთრებით 4-5 დღე ისეთი იქმ, რომ გაზაფხულს მოგაგონებდათ.

სამუშაო საათები დამთავრდა, ვერზადებოდით სახლში წასახლელებდ, მაგრამ ამ დროს დერეფნიდან მომექმა რამოდენიმე კაცის ფეხის ხმა, ისინი მძიმედ მოაბიჯებდნენ და თანაც ხმადაბლა საუბრობდენ. ვიფიქრე, ალბათ მთხოვნელები არიან, რაიმე საქმეზ-მეოქი და უხერხულად ჩავთვალე კანცელარიის ოთახის დაკეტვა, ცოტა ხანიც და კარები შემოაღო ვიდაც უცნობმა, იგი მომექალმა თავაზიანად, მე ფეხზე ადგომით ხელი გავუწოდე და ვთხოვე მას და მის მხლებელს დაბრძნება. ის უცხო კაცი მე არასოდეს არ მენახა საერთოდ. მისი ორი მხლებელი კი მხოლოდ სახით ვიცანი.

ცნობით დაახლოებით 80 წლის მოხუცი იქნებოდა, შეატანისაზე მაღალი, თოვლივით თეთრი წვერ-ულვაში. მის ისედაც ლამაზ და შთამაგონებელ სახეს მატებდა სიდარბაისლეს. ჟამთა სვლას ოდნავ მოეხარა ბეჭები, მაგრამ მისი წაბლისფერი მკვირცხლი თვალები მოხრილობას არ ემორჩილებოდნენ. თითქოს ამბობდენ: ჰე, ჩემო კეთილო, რაა ისეთი ქვეყანაზე, ჩვენ რომ არ გვინახავს. მოხუცს ბოხოხის ქუდი ეხურა, მოსირმული მწვანე ყაბალახი უელზე შემოეხვია. როდესაც იგი დასაჯდომად მოემზადა, ყაბალახი მოიხადა, პალტოს დილები შეიხსნა, ამ დროს გამოჩნდა მწვანე ფერის მდიდრული ჩაქურა, მკერდს უმშვენებდა უცხოეთის სამი დიდი სამკერდე ნიშანი, წელზე ერტყა პატარა ხმალი ოქროვერცხლით მოჭედილი. ამ სანახაობით მე დიდად გაკვირვებული დავრჩი, ჩემი გაკვირვება მოხუცს მხედველობიდან არ გამოპარვია. თან ოდნავ ჩაიდიმა, ჩემი ყურადღება მისმა დინჯმა და ლამაზმა ქართულმა მიიქცია. ისეთ სიტყვებს ამდერებდა, რომელიც ჩეულებრივ საუბარში არ გამეგონა, მაგალითად, „მე მოველ შენთან ვითარცა შვილთან”, „რა სჯობს მას, იყო სიკეთის ამაგდარი” და სხვა ასეთი. დაჯდა თუ არა, დრმად ამოიხერა: ჰაი, ჰაი ჩემო სამშობლოვო.

უცნობი ლაპარაკობდა დიდი პაუზებით. მე კი ძლიერ ვჩქარობდი გამე-
გო ვინ იყო ის ან რა საქმეზე მოხულა ჩემთან. ცნობისმოყვარეობა თანდა-
თან მემატებოდა, მაგრამ თავს ძალას ვატანდი, რომ ის არ გამომჟღავნებუ-
ლიყო. ვინ იცის როგორ გაიგებდა მას მოხუცი. საუბარმა ზოგად საკითხებ-
ზე დაახლოებით ხუთი წუთი გასტანა. ბოლოს სთქვა: „გამიგია, რომ ძველი
ქართული წიგნები გქონებია, შვილო, თუ საწყენად არ დაგრჩებათ, მინდა
გთხოვთ მიჩვენო და რომელსაც ავარჩევ მომყიდოთ ან მათხოვთ. მე დავ-
პირდი, რომ თხოვნას დიდი სიამოვნებით შეგასრულებდი და წიგნს გათხო-
ვებ-მეოქი. იგი კმაყოფილი დარჩა ჩემი დაპირებით, მაგრამ მე ამით ვერ გა-
ვიგდ, ვინ იყო ის. მან თითქოს ეს ჩემი ცნობისმოყვარეობა გულთმისანივთ

ამოიკითხა და მითხრა: გატემობ შვილო, რომ ძლიერ დაინტერესდი ჩემი ვინაობით. გსურს იცოდე ვინ ვარ მე და როგორია ჩემი წარსული. მე უველავერს გიამბობ, მაგრამ ამ კვირაში არ მცალია, სულ ორი ღღება ჩამოვედი და უველავერს გათესავისა და მოკეთის ნახვა მინდა, მაგრამ ვერ მოვასწარი და მომავალ კვირას აუცილებლად გნახავო, დაე შენც იცოდე, ვინა ვარ მე და როგორია ბეჭუბულმართი ჩემი წარსული, სოქვა და მოქმზადა წასასვლელად. მე მას ვთხოვე ცოტა ხნით დაეცადა, რათა გადამეცა მისთვის „ვეფხისტებაოსანი”, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა კრებული, აკაკის ლექსები და მოთხოვები. ეს წიგნები რომ მივუტანე, მას ჩაეცინა და მითხრა: ჩემთვის ესენი ნაცნობია „ვეფხისტებაოსანის” ნახევარი თითქმის ეხლაც ზეპირად მასხოვს, ცხონებულმა დედაჩემმა მასწავლა. ილიას და აკაკის ბევრი ლექსები და მოთხოვობა ჩემი ხელით დაწერილი უბით თან მიტარებია, ისინი ყოფილან ჩემთან ერთად ბრძოლის ველზე ევროპაში, აზიაში და აფრიკაში. თუ სხვა წიგნები გაქვთ, მომავალ კვირას რომ მოვალ მამა-შვილობას-ძალიან გთხოვ მაშინ დამახვედრე, ხოლო ბარათაშვილის წიგნს ეხლა წავიდებ, მისი ზოგიერთი ლექსი ეხლაც მასხოვს. ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გააღივა ჩემი ცნობისმოყვარეობა.

მოხუცი თავაზიანად დამემშვიდობა, კიბემდე მივაცილე, მაგრამ თვალი არ მომიშორებია, სანამ დანახვა შეიძლებოდა.

მოუთმენლად ველოდი მომავალი კვირის მოახლოებას. დავრწმუნდი, რომ საქმე მაქვს დიდ მწიგნობართან და ამიტომ შევეცადე შემეგროვებია ისეთი წიგნები, რომლითაც მე მას ძლიერ ვასიამოვნებდი. ჩამოვედი ბათუმში და აქამდე სხვადასხვა საკითხავ წიგნს მოვუყარე თავი.

მომავალი კვირაც დადგა და ახლა უკვე შოველ დდეს სტუმრის მოლოდინში ვარ, თანაც ოჯახშიაც თადარიგი დავიკავე სტუმრის ლირსეული პატივისცემისათვის.

ხუთშაბათი იყო, ოდნავ წვიმდა, უკვე მომესმა ფეხის ნაბიჯების ხმა, მაშინვე ვიგრძენი, რომ ჩემი სტუმარია. გამოველ ოთახიდან და დერეფანში შევეგებე, პირმცინარედ მომესალმა, ოთახში მივიწვიე, საგარძელები, რომ ჩაჯდა, ცოტა სანს მიუურა და ბოლოს მითხრა: „აბა ჩემო მასპინძელო, რით შეგიძლია გამახარო, ვნახოთ ერთი, რითია მდიდარი შენი წიგნსაცავი“. ამ სიტყვებმა მე კიდევ უფრო მეტ სირცეგილში ჩამაგდეს, რადგან ქართული წიგნებით ისე მდიდარი არ ვიყავი, როგორც რუსული ლიტერატურით. მე მას ვუპასუხე: მადლობელი ვარ, რომ თქვენ მასპინძელი მიწოდეთ, მაშასა-დამე თქვენ ჩემი სტუმარი ბრძანდებით და მე როგორც მასპინძელი, ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს ჩემი ოჯახი გაგაცნოთ და ამიტომაც გთხოვთ ეხლა ჩემთან ერთად წამობრძანდეთ მეოქი. მე ძლიერ მაინტერესებდა, რომ საუბარში გამეგო ამ ადამიანის გარეგნულ სათხოებას რამდენად შეესაბამებოდა მისი შინაგანი ბუნება. შევატყვე, დაპატიჟებით ოდნავ შეწუხდა. მითხრა: ოჯახში რად გაგსაჯო, ჩვენ შეგვიძლია აქაც ვიმუსაიფოთ და ერთამენთს უუთხრათ ჩვენი ამბავიო. მე თხოვნა გავუმეორე, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მითხრა: „კარგი არ გაწყენინებთ, გეთანხმებიო. მივედით სახლში, პალტო რომ გაიხადა, უკვე ჩაქურა აღარ ეცვა, შავი მაუდი კიტელს ეხლა მარჯვენა მხარეს, მკერდის ოდნავ ქვემოთ ძვირფასი თვლებით მოჭედილი სამაოდ დიდი ზომის უცხოეთის ნიშანი ამშენებდა, ეტყობოდა უმაღლესი ჯილდო იყო. ძალიან მინდოდა დაგვარივებოდი, მაგრამ თავი ავარიდე, ცოტა სანს დაისვენა, შემედეგ ამოიღო თქროს ჩარჩოში ჩასმული სათ-

ვალები და კედლებზე ჩამოკიდებული სურათების დათვალიერება დაიწყო. თანაც გზადაგზა მეკითხებოდა მათ ვინაობას, ვინც მის ყურადღებას რითო-მეთი მიიპყრობდა. ეს ამბავი რომ დამთავრდა, მთხოვა მეზვენებინა ჩემი წიგნსაცავი. იგი შედგებოდა სულ 250-მდე წიგნისაგან, ქართული წიგნები ადრევე გადმოვაწყე, რომ ძებნა არ დამეწყო, მხოლოდ ორი წიგნი და პატა-რა ბროშურა სადღაც ოთახში გამებნა, ვებიყ, მაგრამ ვერ ვიძოვე. წიგნების დათვალიერება თითქმის დამთავრებული იყო, რომ ჩემმა დიასახლისმა სუფრასთან მიგვიწვია. ძალიან ყურადღებით ვათვალიერებდი, თუ სტუმარი მეტწილად რომელ კერძს მიირომევდა. შევამჩნიე, რომ მოეწონა ხაჭაპური, მჭადი, ყველი, მწვანილი, საცივი და თევზი ქინძმარში. ევროპული კერძები-სათვის ხელი არ უხდია. დვინოს ძლიერ ცოტას სვამდა. ადრევე განმიცხა-და - ნუ გეწყინება თუ დგინო ცოტა დავლიერ. შეა სადილობაში რომ ვიყა-ვით, დაიწყო ამბავის თხრობა ასეთი შესავლით: დავ, იცოდეს ყოველმა ქართველმა, თუ როგორია უცხოეთში გადახვეწილი კაცის ბედი. რარიგ მძიმეა მისი სულიერი განცდა მით უმეტეს მაშინ, როდესაც ის მთელი თა-ვისი გულით და სულით ამ ქვეყნის საქმეებს აკეთებს, რომელშიც ცხოვ-რობს, მაგრამ მას მაინც თან სდევს უნდობლობის ახრდილი, როგორც უც-ხო ტომისას. დაე ამ უნდობლობის უძირო მორევში იმალება ყოველი სიკე-თე მის მიერ გაკეთებული. დალაპეროს დმერთმა მასეთი დუხშირი ცხოვრე-ბა. ჩვენს კაცს ორგულობა არ შეუძლია, თუ მან საქმეს ერთგულად მოკიდა ხელი, ხომ გაგიგონიათ როგორი ჰქეყიანი და მამაცი იყო რუსეთის გამოჩე-ნილი სარდალი პეტრე ბაგრატიონი. ის თავანაწივით ებრძოდა ნაპოლეონს, დაჭრილმა გენერალმა ვერ აიტანა, როდესაც გაიგო, რომ მოსკოვი მტრის ხელშიაო და იქვე გარდაიცვალა. იქნებ ვინმემ თქვას, რომ, რად მიიტანა გულთან ასე ახლოს მოსკოვის ამბავი, ის რომ ქართველი იყო, მაგრამ არა, მან იცოდა, რომ მისმა სამშობლომ თავისი ბედი რუსეთს დაუგავშირა და ამის გამო რუსეთის გასაჭირი მისი ერის გასაჭირად ჩათვალა. აი, რამ აა-დელვა პომეროსის გმირთა სადარი ადამიანი, ასე უწოდებდა მას რუსი პოე-ტი 1812 წლის სამამულო ომის გმირი დენის დავიდოვი. ამით მე იმას ვამ-ბობ, რომ ჩვენი კაცი თუ მოგენდო ის სირცხვილს არ გაჭმევს, მაგრამ რას იზამ, როდესაც უცხო ტომობა, თუ ყოველთვის არა, მეტწილად შენს გარ-შემო ეჭვების ბურუსი მძიმედ აწვება შენს გულწრფელობას და პატიოსნე-ბას. ჩვენი უბედურება იმაშია, რომ ისტორიის გაკვეთილები სიბერეში გვა-გონდება, განა მე არ ვიცოდი, რითი დამთავრდა ჩვენი ქართველი დიდგაცო-ბის ბედი თურქეთის სამსახურში? ვიცოდი, მაგრამ არ მეგონა თუ ის მე შე-მეხებოდა და მას საერთოდ განუმეორებელ შეცდომად ვთვლიდი.

მე ჩინებულად ვიცოდი თუ როგორ დაიხრჩვენ უნდობლობის მორევში სულთანის ისეთი გამოჩენილი მარშლები და დიდი ვეზირები, როგორიც იყ-ვნენ: ხალილ ჰაბიბ – ფაშა, ზიაედინ იუსუფ ფაშა, ხურმიდ ფაშა გურჯი, ცნობილი ვეზირი და ოსმალთა ჯარების მთავარი სარდალი ირანთან ომის დროს. ყველა ისინი და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი გამოჩენილი ქართვე-ლი მოღვაწის ბოლო უნდობლობით დამთავრებულა, მაგრამ უნდობლობის უჩინარი ატმოსფერო ისე მოხერხებულად იყო გახვეული ჯილდოებსა და გარეგან პატივისცემის სამოსელში, რომ ასე ადვილად მისი შემჩნევა ცხა-დია არავის ძალუბს. რა იცოდნენ იმ საცოდავებმა, თუ უცხოეთში დიდგა-ცობისას შხამგარეულ შარბათსა სვამდნენ. მე მაგალითად, დიდი პატივით გამაცილეს სამსახურიდან, მაგრამ ისიც ვიცი, რომ რაც უფრო ადრე მივგ-

ბარები სამარეს იმდენად უფრო გავახარებ ბევრის გულს. შეუთავსებელია ერთიმეორესთან დიდი პატივი და უნდობლობა. მე ეხლა ვწუხვარ, რომ არ მეყო ჭკუა და გონება, ხომ ბედნიერი ვიქნებოდი განათლების მიღების შემდეგ, ჩემს მშობლიურ მხარეს დავბრუნდებოდი და ჩემ ხალხთან ერთად მეცხოვრა, საგანმანათლებლო საქმისათვის ხელი მომეკიდა. ეს, ჩემი კეთილო, ახლა კი ყველაფერი დაგვიანებულია, არაფერი არ დამრჩენია ამ მხრივ, გარდა სინაულისა. ამბავს შორიდან ვიწყებ, და თუ თავიდან არ სთქვი, ისე ბოლო გაუგებარი დარჩება და ამიტომ მომისმინე. გთხოვ მამაშვილობას, როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდება სამშობლოზე, ჩემი ნათქამი უამბე ყველას, დაე, ჩემს გაკვეთილებზე ისწავლოს ყველამ, რათა სიბერის ქამს ჩემებრ აღარ ნანობდნენ ვალუხდელობას სამშობლოს მიმართ.

მამაჩემიდან გამიგონია, რომ წარმოშობით სვანეთიდან ვეოფილვართ, გვარად დადეშქელიანი. ჩემი წინაპარი მეტად მკაცრი ყოფილა. გლეხებს ვერ აუტანიათ მისი სისასტიკე, აჯანყებულიან, მოუკლავო იგი და მისი ერთგული პირებიც. ორი ვაჟიშვილი რაღაც მოხერხებით გადარჩენილან, უფროსი 19 წლისა და უმცროსი 17 წლისა ყოფილა. ისინი ქუთაისში დარჩენილან. იმ დროის მიხედვით საგმაო განათლება პქონიათ. ანუზრახავთ სასწავლებელში შესვლა, ამ დროს სანდო პირებს უცნობიათ, რომ მოსაკლავად დაქმებენ და თავს უშველეთო. ამის შემდეგ ქუთაისში დიდხანს აღარ გაჩერებულან. მოულაპარაკნიათ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წასულიყვნენ. უფროსი კახეთისაკენ გაქცეულა, ხოლო უმცროსი კი აჭარაში. როდესაც მმები ერთმანეთს შორდებოდნენ, ფიცი დაუდვიათ, რომ არასოდეს არ დაკარგათ ერთმანეთი და შთამომავლობაში განეგრძოთ ნათესაობა და ურთიერთობა. ამ ამბავს, რომ ვუსმენდი, დავაპირე ამასთან დაკავშირებით ჩავრეოდი საუბარში, მაგრამ თავი შევიკავე ვიფიქრე ილაპარაკოს ბოლომდე და როდესაც დაამთავრებს მერე ვეტყვი მეთქი და ასეც მოვიქცი.

დიდი ვაი ვაგლახით, - განაგრძო მოხუცმა, - ტყე-ტყე უვლია, ისიც მეტწილად დამით, ამ 17 წლის ჭაბუკს. მას ეშინოდა ვინმეს არ დაეჭირა გასაყიდად. მეტად დაღლილსა და დაქანცულს დიდის გაჭირვებით ჩაქვში მიუღწევია და იქ ვინმე ხალვაშის ოჯახში უპოვია საიმედო თავშესაფარი. მასპინძელს ვინაობა გამოუკითხია, მაგრამ ნამდვილი ამბავი არ უთხრა, გვარიც დაუმალავს. უთქვამს გვარის შვილი ვარო. 2-3 წელიწადს ხალვაშისთან მდგარა. ოჯახის დიდი პატივისცემა და სიყვარული დაუმსახურებია. ხალვაშს ერთადერთი ქალიშვილი ყოლია და ამ ჭაბუკისათვის მიუთხოვებია, თანაც შეძლებულათაც დაუსხახდებია. ჭაბუკი თავისი საქმიანობით მალე დაწინაურებულა. ასე გამიგონია რომ მოხდენილი ვაჟკაცი ყოფილა, ამბობდნენ, ნეტავ რა დედამ შობაო, ხმალსა და ფარიკაობაში ტოლი არ ყოლია. შემდეგ დრომ ისე მოიტანა, რომ გვარიშვილი გვაროლლად იქცა. ვინ იცის, ისე იყო საჭირო, ამაში ვერ განამტკუნებ. მთავარია, კაცი ვარგოდეს და იყოს მისი ქვეყნის ალალი მსახური. როგორც მამამ მითხრა ის ჭაბუკი ბაბუაჩემი ყოფილა. თვით მამაჩემი კი ყმაწვილობაში ერთ დიდ ვაჭარს წაუყვანია სტამბოლში და მასთან დაუკენებია. შემდეგ სავაჭრო საქმეში ისე დახელოვნებულა, რომ თვითონ მოუწყვია ცალკე საგაჭრო. უკვე 40 წლის ასაკში იგი სტამბოლში საგმაოდ ცნობილი ვაჭარი გამხდარა. მას გურჯი სულგიმანს ეძახდნენ.

მუდამ თურქთა წრეში ტრიალებდა. იშვიათად თუ სავაჭრო საქმეები გამო წავიდოდა პარიზსა და რომში. კარგად ლაპარაკობდა ქართულად,

მაგრამ ისე ვერა როგორც დედაჩემი. კარგად იცოდა ჩვენი წარსული და ეხლა რასაც გიამბობ შთამომავლობის შესახებ, ყველაფერი მისი ნაამბობია. არა ერთხელ უთქმია ჩემთვის: შვილო უნდა გახსოვდეს, რომ ქართველები ვართ, არიან ადამიანები თავიანთ ეროვნებას მაღავენ, არც ცხვენიათ, არ ეშინიათ, ჩვენ ყველგან სიამაჟით წარმოვთქვამთ სიტყვა-ქართულს. ამაში უდავოა ჩვენს მამა-პაპას უნდა ვუმადლოდეთ. ისინი არასოდეს არ ყოფილან თავდამსხმელი, პირიქით მათ ესხმოდნენ თავს და მოსვენებას არ აძლევდნენ, იგი ყოველთვის გაბედულად უმკლავდებოდა ყველას, რითაც კი შეეძლო. სტუმარს გულს გაუხსნიდა და მისი პატიოსანი შორმით შეძენილი პურმარილით უმასპინძლდებოდა. რამდენი უცხო ტომის ადამიანისათვის თავის მიწა-წყალზე თავშესაფარი მიუცია და მეგობრად გაუხდია. მაგრამ რას იზამ თუ ერის ბედი ცუდად დატრიალდება. კუთხეთა შორის გაუთავებელმა შურმა და კინკლაობამ უბედური გახადა ჩვენი ხალხი, ძმათა შორის ომმა საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ძმა ძმის წინააღმდეგ მტერს თხოვდა შველას. მაგ. აი, რა ქნა ყვარყვარე ათაბაგმა, როდესაც თურქები ჯერ კიდევ სტამბოლის აღებამდე საქართველოს საზღვრებს მიადგნენ. ამ დროს ყვარყვარე გიორგი მეფეს ებრძოდა, ნაცვლად იმისა, რომ ასეთ უამს შეერთებულიყვნენ და ერთიანი ძალით მტრისათვის დაერტყათ, პირიქით ერთმანეთი დაარბიეს, კიდევ მეტი, ათაბაგმა ისევ მტრის დახმარებით ქართველი მეფე გიორგი ტყვედ ჩაიგდო. მსგავსი მაგალითები ჩვენდა სამწუხაროდ, იშვიათი როდია. აი რამ დაშალა ჩვენი ერის ერთიანობა. საქართველო ორად გაიყო. თურქეთის საქართველო და რუსეთის საქართველო. პირველი სისხლით მოირწყო, ხოლო მეორე დიდი მეფე ერეკლეს წყალობით ერთმორწმუნე რუსეთს შეუერთდა და ამით მან გადაირჩინა თავი ირანისა და თურქეთისაგან. არა შვილო, მე ასე მგრინია, რომ უსამართლობა დიდხანს ვერ ისეირებს და დადგება დრო და საქართველო ჩვენი „გურჯისტანი“ ერთიანი იქნება. მახსოვს უბანასკნელად რომ ვტოვებდით სამშობლოს მიწა-წყალს, ოპ როგორ მწყდებოდა გული. როდესაც ხომალდში ჩავჯექით, იმ დღეს მაინც რა საოცარი კარგი ამინდი იყო, თითქოს განგებ, რომ გული უფრო მეტად დამწყვეტოდა სამშობლოზე. ცა ფირუზი, ზღვა ლალისფერი და ნარინჯებით მორთული ზურმუხტოვანი სანაპირო რაღაც უჩვეულო სანახაობად გადამექცა. განა მე ისინი პირველად ვნახე? არა, მაგრამ ასე მეგონა, თითქოს ამ სილამაზეს მართლაც და პირველად ვნახავდი. გაპქრა ჩემი ლალობა, გარინდებული დავრჩი. დედამ მკითხა: რა მოგივიდა შვილო! სახეზე ფერი არ გადევსო, მიდი შენს ტოლებთან ითამაშე რამეო. თვალებზე ცრემლი მომადგა, სევდა გულს მისერავდა. ხომალდში ყველა თურქულად ლაპარაკობდა. დიდი თუ პატარა, რაღაც უცნაურად მომეჩვენა იქ ყველაფერი, ლამის გაქცევა დაგაპირე, მაგრამ ეს რომ გადავწყვიტე უპვე გვიანდა იყო, ხომალდი დაიძრა უცნაური ხმა. იგი ჯერ ლარიგით მოყვებოდა ზღვის სანაპიროს, ხოლო შემდეგ კი შეიჭრა სიღრმეში, ნაპირი კი ძლივსდა ჩანდა. თვალით ვხედავდი, თუ როგორ ვტოვებდი მშობლიურ მიწა-წყალს. ტირილი მოვრთე, ვატყობდი მშობლებსაც გული წყდებოდათ. მამა იდგა ვით ქანდაკება, იგი ერთ მხარეს მიჩერებოდა სევდამორუეული, შევატყვე დედას, რომ იცრემდებოდა. მივედ მასთან, თავი გვერდით გადასწია, ცრემლები მოიწმინდა და ნაძალადევვი დიმილით შემომხედა. რა იყო შვილო! მკითხა მან მამა რატომ არაფერს არ ამბობს, შენ რატომ სტირი, სად მივდივარო, რაიმე ფათერაკი ხომ არ მოგველის მეთქი. არა, შვილო – მიპასუხა დედამ, - მივდივარო იქ.

სადაც მამაშენი 15 წელია ცხოვრობს – სტამბოლში. დიდი ქალაქია სტამბოლი? – გკითხე დედას, ამ კითხვაზე კი ნამდვილად გაეცინა, თავზე გადამისვა ხელი და მითხრა; შვილო, დიდი ქალაქია, შენ ნუ გეშინია, ჩვენ ყოველ წელს ჩამოვალით სამშობლოში. დედამ ამით დამამშვიდა, მაგრამ შემდეგ პირობა ვერ შეასრულა და თუ რატომ, არ ვიცი. დედაჩემი აქაური აბაშიძის ქალი იყო, მეტად კეთილი და მწიგნობარი ადამიანი, მისი მაღლობელი ვარ, რომ არ დამავიწყდა მშობლიური ენა. ამით მე მომეცა საშუალება ყოველი ქართული, გულთან ახლო მივიტანო და განვიცადო სრულყოფილად, როგორც ამას სამშობლოს ინტერესები მოითხოვენ. მასსოვს, როდესაც ჩვენ, ძმები სკოლიდან მოვდიოდით, დედა გვასადილებდა, ცოტას მოგვასვენებდა და შემდეგ გვეტყოდა: აბა, შვილებო, დროა თქვენი სამშობლოს წიგნის კითხვისათ. მასსოვს რა სიხარულით გვითხულობი ქართულ წიგნებს, ქართული წერა – კითხვა დედამ გვაწავლა, და ბევრი ლექსი და მოთხოვობაც. სულ იმას გვეუბნებოდა, რომ ჯერ გიყვარდეთ სამშობლოს ენა, თუ გინდათ ყველა გონიერმა დაგაფასოთო, როდესაც დედაენის საათს მოვრჩებოდით, შემდეგ მოვიდოდა რეპეტიტორი, ვსწავლობდით თურქულსა და ფრანგულს. სკოლში გურჯებს გვეძახდნენ, უნდოდათ თითქოს ამით გავედიზიანებინეთ, ასეთ მომართვას ჩვენ სიამოვნებით ვდებულობდით.

მე სამხედრო სასწავლბეჭით დავამთავრე ჯერ სტამბოლში და შემდეგ საფრანგეთის სამხედრო ოკადემიაში ვისწავლე. პროფესიით მე სამხედრო ვარ, თურქეთის სამსახურს შევალიე ჩემი ცხოვრების 60 წელი და ახლა გენერალის ჩინით დაგანებე სამსახურს თავი, ამ ხნის განმავლობაში ბევრი მინახავს ცუდი, კარგი კი ცოტა. შორს წაგიყვანს მოგონება იმ ბრძოლებისა, რომელიც თავს გადამხდენია. კარგად ვიცნობთ თურქებს – ჩვენ ძველთაგან დაუძინებელ მტერს, რომელიც წარამარა თავს გვესხმოდა და მოსვენებას არ გვაძლევდა ირანთან ერთად. ომ! რა ბოროტებაა ომი, მაგრამ რას იზამ, ვიდრე ქვეყანა ცალკეულ სახელმწიფო გამოყოფის საგნად რჩება ქიშპობა პირველობისთვის, გავლენისათვის ყველთვის იქნება და მაშასადამე იქნება ომები. იმ ერმა, რომელმაც მეტი დრო ომებში გაატარა, ამით თავისი თავი დაასუსტა. ავიდეთ იგივე თურქეთი და ირანი. ვერცერთი მათგანი ვერ ისვენებდა და ბოლოს რა შერჩათ? ეკონომიური გადატაკება, სიბნელე, უმეცრობა. თურქეთი, რომელიც საშუალო საუკუნეებში მოჰკლ ევროპას შიშის ზარს სცემდა, დღეს ის სხვა სახელმწიფოსთან შედარებით ჩამორჩენილია, ასევე ირანიც. ჩემი დაკვირვებით ომის წამოწყებაში ხალხის არაფერ შეუშია. თვით თურქი, ისე როგორც ყოველი ხალხი ბუნებით მშვიდი და შრომისმოყვარება. ომის ავი სული თვით ქვეყნის გამყოფთა სიავეშია. რამდენჯერ მითქვამს ჩემთვის, როდესაც თურქ მშრომელ მოსახლეობასთან ახლო ურთიერთობა მქონია, რომ ასეთი მშვიდობიანი ხალხი იყო ჩემი სამშობლოს დაუძინებელი მტერი მეთქი. მაგრამ იცი რა გითხრა, ჩემი კეთილო? ვისიც ხელშია ძალაუფლება, მისია ხალხიც და, რადგან ასეა რა პქნას ხალხმა. უნდა თუ არა უნდა იძულებულია გაჟყვეს მას. ხომ გაიგდნია ძალა აღმართს ხნავსო. მე ღრმად მწამს, რომ ბევრი რამ დამოკიდებულია სახელმწიფოს მმართველობაზე, მას ქვეყნის საქმე შეუძლია წაიყვანოს წადმა ანუ უკუდმა, უბედურება იმაშია, რომ მმართველმა, რადგან მე მმართველი ვარო თავი ყველაზე ჭკვიანდ მიიჩნია და ის კი აგიწყდება, რომ უბედურს, რომ ხალხში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მას ბევრად წინ უსწრებენ ჭკუა-გონებით. აი, ის მმართველია დალოცვილი, ვინც ხალხს

ყურს უგდებს, ხალხის ნათქვამს რარიგ მწარე იყოს იგი, გულთან ახლოს მიიტანს და შესაფერ დასკვნებს გააკეთებს. ვინც ასე იქცევა ის ქვეყნის საქმესაც წარმატებას. მაგრამ სამწუხაროდ, ასე როდი ხდება, აბარას გავდა მეფის რუსეთის გამუდმებული ცდა ბოსფორისა და დარდანებულის ხელში ჩაგდებისათვის. ეს ხომ მიმართული იყო მისი გაბატონებისაკენ ეკროპასა და აზიაში. თუნდაც ავიდოთ ჩვენი ფადიშაპის პოლიტიკა. მას სწამდა მთელი სამუსლიმანოს გაერთიანება ვოლგისპირეთის ჩათვლით და საერთო ძალით შემდეგ მთელი საქრისტიანოს დამორჩილება. ასეთი სურვილები განა უორად გადაწყვდება? ახლა ვკითხოთ ხალხს, რას იტყვის იგი. ის ასე გიასუხებს – ჩემს ოჯახში, ჩემს ცოლშვილთან დამაყენე, რადაც ორი დღე სიცოცხლე დამრჩენია ნუ გამამწარებო.

ჩემი რწმენით ქვეყანაში უნდა იყოს მხოლოდ ერთი ძლიერი და გონიერართული მმართველობა. ყველა სახელმწიფო დიდი თუ პატარა ამ მმართველობაში უნდა ხედავდეს თავის დამოუკიდებლობას. აი, მაშინ იქნება მშვიდობა ქვეყანაზე მაშინ მოისპობა სავსებით ომებიც, ვინც გატაცებულია ომებით, ისინი გაიძახიან - ჩემ მოწოდებული ვართ გავათავისუფლოთ ხალხები, შევუქმნათ მათ კარგი მომავალი. მე ვიტყოდი, რომ ეს შირმაა, რომლის უკან გაბატონება იმალება, ვაცალოთ ყველა ხალხს, დაე მისებურად გამოჭედონ მათ თავიანთი აწმყო და მომავალი, ამ კიდევ იციან თქმა, ჩვენს შთამომავლობას უნდა შევუქმნათ კარგი მომავალიო. ეს ცედი როდია, მაგრამ მას აწმყო არ უნდა შეეწიროს, თუ აწმყო დაუძლეურდა, მაშინ მომავალი რადა იქნება. ო, თურქ ხალხზე მოგახსენებდით, მე საყვედურს ვერ ვიტყვი. მთელი ჩემი ღრმა გაბებით თუ ახლა ვინმე სიტყვას იტყვის „თურქს“ ზიზღით წარმოთქმამს, ამაში ბრალი თურქების წინაპართა მმართველებს მიუძღვით. ხომ გაგიგონიათ, ბაბუას ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოკვეთა კბილიო.

სადაც არ ყოფილგართ და გაუგონიათ, რომ გურჯი ვარ, ყველგან კარგად მდებულობდნენ. თურქეთის საისტორიო ლიტერატურა ქართველებს კარგად იხსენიებს, როგორც მამაცსა და ულამაზეს ხალხს. ბევრჯერ მიკითხავს ჩემი თავისთვის, რატომ თურქები ასე არიან განწყობილი ჩვენს მიმართ-მეთქი, ამის შესახებ ერთ-ერთ ჩემს მეგობარს, თურქ ისტორიკოსს ვკითხე და მან მითხრა: მართალია თურქები საქართველოს ხშირად თავს ესხმოდნენ, ბევრი აწიოკება და დარბევა მიუყენებია მეზობლისათვის, მაგრამ ყველგან მორიდებითა და პატივისცემით იხსენიებენ მათს ვაჟაცობას, მათს სილამაზეს და თავდადებას მამულისადმი. ეს თვისებები ყოველთვის იზიდავდა თურქებს და არაერთხელ მოუყვანიათ მაგალითი საქართველოდან, როდესაც ჯარის გამხნევება სურდათ ომის წინ. გარდა ამისა სხვადასხვა დროს თურქეთის ბევრი გამოჩენილი სარდალი, ვეზირი თუ მეცნიერი შთამომავლობით ქართველი იყო. თურქეთის სამხედრო ფლოტი წინათ და ახლა ხომ უმთავრესად ლაზებისაგან შედგება, ლაზები კი იგივე ქართველებია. დასასრულს ავიდოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ თუქქეთში არც თუ იშვიათია შემთხვევა დედიდან ქართული შთამომავლობისა. ასე მაგალითად, ჩემი ბებიას დედა ემა ქალი ყოფილა- გურიიდან გატაცებული. თქვენ რა გიჭიროთ, გაქვთ საამაყო - მან მითხრა. თქვენ შეგიძლიათ თავისუფალად ილაპარაკოთ წარსულის კულტურაზე. ჩვენ რა გგაქს ამ მხრივ კეთილმოსაგონარი. ჩვენს წინაპრებს სიკეთე არავისთვის არ მოუტანითა. მომთაბარე ხალხი იყო, დამკვიდრდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც კონსტანტინეპოლი

აიღეს. აქედან, შეიძლება ითქვას - დაიწყო მათი კულტურული აღმავლობა. ბევრ თურქს არ სიამოვნებს, როდესაც სხვა ერის კულტურულ წარსულზეა ლაპარაკი. იმ წუთში გეტყვის, - რას ჩაცივებულხარ მველსა და დრომოჭმულს, ამაზე რად კარგავთ დროსო, მელაპარაკე ახლანდელზეო. მაგრამ საკითხს გადავუხვიყ, მე ისევ მინდა სამშობლოს სიუვარულზე ვილაპარაკო. სამოცი წელი თურქეთის სამსახურში გამიტარებია, ამ ხნის მანძილზე მრავალი ბრძოლა გადამხდენია ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეწებში. თქვენ ვერ წარმოიდგენთ რარიგ დიდია ის სიხარული, რომელსაც განიცდის ადამიანი შორეულ უცხო ქვეყანაში შენ თანამემამულესთან შეხვედრით. მტერიც რომ იყოს, მოყვრად მიიღებ, თუ ის სამშობლოში მოსაკლავად გდევდა, უცხოეთში შენს უახლოეს მოკეთედ იქცევა. რა თქმა უნდა ყველას მიმართ ასე როდი ითქმება. განსაკუთრებით იმათ მიმართ, ვისაც უმავისეს დედაქნა დაუკარგავს, ვისაც თვისტორი დავიწყებია და უცხო ქვეყნის ბრძანი იარაღად გადაქცეულა. ბევრჯერ მონაცრია - ხეტავ სამშობლოს წინაშე დვივოდეს ისეთი სიუვარული ჩვენს თანამემამულეთა შორის, როგორც უცხოეთში მეთქი, მაშინ მტერი რას დაგვაკლებდა. ჰაი, ჰაი, რომ ასე არის. მაგონებდა ერთი ასეთი ამბავი: მოკლედ გიამბობთ: მოგეხსენებათ, რომ ადამიანის ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება ცუდი, ხოლო კარგი კი ნაკლებად. ორთავედან ზოგიერთი მათგანი ისეთია, რომ არასოდეს არ დაგავიწყდება. მაგონებდა ერთი ასეთი ეპიზოდი ჩვენი ერის ბედერულ წარსულის ნაკვალევიდან: აზიაში ერთხელ ბრძოლის დროს ჩვენი ჯარების მარჯვენა ფრთა შეტყვის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქმე იქამდე მივიღა, რომ კინალამ დაგმარცხით. ძალები გაცილებით მეტი აღმოაჩნდა მტერს, ვიდრე დაზერვაში გვაუწყა.

ასეთმა მოულოდნელობამ ჩვენს წინაშე სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. საჭირო იყო შეტევის გეგმის სწრაფად შეცვლა მტრის არსებული მდგომარეობის მიხედვით. იძულებული გავხდით უკან დაგვეხია, რომ ამით ცოცხალი ძალა გადაგვრჩენილდა, მაგრამ უკან დახევაც მშვიდობიანი როდი აღმოჩნდა. როგორც იქნა მივიღეთ ცნობა, რომ მაშველი ძალები მოდიან და როგორმე სიმაგრეები შეინარჩუნეთო. ამ ცნობის მიღებიდან არ გაუვლია დიდ სანს და მაშველი ძალებიც გამოჩნდნენ. დავსახეთ შეტევის გეგმა, ბევრიც არ დაგვიყოვნებია და გადავედით შეგევაზე. მტერს დავესხით იქმდან, საიდანაც ის სრულიად არ მოგველოდა. სახტიკი ბრძოლა გაჩაღდა, მტერმა ათასობით ჯარისკავი და ოფიცერი დატოვა ბრძოლის ველზე, ბევრიც ტყვედ ჩავიგდეთ ხელში, უფროსთა შემადგენლობიდან სამი გენერალი იყო. სარდლობამ გადაწყვიტა ტყვე გენერლებთან საუბრის ჩატარება მათი ტაქტიკის თავისებურების საკითხებზე. დანიშნულ ადგილას ყველა სახეზე იყო. მათ დირსეულად უჭირათ თავი, ჩვენც დირსეულად შევხვდით, სხვაგარად არც შეიძლებოდა, რადგან, ისინი მართალია ტყვეები იყვნენ, მაგრამ ისეთივე სამხედრო წოდებისა და ხარისხის, როგორც ჩვენ. სამივე გენერალი ჩინებულად ლაპარაკობდა ფრანგულ ენაზე, ორ მათგანს განსაკუთრებით ყველაზე მეტად ეტყობოდათ დაღვრემილობა. იყვნენ სიტყვაძუნწი, ერთი განსაკუთრებით, რომელიც ყველაზე ახალგაზრდა იყო, ძლიერ მწარედ განიცდიდა ტყვეობას. ეს რომ შევატყვევ, ვუთხარი რომ ტყვეობა ცხადია სასურველი როდია, მაგრამ ტყვე რატომ ვარო და ამის გამო თაგს იკლავდე, ეს უმავისეს მეტაზია მეტქი. ხომ შეიძლება გმირულად ხმალს იქნევდე, წინდაწინ მიდოდე, მტერს მუსრავდე, მაგრამ ამ დროს სრულიად მოულოდნელად გარ-

შემორტყმული აღმოჩნდე მტრის მიერ. რა მოხდა, შენ ხომ პირწმინდად იხდიდი შენს მოვალოებას, მაგრამ შენგან დამოუკიდებლად სხვაგვარად წარიმართა საქმე. მაშასადამე, მოვლენას უნდა გაუსწორო თვალი და წონას-წორობა არ უნდა დაკარგო მეთქი. გმადლობთ, - მიპასუხა მან დამცინავად, კარგი დამრიგებელი ყოფილხართო.

მისი ასეთი კილო არ მომეწონა, არაფერი მოთქვამს, არ გავადიზიანო მეთქი. ბოლოს დასძახა, - რად კითხულობ ჩვენს ტაქტიკას, ჩვენ ხომ დავმარცხდით, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ჩვენ დაგვამარცხა თქვენმა სიმრავლემ და არა სამხედრო ტაქტიკამ. ასეთი განცხადება საწყენად დაგვრჩა, მაგრამ მეორე მხრივ მართალი იყო. ამიტომაც, ბოლოს მაინც, როდესაც კარგად ჩავუფიქრდით თუ რას უმიზნებდა, ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ მისოვის თავისუფლება რომ მიღვეცა, ყველას გაგვანადგურებდა. ურჩი მებრძოლები ისე ხშირად შემხვედრია, სხვადასხვა ომების დროს, მაგრამ ასეთი კი არა. მართალი გითხრა მომეწონა მისი ვაჟკაცობა, გადავწყვიტე მასთან ცალკე საუბარი მქონოდა. დანიშნულ დროს ის მოიყვანეს ჩემთან. ყავაზე მივიწვიე, - მადლობა მითხრა, ჭიქა აიღო, ოდნავ მოსვა და შემდეგ ხელი არ უხლია. მეც არ შევპატიუებივარ. გადავწყვიტე, რაც შეიძლება მშვიდობიანი და ტკბილი საუბარი მქონოდა მასთან. გითხე, - რატომ ასე მწარედ გაგვიბრაზდით გუშინ მეთქი? მან მიპასუხა, - თქვენ რომ ჩვენი ტყვე ყოფილიყავით, არ გაკადრებდით დაგვესვა შეკითხვები საომარი ოპერაციების შესახებ. თქვენ ნუთუ არ იცით, რა ძნელია მორალური ქეჯნა დამარცხებული ჯარის გენერალისა და თუ არ გამოგიცდიათ ასეთი, წარმოიდგინეთ მაინც. მე კვლავ ვიმეორებ, რომ თქვენ ვერ მიიღებთ ვერავითარ ცნობას სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ, თქვენთვის სრულიად საკმარისია ის, რომ თქვენი ტყვეები ვართ და, გთხოვთ ამიერიდან შეწყვიტო სამხედრო საკითხებზე კითხვების დასმა. უკვე ვხედავდი, რომ საქმე მქონდა ადამიანთან, რომლის პრინციპულობა ჩემში მოწონებას იმსახურებდა. შემდეგ დავემუქრე კიდეც, მუქარაზე მეტი მკაცრი მუქარით მიპასუხა. ამან კი გამაბრაზა, მაგრამ თავი შევიკავე, ვთქვი ფანატიკოსი ყოფილა მეთქი. ბოლოს გითხე - რითი აისხება თქვენი ასეთი უნიადაგო პრინციპულობა, რომლიც ჯიუტობას უფრო გავს მეთქი. მან მიპასუხა, - რაც თქვენ ჯიუტობად მიგანიათ, ყოველი ლირსეული გენერალის საპატიო ვალია, რაც პატარა ადამიანებს არ ესმით და არც გაემტყუნებათ. ამ სიტყვებმა გამაბრობაზა და წამოვდექი, მაგრამ ადგილიდან ის არ დაძრულა. იდგა ისე, ვით ქანდაკება და ელოდა თითქოს სასიკვდილო განახენს. კიდეც მითხრა, თქვენთან ტყვეობას და ნაძრას სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნიათ. მე მომაგონდა ვეფხისტყაოსნის ადგილი „სჯობს სიცოცხლესა ნაძრასა, სიკვდილი სახელოვანი“ და გითხე, საიდან იცით თქვენ ეს აფორიზმი მეთქი. ის ცოტა შეჩრდა და ბოლოს მითრა, - ის ჩემმა დედამ მასწავლაო, ცოტა შეჩერდა, შემდეგ ამოიღო საათი, გახსნა და დააკვირდა ციფერბლატს დედის სურათს. კი მაგრამ თქვენ რა ეროვნებას უკუთვნით, ვინ ხართ შთამომავლობით მეთქი. მან მიპასუხა, - მე ირანელი ვარ, ტომით ფერეიდანელი ქართველი, გვარად დავითაშვილი. ალბათ ქართული გეცოდინება კიდეც მეთქი, ვკითხე გაკვირვებულმა. დიას ვიცი მიპასუხა ფრანგულად. ის კიდევ მაინც ეჭვის თვალით მიუკრებდა. მაშ, მოდი ვილაბარაკო ქართულ ენაზე მეთქი. მას გაუკირდა, თითქოს ენა დაება და ბოლოს მკითხა, საიდან იცით ქართულიო. დედა ხომ არ გყავთ ქართველი? მკითხა ოდნავ გაღიმებით. დიას, მე დედაც ქართველი

მყავს და მამაც, მე ისეთი თურქი ვარ, როგორც შენ ირანელი. **მომეცი ხელი დავითაშვილო, დადეშქელიანი გახლავართ.** აი, სად შეგვახვედრა ერთმანეთს ჩენი სამშობლოს ბერუკულმართმა წარსულმა.

დავიწყეთ ქართულად საუბარი, ზოგიერთი მისი ქართული სიტყვა ვერ გავიგე და ფრანგულად მითარგმნა. ჩვენმა ერთიანობამ ორთავეს გამოვიცვალა ხასიათი, იმის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს ხშირად ვხდებოდით, მაგრამ ჩვენი საიდუმლოება არავინ არ იცოდა. მისი გამჟღავნება საერთოდ არ ვარგოდა. ჩვენ მეგობრობის სიტყვა მივციოთ ერთმანეთს. ის ჩემი საუკეთესო მოყვასი გახდა. ერთ-ერთ ბრძოლაში მან გადამარჩინა კიდევ. ჩვენი მეგობრობის ფესვები დრმად შეიჯრა ჩვენს ურთიერთობაში, მისი ქალიშვილი ჩემი ნანატრი რძალია. შვილების შეუდლებამ ჩვენ კიდევ უფრო დაგვაახლოვა. ეს ამბავი რომ გავაგრძელო შორს წაგვივანს და ამიტომ ვარჩევ აქ შევჩერდე.

არასოდეს არ დამაგიწყედება ერთი ასეთი უცნაური ამბავი. 7-8 წლის წინათ, მე სამსახურში ვიყავი. ერთმა ვაჭარმა რატომდაც დიდი ყურადღებით ამხედ-დამხედა. მართალი გითხრა, კიდეც მეწყინა ამ უცხო კაცის ასეთი საქციელი. მას სახეზე რომ დავაკვირდი ჩვენებურ კაცად შევიცანი. ვერ მოითმინა და ქართულად დაემალაპრაკა. ძლიერ გამისარდა. რამდენადაც გულცივი იყო ჩვენი პირველი შეხვედრა, იმდენად გულთბილი გახდა ჩვენი საუბარი. მოკლედ ლაპარაკი ჩამოვარდა სამშობლოს სიყვარულზე. მან მითხრა მივატვე სამშობლო, მე მასზე ნაწყენი ვარ ძალიან. მართალია იქნებ შთამომავლობამ დამძრახოს, მაგრამ ჩემთვის ასე სჯობია, რომ მისგან მოშორებული ვარ. გამიკვირდა მისი ასეთი ლაპარაკი. ეს იყო ჩემთვის პირველი ადამიანი, რომლიდანაც ასეთი დვარძლიანი საყვედური გავიგონე სამშობლოზე. მიზეზი ვკითხე და ასე მიპასუხა: ჩვენს სოფელში, სისხლის აღების მიზნით შეცდომით მოპკლეს ერთი სრულიად უდანაშაულო მოხუცი, მეტად კეთილი და პატიოსანი ადამიანი. მახსოვება ბავშვობაში ბევრჯერ გაუკეთებია მას ჩემთვის და ჩემი ტოლებისათვის სათამაშო. ყველას მიმართ თავაზიანი კაცი იყო ის საცოდავი. მისმა სიკვდილმა გული დამისერა, როგორც ბაგშვი ისე ვტიროდი. მკვლელი იპოვეს, იგი ვიღაც აღის შვილია. ის რომ გადაერჩინათ, ბრალი მე დამდეს. საბრალო მამაჩემი რამდენი ეწვალა რომ სასჯელს გადავერჩინე, მაგრამ ამაოდ. ტყველიდან მაინც ვერ დამისხეს. რუსი მეფის კანონმა გზები დამისშო, ჩემი სიმართლე არ გამოჩნდა. საბრალო მამაჩემმა რომ გაიგო ციმბირში ჩემი გადასახლების ამბავი, გული გაუსკდა და გარდაიცვალა. ნათესავებმა და კუთხე მეზობლებმა შემიტულებს, თუმცა მათ კარგად იცოდნენ, რომ არაფერ შუაში არ ვიყავი, მაგრამ არც იმათ ვამტყუნებ. ხშირად აწიოკებდნენ მათ და მოწყინდათ ჩემი თავი. შევატყვე, რომ არავინ არაა ჩემი დამცველი და, როდესაც საციმბიროდ მომაზადეს, მოვახერხე და საპატიმროდან გამოვიქცი, თავი თურქეთს შევაფარე. უკვე ათი წელია აქ ვცხოვრობ, არავინ მაწუხებს. სამშობლომ მე გამიძულა, ამიტომ სულელი ხომ არა ვარ, ის მაინც მიყვარდეს.

როგორ არასასიამოვნო იყო ჩემთვის ასეთი პასუხი, მაგრამ რომ დაგუპვირდი, სიმართლე ვიპოვე. მართლაცდა თუ ყოველი შვილი ვალდებულია უყვარდეს დედა - სამშობლო, ასევე სამშობლოც ვალდებულია უყვარდეს მას მისი შვილი და მფრაველობდეს მას. ცხადია, თუ ის მისი მოდალაზე არ არის. თუ მაგალითად, შევცდი რამდეში, უნდა მაპატიოს. ის მეტი სულგრძელი უნდა იყოს, ისე როგორც მშობლებს მართებს სულგრძელობა

ყრმის დანაშაულზე. მე კი რა მიყვეს, სრულიად უდანაშაულოს დამატოვებინეს მიწა-წყალი. მითხრა - ის, რომ სრულიად გული არ მწყდება – მეთქი, არ იქნება სწორი, მაგრამ ვერ დავმალავ, ნაწყენი ვარ მასზე და ალბათ ამ წყენითვე ჩავალ სამარეში. დაე, მიიღოს ჩემი ცხედარი თურქეთის მიწამ. ცოტახნის დუმილის შემდეგ შევეკითხე – თქვენ როგორო მიგაჩნიათ ასეთი პასუხი მეთქი. მან მიპასუხა - თუმცა პირველად ეუცხოვა მისი ნათქვამი, მაგრამ ბოლოს რომ დავუძევირდი მართალია. მეც რომ ვყოფილიყავი მის ადგილას ალბათ ვიტყოდი, ადამიანი აზრსა და გონებას მის ჭირვარამში გამოიმუშავებს, მე მის ნათქვამს დაგეთანხმე. მიპასუხა მან მაგრამ ნაწყენი მაინც დავრჩი, რომ შევხდი სამშობლოზე ასე განაწყენებულ ადამიანს.

მე გულხადილად უნდა მოგახსევნოთ, რომ სიტყვაძუნწი კაცი ვარ, მაგრამ ხომ ხედავ რამდენს ვლაპარაკობ. სამშობლოში ჩამოსკლიოთ მოზღვავებულმა სიხარულმა ენაწყლიანად მაქცია. ასე მგონია, თითქოს ვალდებული ვარ ყველას ჩემი ამბავი, რაც გადამხდენია - ყველამ იცოდეს. რომ არ კმარა იყო მდიდარი და დაფასებული. არც ერთ მათგანს ფასი არ აქვს. თუ შენს სამშობლოს ვერ ეხმარები, თუ შენს მშობელ ხალს, შენს ჭირისუფალს გვერდში არ უდგახარ, ამას მწარედ განიცდის ჩვენი კაცი. ვისაც სამშობლოს სიყვარულის გრძნობა შერჩენია. აი, რამდენს ვლაპარაკობთ, იქნება გიგანტდეთ კიდეც, ამ უცნობმა კაცმა ასე როგორ გადამიშალა თავისი წარსული, თავისი შეხებულებანი. მაგრამ გეტყვი ერთს: ყოველი ქართველი, როგორი უცნობით არ უნდა იყოს ის, ჩემთვის სულერთია, ის მაინც ჩემი სისხლი და ხორცია, ჩემი ჭირისუფალია, ყველაზე მეტად ჩემს ავსა და კარგს გულთან ის მიიგანს და განიცდის. როგორც მოგახსენე, სამოცი წელი თურქეთის სამხედრო სამსახურში გავიარე, ახალგაზრდობაში, ცხადია მენატრებოდა ჩემი სამშობლო, მაგრამ სად დავიმარხებოდი, ეს სულ ერთი იყო ჩემთვის. ის მჯეროდა, მაგრამ სიბერეში რომ შეველ, გულმა აქეთ წამოსკლა მითხრა. ხომ გაგიგონია მთის ჩიტი მთას შეაკვდებაო. თურქეთშიც არის მთები და ლამაზი ადგილები, მაგრამ სულ სხვაა სამშობლოს მთა და ველი, შენი კუთხე, შენი გარემო, სადაც შენ ყრმობა გაგიტარებია. ძლიერი ყოფილა მისი ძახილი და ამიტომ გადავწყვიტე, რომ დაე, ჩემმა ბებერმა ძვლებმა აწ განისვენოს სამშობლოს მიწის უბეში. იქნება ამით მაინც ბოლიში მოვიხადო მის წინაშე, თუმცა მე პირადად არაფერი ბრალი მიმიდღვის. სამშობლოს სიყვარულს მუდამ გულით ვატარებდი და ვატარებ, ეს ღმერთმა კარგად იცის, მაგრამ რა ვქნა, თუ ჩემი ერის ბედუკულმართობამ მე გზა ამირია. მე ის მაწუხებდა, რომ რა დიდი თანამდებობა მეკავა და არ მხვდა წილად რითომე დავხმარებოდი ჩემი ერის ხალხს, როგორც ეს შეძლო მაგალითად, დაახლოებით ასი წლის წინათ მთელი ერაყის ძლიერმა ხელმწიფებ დაუთ ფაშამ, რომელსაც სულთანმა დახმარება სოხოვა კავკასიის ფრონტზე რუსეთ-თურქეთის ომისას. დაუთ ფაშამ, ტომით ქართველმა, კარგად იცოდა, რომ საქართველო შეერთებული იყო ერთმორწმუნე რუსეთთან და რუსეთს თუ გაუჭირდებოდა, ეს ამავე დროს საქართველოს გაჭირვება იქნებოდა და ამიტომაც უარი შეუთვალი და ამით შორეულ ერაყიდან თავის სამშობლოს დაეხმარა.

ნეტავი ვიყო ახალგაზრდა და მქონდეს ჯანი, უდაოდ მოვიხდიდი ჩემს გალს სამშობლოს წინაშე.

მე ახლა ერთი სათხოვარი საქმე მაქვს, თუ ძნელი არ იქნება ვიმედოვნებ დამეხმარებით.

გისმენთ, - ვუპასუხე მე.

კი მაგრამ, იცით რა უნდა გოხოვოთ?

არა, - ვუპასუხე მე.

მხოლოდ ვიცი, რომ მთხოვთ ერთ საქმეს, რომლის მოგვარება ოდნავადაც არ მიღავავს იმ ჩინებულ შთაბეჭდილებას, რომელიც თქვენგან მიმიღია. მას ჩაედიმა,

მე ხომ თურქეთის გენერალი ვარ!

მართალია ვუპასუხე მე. თქვენ თურქეთის გენერალი ბრძანდებით და არა თურქი გენერალი. აյ ხომ დიდია სხვაობა.

კი მაგრამ, მე ხომ მუსლიმანი ვარ და რჯული მაერთიანებს თურქეთან.

მართალია რჯული თურქეთთან გაერთიანებს, მაგრამ ეროვნული წარმობა, ეროვნული სული კი ქართველობასთან.

მომწონს ეს პასუხი, ალბათ ჩვენი ხალხის ანდაზა მოგეხსენებათ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. ეროვნება ხომ ყოველ ჩვეულებაზე მაღლა დგას და, მაშასადამე, ერის ძახილი მეტი ძლიერია რჯულის ძახილზე, თუმცა ამ სამართლიან წესიდან ზოგჯერ გამონაკლისსაც აქვს ადგილი, რომელიც კაცს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს. მე დავეთანხმე და თან მაგალითებიც დავუსახელვ.

ახლა მე კვლავ ვუბრუნდები ჩემს თხოვნას თქვენდამი ჩემო კეთილო! გავიგე, რომ დედახემის მეგვარე ყოფილა ბათუმში - მემედ ბეგ აბაშიძე. მის შესახებ მე თურქეთში მსმენია ბევრჯერ. მმართველი წრეები მასზე ძლიერ გაბრაზებული არიან - საქართველოსკენ უჭირავს თვალიო. მე ვუპასუხე: მე-მედ ბეგ აბაშიძეს მე კარგად ვიცნობ, ვიცნობ მთელს მის ოჯახს. მართალია რაც უთქვამთ თურქეთში მის შესახებ მეთქი. იგი ვერ იგანს არა მარტო თურქებს, არამედ სახტიკად ებრძოდა რუსეთის მეფის მთავრობას. ბრძოლამ უსამართლობის წინააღმდეგ ის რევოლუციონერი გახადა. ბევრჯერ დააპატიმრეს ის, მეფის მთავრობამ შორეულ ციმბირშიც კი გადაასახლა, თავისი სახლი და ადგილ-მამული სოფელ ურქეში რომ ჰქონდა, ყველა გლეხობას დაურიგა. როდესაც ის დატყვევებული გადასახლებაში მიჰყავდათ, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მიუხედავად ეროვნებისა და რჯულისა მწუხარებით აცილებდა. მისი ბევრი გამცილებელი ქვითინებდა კიდეც. როდესაც თვითმყრობელობა დაუმხო, სამშობლოში დაბრუნება. მას ძლიერ უყვარს მისი სამშობლო - საქართველო. ის ვერ ურიგდება იმ ამ-ბავს, რომ თურქებმა ძალმომრეობით მიაღებინა აჭარლებს ისლამის რჯული და მონების უდელი დაადგა. უკან დახია საქართველოს ამ კუთხის კულტურა და სამეურნეო ძლიერება. მას სურს, რომ ქართველი ერი იყოს ერთიანი და თავისუფალი, არავინ არ ავიწროვებდეს მას, ქონდეს კეთილი მეზობლური დამოკიდებულება თურქეთან იქნება თუ ეს სხვა რომელიმე მეზობელ ქვეყანასთან. ის იმ წამსვე ცეცხლივით აენთება, როდესაც გაიგებს რომელიმე ერის ჩაგვრას მეორე ერის მიერ. გონებართული და მართალი ადამიანია, ხალხს ძლიერ უყვარს იგი.

უოჩად! თქვა ხმამაღლა სტუმარმა, კარგი კაცი ყოფილა, მერედა რას ერჩიან ასეთი ადამიანს. მეც ასე მწამს. მაშასადამე, ჩვენ ერთი შეხედულებისა ვყოფილვართ. მალიან დაგიმაღლებთ ჩემო შვილო, თუ გამაცნობთ მას. მე დავპირდი და ნამდვილად გადავწყვიტე ბათუმში ჩამოვსულიყავი და მემედ ბეგ აბაშიძისათვის მეთქა ეს ამბავი, გადამეცა ის სურვილი, რაც

სტუმარმა მთხოვა. უკვე ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდებოდა. ეს ჩანდა ხშირი პაუზებიდან, ვატყობდი, რომ სტუმარი დაიღალა, მეტის თქმას აპირებდა, თუმცა მე დიდი სურვილი მქონდა კიდევ ელაპარაკა. გზადაგზა საუბარში არ ვერეოდი, მინდოდა მოხუცს ისე ელაპარაკა, როგორც მას სურდა და ეს ასეც მოხდა. მან დამპირდა, რომ კიდევ მინახულებდა და ასეც იყო, წასასვლელად მოქმედა, ვთხოვე რამდენიმე წუთით შეჩერებულიყო. მოვძებნე ძველი, ფურცელგაყვითლებული პატარა წიგნი, გადავეცი, დაჯდა, წაიკითხა ოთხი-ხუთი გვერდი. ორი ცრემლი ბროლის მძივივით გადმოგორდა მოხუცის თვალებიდან. შემომხედა, ხელი ჩამომართვა, მომეხვია. ამ წიგნის ფურცლები თითქოს მამა-პაპა მედახის, თითქოს მესმის მათი ლაპარაკი. საოცარია შვილო ჩემო ასეთი შემთხვევა ჩემი გვარის ამბავისა იმ გადმოცემასთან, რაც მამაჩემიდან გამიგონია. ეხლა უფრო გაბედულად ვიამაყებ, რომ დადეშქელიანთა შთამომავლობისა ვარ. აი, რა ჩინებული საბუთი მომეციო.

მამაშვილობას, ძალიან გთხოვ ამ სიხარულს ნუ დამიჩრდილავ, მათხოვე ეს წიგნი, მას ხელით გადავწერ და სამ დღეში მოგიტან.

მე მას ვუთხარი, - ეს წიგნი თქვენთვის მომირთმევია, როგორც საჩუქრი მეთქი.

კვლავ გადამეხვია და დამემშვიდობა. მითხრა, - ახლო ხანში კვლავ გნახავო. მას შემდეგ მე ის არ შემხვედრია. ვისაც არ ვკითხე ვერაფერი ვერ გავიგე იმ კეთილი მოხუცის ბედის შესახებ. იმ ხანებში მალე თურქებიც შემოვიდნენ.

ଓଡ଼ିଆ ଲେଖଣି ପାଠ୍ୟ କୁର୍ରାତ୍ରି ଦିନରେ ଅନ୍ତର୍ଜାଳ ପାଠ୍ୟ

σβγησ

მოხსენებითი პარათი საგაფუფო საკითხებთან დაკავშირებით ბათუმში

(დოკუმენტი მოიძია და თარგმნა არქივისტმა მზია სურმანიძემ)

სავაუფო საკითხის წარმოშობის ისტორია. თვით საკითხის არსი, ადგილობრივი მთავრობის უარყოფითი დამოკიდებულება საქმისადმი, კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციის ინერტულობა და სანახევრო ზომები, ცენტრალური მთავრობის უყურადღებობა დაინტერესებული მხარეების თხოვნებსა და საჩივრებზე. მსგავსი პოლიტიკის შედეგი: რეპრესიული ზომები ბათუმის ადმინისტრაციის იმ პირების მიმართ, რომლებიც შუამდგომლობდნენ ამ საკითხის გადაჭრისათვის.

23 რეჯები. 1280 (1862) წლის სულთან აზიზის ფირმანით იქნა მოწონებული და დამტკიცებული ახალი ბათუმის მშენებლობის გეგმა. სავარაუდო მეჩეთის მშენებლობა იგეგმებოდა ქალაქის ახალ ნაწილში. იგი გამყარებული იყო საიჯარო ხელშეკრულებით, რაც გულისხმობდა სახელმწიფო მიწის კერძო პირზე გამოყოფას და შესაბამის საიჯარო გადასახადს - ე. წ. **მუქათა 50 პიასტრი ყოველ ას კვადრატულ არშინზე.** შარიათის საფუძვლების თანახმად სავაუუფო მდგომარეობიდან გამომდინარე მფლობელებს პქნენდათ სრული უფლება მექანიზრებით და უვადო მფლობელობაში პქნოდათ მიწები. მათი ვალდებულება იყო ქონების გასხვისების შემთხვევაში მეჩეთის სასარგებლოდ გადაეხადათ იგივე რაოდენობის თანხა. იმ შემთხვევაში, თუ სამი წლის განმავლობაში მიწა განაშენიანებული არ იქნებოდა, ამგვერდებარებოდა ჩამორთმევასა და სხვა პირზე გადაკვემას.

ეს პირობები სრულად იყო დაცული მანამ, სანამ ოლქი მიუერთდებოდა რესეგოს. უცნობია რა საფუძველზე მოიაზრებს კერძო და სახელმწიფო მიწების შესასწავლად 1879 წელს შექმნილი განსაკუთრებული კომისია აზიზიეს მეჩეთს სამხედროდ, მაშინ როცა იქ უკვე აღარ ტარდებოდა დათვისმსახურება. ოლქის გუბერნატორს წარედგინა მოთხოვნა მიწების ჩამონათვალით, რომლის მიხედვით მეჩეთის კუთვნილებაში არსებული ის მიწები, რომლებიც არ იყო მოვლილი და განაშენიანებული, ჩამორთმეოდათ და გადაეცათ ქალაქის საკუთრებაში. ყოველივე ამან გზა გაუხსნა, როგორც კერძო პირთა ბოროტ ქმედებებს, ასევე ქალაქის დეპუტატებს, რომლებიც პოლიტიკის აქვთმდებარებოდნენ 1887 წლამდე.

კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები არ მოიწონა კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ. მოგვიანებით იგი დათანხმდა მოსაზრებას, რომ სავაჭუფო მიწები ქალაქის მფლობელობაში კი არ გადასულიყო, არამედ არამედ, ქალაქი ყოფილიყო მისი განმკარგავი. ამ გადაწყვეტილების შემდეგ ქალაქი მიწებს თავის საკუთრებად მიიჩნევდა, ეს კი იწვევდა დავებსა და საჩივრებს. ინტერესთა კონფლიქტი რომ არ გაღრმავებულიყო, მეჩეთის ადმინისტრაციამ აკრძალა ახალი მექატრონიკებისათვის არამარტო იმ მიწების გადაცემა, რომელიც უკვე ქალაქის განკარგულებაში იყო, არამედ იმ სავაჭუფო მიწებისაც, რომლებიც კერძო პირთა კანონიერ მფლობელობაში იმყოფებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მათი დოკუმენტები დამოტმებული და აღიარებული იყო.

ბული იყო 1879 წლის განსაკუთრებული კომისიის კანონიერი აქტის ძალით. ეს იყო ბიძგი ახალი ბოროტმოქმედებისათვის, მიმართული ხაზინის, მეჩეთის, ქალაქისა და თვით კერძო მესაკუთრეების წინაღმდეგ. არაკანონიერი ქმედებების შედეგად ახალი მფლობელების ხელში გადადიოდა სავაჭუფო მიწები ყოველგვარი მოსაკრებლისა და ყოველწლიური საიჯარო გადასახადის გარეშე. ხელისუფლებას მთელი 30 წლის განმავლობაში არათუ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, არამედ პირიქით, მიზანმიმართულად უშლიდა ხელს ყოველგვარ შუამდგომლობას, მიუხედავად იმისა, თუ ვის მიერ იყო ადრეული ეს შუამდგომლობა.

საბოლოოდ, 1903 წლის მიხეილის სათავადაზნაურო მიწის ბანკის (ქუთაისში) მიერ აღიძრა შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რათა ნამდვილი მესაკუთრეების სახელით ბანკისთვის მიეცათ უფლება გირაოდ მიეღო აზიზიეს სავაჭუფო მიწები. აუცილებელი (საჭირო) ცნობებისა და მონაცემების შეგროვების შემდეგ საქმე დასკვნისათვის გადაეცა იუსტიციის მინისტრს. საკითხი განიხილეს მმართველი სენატის საერთო კრებაზე, მაგრამ სენატმა მთლიანად და ამომწურავად არ გასცა დასმულ კითხვას პასუხი და შემოიფარგლა მხოლოდ სავაჭუფო მიწების იმ ნაწილით, რომელიც ბათუმის საქალაქო მმართველობის განკარგულებაში იყო (როგორც საკუთრება). გამომდინარე იქნდან, რომ დასახელებული მიწების მეჩეთის კუთვნილებიდან ამოღება და ქალაქის მმართველობის განკარგულებაში გადაცემა მოხდა მისი უმაღლესობის თანხმობის გარეშე, აქედან გამომდინარე - პირებმა, რომლებმაც შეიძინეს მიწები ქალაქის მმართველობიდან, აგრეთვე მათი სამართალმექვიდრეები არ შეიძლება ჩაითვალონ კანონიერ მფლობელებად. ასე რომ შემოთავაზებული საკითხი მმართველი სენატის საერთო კრების პირველი საკასაციო დეპარტამენტის მიერ (2 მაისი, 1905 წელი, № 16) უარყოფითად იქნა გადაწყვეტილი.

ზუსტად ორი წლის შემდეგ, ქუთაისის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ბათუმის სამხედრო გუბერნატორის სახელზე აგზავნის თხოვნას, რომ ზემოხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე აღარ მოხდეს სავაჭუფო მიწების გასხვისება, ახალ პირებზე გადაცემა და ნოტარიუსი ითხოვს სავაჭუფო მიწების მთლიან სიას. გუბერნატორმა ამის შესახებ შეატყობინა ქალაქის მმართველობას, მაგრამ სიის შედგენაზე არავის უზრუნვია.

ადგილობრივი ნოტარიუსები, შემოსავალი რომ არ დაეკარგათ მსურველებს სთავაზობდნენ ახალ მეთოდებს. იგი ითვალისწინებდა 12 წლიან ხელშეკრულებას, ვადის ამოწურვის შემთხვევაში კი ხელშეკრულების განახლებას. საქმის ვითარება იყო ასეთი, როცა მე გავეცანი ამ ყველაფერს, ჩავატარე წინასწარი კრება, ერთის მხრივ საკუთარი სახლების მფლობელებთან და მეორეს მხრივ მეჩეთის წარმომადგენლებთან. მივიღე გადაწყვეტილება - შუამდგომლობა აღმერა და საბოლოოდ გადაწყვეტილიყო ეს მტკიცნეული საკითხი. ამ მიზნით სპეციალურად ვიმყოფებოდი კოსტანტინოპოლში, რათა მომეპოვებინა სულთან აზიზის მიერ ფირმანით დამოწმებული ასლები.

იქნედან გამომდინარე, რომ ზემოთ აღნიშნული სენატის გადაწყვეტილებაში არსებობს გაუგებრობა, თანდართული ფირმანის ასლითა და მთლიანი სავაჭუფო ნაკვეთების უწყისებით მიღმართე ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს, რათა აღეძრა შუამდგომლობა იუსტიციის მინისტრთან სენატის საერთო კრებაზე 1905 წლის 2 მაისს მიღებული გადაწყვეტილების განსა-

მარტავად. გუბერნატორის არ აღმრა შუამდგომლობა. დიდი ხნის დაგვიანებით ჩემი თხოვნა წარედგინა იუსტიციის მინისტრს, რომელმაც ასევე არ მოთხოვა სენატს საქმის მეორეჯერ განხილვა. მე კი მომეცა მოტივირებული უარი იმ გაგებით, რომ საერთო კრების გადაწყვეტილება ეხება მხოლოდ იმ სავაუფო ნაკვეთებს, რომლებიც ბათუმის საქალაქო მმართველობის განკარგულებაშია, როგორც თავისი საკუთრება.

ასე, რომ სენატის გადაწყვეტილება ითვალისწინებდა საკანონმდებლო ნორმების ახალი წესების მიღებამდე ბათუმისა და ყარსის ოლქში წესრიგის დაცვას არსებული მეთოდებით. მე მიღმართე შინაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნით, რათა ბათუმში დაფუძნებულიყო უწყებათაშორისი განსაკუთრებული კომისია, რომელიც ოურქეთის ხელისუფლების საკანონმდებლო ნორმებიდან გამომდინარე მოახდენდა აზიზიეს მეჩეთის კუთვნილი სავაუფო მიწების განკარგვასა და მფლობელობაზე კონსტანტაციას. ეს ტოლია ჩემი კლიენტების კუთვნილი ქონების უდაო ლეგიტიმურობისა. სამინისტრო დათანხმდა, ხოლო სასულიერო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორმა საქმე ნაჩეარევად ჩათვალა და გადაამისამართა კავკასიის უმაღლეს მთავრობასთან. ბათუმის ადმინისტრაცია ყველა მეთოდით ცდილობდა საქმის გაწელვას. ოლქის გუბერნატორი პოლკოვნიკი რომანოვსკი ჩემს თხოვნასა და საჩივრებს არანაირ ყურადღებას არ უთმობდა. რწმუნებულის კანცელარია თავის მხრივ ყველა შესაძლო მეთოდით ამართლებდა ბათუმის გუბერნატორის ქმედებას. ვინაიდან ცხრა თვის გასვლის შემდეგ ისინი მოვალენი იყვნენ გაეცათ ჩემთვის პასუხი, 1910 წლის 7 აგვისტოს გამომიცხადეს უარი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა კანცელარიის მოხელეთა საქმეში აბსოლუტურ ჩაუხედაობას. უდაოდ მტკიცდება ფაქტი, რომ კავკასიის უმაღლესი მთავრობა მთელი ამ ხნის განმავლობაში არ შეწუხებულა - გაერკვია რაში მდგომარეობდა ჩემს მიერ აღმრული შუამდგომლობის არსი. მათი მოტივაცია კი ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას.

სამინისტროს უარზე მე შევიტანე საჩივარი სამთავრობო სენატის პირველ დეპარტამენტში, იმავდროულად მეჩეთის სასულიერო პირთა სახელით მივმართე რწმუნებულს ახალი თხოვნით, რათა გამოვითხოვო ბათუმის საქალაქო მმართველობისგან სავაუფო მიწების მართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია და გადაუდებელი ზომები იქნას მდგბული აღნიშნული მიწების შემდგომი მიტაცების თავიდან ასაცილებლად. ჩემივე ძალისხმევითა და ქალაქის სახელით აღიძრა შუამდგომლობა განსაკუდებული კომისიის შექმნისათვის სავაუფო საკითხის მოსაგვარებლად. ამისათვის თბილისში მივლინებული იქნა სპეციალური საქალაქო დეპუტაცია. ჩემს მიერ შევიწროებულმა ბათუმის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, გზიდან ჩამოვეშორებინე. ამ მიზნით თავდაპირველად მუსლიმანებს მუქარის ძალით აიძულებდნენ ჩემზე უარი ეთქვათ და აპირებდნენ დაებრალებინათ აგიტატორობა ადგილობრივი მთავრობის წინააღმდეგ. როგორც კი ეს მცდელობა ჩაიშალა, ბათუმის გუბერნატორმა მოიფიქრა მორწმუნებზე გავლე მოეხდინა კავკასიის მთავარი მუფთის საშუალებით. ამ მიზნით მუფთთან გაგზავნა თავისი ჩინოვნიკი, ზემო აჭარის ხელმძღვანელი ჯემალ ბეგ ხიმშიევი (ადგარსკი) განსაკუთრებული დავალებით. ეს ცდაც უშედეგო აღმოჩნდა. ამის შემდეგ თვით გუბერნატორი ეწვია მუფთს და მისი დაჯინებული თხოვნის შემდეგ მოვიდა ბათუმის მუსლიმანური სარწმუნოების წარმომადგენლებისადმი მუფთის მიერ გამოგზავნილი წერილი. მეორეს მხრივ, ბა-

თუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი ცდილობდა ჩირქი მოეცხო ჩემთვის, ჩემი კლიენტების - დამქირავებლების თვალში აშკარად გამოგონოლი ბრალდებით და ყოველივე ამაში ეხმარებოდა ერთადერთი ადგილობრივი გაზეთი „Батумскія Весті“. მაგრამ გაზეთი აღმოჩნდა გამოუგად სიტუაციაში და შეწყვიტა ჩემზე თავდასხმები, რადგანაც მე ვუჩივლე. ისინი ამით არ დაქმაყოფილდნენ. ბათუმის გუბერნატორმა პოლიციელისტერთან შეთანხმებით მოახდინეს დასმენის ფაბრიკაცია, თითქოსდა მე ვიყავი თურქეთის ხელისუფლების აგენტი. ამ გზითაც რომ ვერ მიაღწიეს მიზანს და მოიგონეს ახალი საშუალება: მათი ხელმძღვანელობით მოსახლეობის სახელით შეადგინეს ცილისმწამებლური პეტიცია მოთხოვნით - გავესახლებინე ოლქიდან. ხელმოწერები კეთდებოდა მოტყუებით და უმეტესობა იყო გაყალბებული. ამანაც არ გამოიდო მათთვის სასურველი შედეგი. ბათუმის გუბერნატორი უპე ოფიცუალურად, მისი უმაღლესობის რწმუნებულს თხოვს ოლქიდან ჩემ გასახლებას. ეს ცდაც უშედეგო არმოჩნდა. ამავდროულად კიდევ ერთი ახალი წლის გასვლის მიზეზით რწმუნებულის კანცელარიამ გადადო ჩემი თხოვნა ბათუმის საქალაქო მმართველობისაგან ანგარიშის გამოთხოვისა და სავაჭუფო ქონების დაცვის ზომების მიღების შესახებ. ბოლო შუამდგომლობას - ბათუმის ოლქში უცხოელ აღმსარებელთათვის არსებული სასულიერო წესდების ზოგიერთი ნაწილის გავრცელებასთან დაკავშირებით რწმუნებულის კანცელარიამ არ მისცა საჭირო მიმართულება. გასული 1911 წლის ზაფხულში თითქოსდა გაითვალისწინეს ქალაქელთა ინტერესები და გასცეს განკარგულება სავაჭუფო კომისიის დაფუძნებისა, მაგრამ არც სასულიერო პირებმა და არც კერძო საკუთრების მფლობელებმა აღნიშნული საქმის შემდგომი მსელელობის შესახებ არაფერი იციან. ბათუმის აღმინისტრაციამ ბოლოსდაბოლოს გაატარა რადიკალური ლონისძიება, გათავისუფლებულიყო ჩემგან და ამჯერად მიზანს მიაღწია. გუბერნატორი და მისი მომხრეები მოთმინებიდან გამოვიდნენ, რადგან შემოდგომაზე მე ანდიუანიდან გამოვედი მათ წინაარმდეგ - მუსლიმანურ მომლოცველთა პარტიის დასაცავად. ამიტომ მათ ჩემს წინააღმდეგ შეთხეს აღმაშფოთებელი ცილისწამება და მიხეილის ციხესიმაგრის კომენდანტს თხოვეს შესაბამისი ზომების მიღება. კომენდანტი შეცდომაში შეიყვანეს და თანამდებობით მინიჭებული უფლებების გამოყენებით (73 სტ. ბრ. 11 ნოემ. 1911 წ.) სამუდამოდ ამეკრძალა ციხესიმაგრის რაიონში ყოფნა.

საქმის გამოძიებისა და კომენდანტის ბრძანების გაუქმების მოთხოვნით კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდლისადმი, აგრეთვე იმპერიის უმაღლესი მთავარსარდლისადმი გაგზავნილი ჩემი მიმართვა უმაღლეს ხელისუფალთა მიერ უყურადღებოდ იქნა დატოვებული. ჩემი სარჩელების საფუძვლიანობა ბათუმის აღმინისტრაციის უკანონო ქმედებების შესახებ ჯერ კიდევ გასულ წელს დამტკიცდა - მისი უმაღლესობის რწმუნებულის განკარგულების საფუძველზე წარმოებული გამოძიებით. ჩემი მისამართით გამოგონილი, შეთხული ცილისწამება დადგენილია ჯერ კიდევ დამოუკიდებლად ჩატარებული გამოძიების მიერ უანდარმერიის მხრიდან. მიუხედავად ამისა, ბათუმის აღმინისტრაცია უკანონო გზებით მდევნიან და მავიწროებენ არა მარტო მე, არამარტო ჩემი ნდობით აღჭურვილ პირებსა და სახლომფლობელებს, არამედ აღგილობრივ მუსლიმან სასულიერო პირებსაც, რომელთაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიაწერენ რუსეთისადმი მტრულ დამოკიდებულებას. აი შედეგი თურქული ბატონობისა, რომელიც

არ გაუქმებულა 30 წლის განმავლობაში და კავკასიის ხელისუფლების მიერ კვლავ შენარჩუნებულია, როგორც წყარო არალეგალური შემოსავლისა ბათუმის ადმინისტრაციისათვის. მაგრამ ეს უველავერი ხილული დანაკარგია ქალაქის და ქალაქების ინტერესებისათვის, ხაზინისათვის და ოლქის მუსლიმანური მოსახლეობისათვის.

ნოკოლაი იორდანოვიჩი

ახელი ცხა, ფონდი ი-3; ანაწ. I; საქ. 4; ფ. 87, 88.

କୁଳାଚୀ

თამაზ ფუტკარაძე

‘ଓ দুর্দান্ত কাহিনি - ওই দেশে

აჭარის საარქივო სამმართველოსა და საქართველოს შსს-ს არქივს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ ამ მიმართულებით რამდენიმე სასიკეთო საქმეს დაედო სათავე. პრაქტიკულად შეისხა ფრთხები ჩვენმა თანამშრომლობამ, რამაც განაპირობა რამდენიმე ერთობლივი ღონისძიების განხორციელება. შსს-ს არქივის ძალისხმევით გამოიცა შესანშავი წიგნი, რომელშიც ბათუმელი ავტორებიც არიან წარმოდგენილნი. შსს-ს არქივის მოწადინებით მოხერხდა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის გადაღება, რომელშიც ასევე მონაწილეობენ ბათუმელი არქივისტები.

„არქივის კვალდაკვალ-ბათუმი“ სპეციალური და სპეციფიკური გამოშ-



კაც გამოიყენება. დაზი აც ნიურული პასუხისმგებლობითა და რედუნდანტური შედგენილი წიგნი დაწვრილებით აღწერს სხვადასხვა ეპიზოდს, რომელთა ცოდნა და ანალიზი მნიშვნელოვანია წარსულის გააზრებისა და მძიმე მემკვიდრეობის დაძლევისათვის.

წიგნის ყველა პარაგრაფი უნიკალური ინტელექტუალური მასალა. მასში ასახულია მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრება საბჭოთა პირობებში, რომლებიც იმედგაცეულებულნი იყვნენ საბჭოთა რეალობით. თითოეუ-

ლი პიროვნების ტრაგიკულ მოღვაწეობაში აშკარად იკვეთება გმირობის ელემენტები.

ძალზე საინტერესოა 1937 წელს ბერიას მიერ გაგზავნილი წერილი სტალინისადმი, რომელშიც იგი ეხება ციხეების გადატვირთვას პატიმრებით, საბჭოთა საქართველოს მეამბოხე პირების თვითმკვლელობამდე მიყვანას, მოსახლეობის გადასახლების საკითხების გადაწყვეტას და ა. შ. ეს წერილი საინტერესოა მით უფრო, რომ ბერიას სახელი ზოგადიდ ასოცირდება დახვრებებთან, რეპრესიებთან, გადასახლებებთან და მასობრივ ტერორთან. ამ წერილში ნაწილობრივ ხელისუფლების „შიდა სამზარეულოცაა“ წარმოდგენილი.

საინტერესოა ამ წერილში ცა-ს პირველი მდივნის ბერიას წუხილი იმის შესახებ, რომ 1937 წლის აღწერის შემდეგ შედგენილ ლექსიკონში აჭარლები ცალკე ერად არის გამოყოფილი. ბერიას სიტყვებით „აჭარლების ცალკე ერად გამოყოფა და საქართველოსგან მოცილება ძირშივე ეწინააღმდეგება სტალინის მიერ ჩამოყალიბებულ ნაციათა გაგებას. აჭარლებს საქართველოსთან საერთო ენა, ტერიტორია და კულტურულ-ეკონომიკური განვითარება აერთიანებს. აჭარლები ისეთივე ქართველები არიან, როგორც საქართველოს ყველა კუთხის შვილები“. ბერია წერილებში აკრიტიკებს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებას, მაგალითად საბჭოთა მეცნიერებათა აკადემიას, რომლებმაც 1926 წელს (სხვა დროსაც) საქართველო დაყო ქართველებად, მეგრელებად, ჭანებად, სვანებად და ბაცბებად, ხოლო ენათმეცნიერების ინსტიტუტმა 1937 წ. მოსახლეობა წარმოადგინა ქართველებად, მეგრელებად, ჭანებად, სვანებად, აჭარლებად და ბაცბებად. ბერია 1937 წ. 16 ივნისის წერილში სტალინისადმი თხოვს ხელისუფლებას, რომ სასწრაფოდ გაიცეს განკარგულება ლექსიკონში ამ შეცდომის გასასწორებლად და აჭარლები ჩაწერონ ქართველებად. საქართველოს დანაწევრების მსურველ მეცნიერებს კი იგი „გელიკოდერუჟაგული სულით გაუდენთილებს“ უწოდებს.

წიგნში წარმოდგენილი სხვა მასალებიც იპყრობს მკითხველთა ყურადღებას. მხედველობაში გვაქვს სტატიები: „რეპრესირებული გაზეთი“, „გროზა“, „საბაშვილი“ „ხიმშიაშვილი“ და ა. შ. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა მასალა, რომელიც კომუნისტური პარტიის ზემბის პერიოდში - 1960-1970-იან წლებში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი, ა. კოსიგინისადმი რეზო ცინცაძის მიერ გაგზავნილ წერილებს ეხება. დღეს ბაზონი რეზო ჩვენი დონისძიების მონაწილეობა. იგი კირნათშია დაბადებულ-გაზრდილი. მისმა ოჯახმა საკუთარ თავზე იწვნია რეპრესიების ტალღა. მეცხრე კლასის მოსწავლე უკვე დაინტერესებულა პოლიტიკით. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ დაიწყო უცხოეთის რადიოს მოსმენა, ხოლო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ მთლიანად შეეცვალა წარმოდგენა საბჭოთა სისტემის შესახებ და 1967 წლის 27 ოქტომბერს მისწერა პირველი წერილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. კოსიგინს, ხოლო ასლი კი გაზეთ „პრავდას“ გაუზავნა.

წერილში რ. ცინცაძე მოითხოვს ითქვას სიმართლე რამდენიმე ისტორიული მოვლენის შესახებ, კერძოდ იმაზე, თუ რას წერდნენ ბურუჟაზიული გაზეთები ოქტომბრის რევოლუციის შესახებ, ასევე ტროცკის პიროვნებისა და 1937 წლის თაობაზე. მისი აზრით, აუცილებელია ტროცკის შრომების

გამოქვეყნება, რათა ხალხმა თავად შეძლოს მისი, როგორც ისტორიული ფიგურის შეფასება. ავტორი ითხოვს 1937 წლის რეპრესიების ავტორების სათანადოდ დასჯას.

ქვეთავაში „საკოლმეურნეო წყობა დაქმხო“ წერილის ავტორი საუბრობს კოლმეურნეობის გაუქმების აუცილებლობაზეც და გლეხებისთვის მიწის საკუთრებაში გადაცემაზე, ასევე განიხილავს მსხვილი მეურნეობების შექმნის შესაძლებლობას, მოითხოვს არჩევითობას, პარტიის ჩარევის აკრძალვას ეკონომიკაში: „ოფიციალური ბრძანებულებით დაუყოვნებლივ დაითხოვთ კომუნისტური პარტია. დაითხოვთ მთავრობა ან დაარქვიო მას დროებითი, საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების მოსამზადებლად“, წერს იგი.

წერილში სხვა საკითხებზეც არის საუბარი, მაგრამ ამას მკითხველი თავად წაიკითხავს წიგნში. მთავარი ერთია: ქვეყნის ინტერესებმა გააძევვინა რ. ცინცაძეს აღნიშნული წერილის დაწერა მაშინ, როცა აღნიშნულის შესახებ გაფიქრებისაც კი ეშინოდათ. ავტორმა ცხადია პასუხი ვერ მიიღო, ამიტომ გადაწყვიტა ხელახლა დაეწერა წერილი, მაგრამ განაზრახი გაუგეს და დაპატიმრეს. მოგვიანებით იგი შეურაცხადად მონათლეს და იძულებით მკურნალობაზე ყაზანის ფსიქიატრიულ სავადმყოფოში გადაიყვანეს. კლინიკის მკურნალმა ექიმმა საიდუმლოდ გაანდო რეზო ცინცაძეს, რომ არ დაელია ეს წამლები. სწორედ ამან გადაარჩინა პატიმარი. „მკურნალობის შედეგებისა“ და მისი აზრების შესამოწმებლად მისულებს პატიმარი ისე ესაუბრა, როგორც ექიმმა დაარიგა, რამაც განაპირობა მისი გათავისუფლება.

წერილში სხვა საჭიროობო საკითხებზეც არის საუბარი. ჩვენ მათ შესახებ აღარ ვისაუბრებთ. ამ პუბლიკაციებს მკითხველი თავად გაეცნობა წიგნში. ვიტყვით, მხოლოდ, რომ რეზო ცინცაძე ჩვენი რეგიონის უახლოეს ისტორიაში პრაქტიკულად არის დიდიდენტური მოძრაობის საფუძველჩამოყრელი. წიგნში დაწერილებითაა წარმოდგენილი ბარონ რეზო ცინცაძის ბიოგრაფიის ცალკეული დეტალები.

ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშეა მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და მაღალი აკადემიურობით გამორჩეული გამოცემა, რომელსაც აქვს უდიდესი თეორიული და პრაქტიკული დატვირთვა. უპირატესად იგი წარსულის მძიმე მემკვიდრეობის დაძლევას ემსახურება. წიგნის ავტორებმა ამ შესანიშნავად მოახერხეს ამ უაღრესად პრობლემატური საკითხის ადამიანური და ისტორიული კუთხით წარმოჩენა.


ჭულ შ ჯგუფი
(ქართველი უნი ეს ჯგუფი ზოგადი და სამართლის მიერ მომსახურება)

**სანძთა და „თორმეტ საგანეთა“
მხარის ძელი საღოცავები**

მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო ნიჭიერი მკვლევარის, პროფესორ მალხაზ ჩოხარაძის ნაშრომი „ხანცოდა და „თორმეტ საგანეთა“ მხარის ძეველი საღოცავები“ (ბათუმი, 2015 წელი). ნაშრომში წარმოჩენილია კლარჯეთის „ათორმეტ საგანეთა“ მხარის წარსული და თანამედროვეობა; ქართველებისა და ქართული ენის მდგომარეობა ჭოროხის აუზის იმ ნაწილში, რომელიც ამჟამად თურქეთის შემადგენლობაშია. ნაშრომი განკუთვნილია ისტორიული სამხრეთ საქართველოს მკვლევართათვის და ამ თემით დაინტერესებული მკითხველებისთვის.

სარჯი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული მეცნიერების ჯგუფმა (მალხაზ ჩოხარაძე, ლილე თანდილავა, მამია ფადაგა, ომარ მემიშიშვი, მაია ბარამიძე, ჯემალ ვარშალომიძე, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, თინა შიოშვილი, მანანა თავდგირიძე, ციალა ნარაკიძე, ჯემალ მიქელაძე) გამოსცა უაღრესად საინტერესო მონოგრაფია „სარჯი“ (ბათუმი, 2015).



მონოგრაფიაში სამეცნიერო მივლინებების დროს შეკრებილ მასალებზე, წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით შესწავლილია სოფელი სარჯი. ნაშრომს თან ერთვის მდიდარი საილუსტრაციო და გრაფიკული მასალა, ლაზური ტექსტები ქართული თარგმანითურთ და ინგლისურენოვანი რეზიუმე.

მონოგრაფია პირველი ცდაა სარჯის, XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფო საზღვრით ორად გაყოფილი სოფლის კომპლექსური შესწავლისა. იგი კარგ სამსახურს გაუწევს ისტორიკოსებს, ლიტერატურათმცოდნებს, ეთნოლოგებს, ფოლკლორისტებს, ენათმეცნიერებს და ისტორიული საქართველოს შავიზღვისპირეთით დაინტერესებულ მკითხველებს.

შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები

2015 წელს მკითხველმა მიიღო ცნობილი მეცნიერის ნიკო მარის შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები. დღიურები თარგმნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა რევაზ დიასამიძემ, ხოლო შენიშვნები და კომენტარები დაუტორი პროფესორმა მამია ფადავაძე.

წიგნში ნ. მარი მოგვითხოვთ 1904 წელს შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს. ნიკო მარი მოგვატარებს შავშთა და კლარჯთა სოფლებს, გვაცნობს აქაური მატერიალური კულტურის ძეგლებს, მოსახლეობას, მათ ყოველდღიურ ყოფას, მეტყველებას, ფოლკლორს... „დღიურები“ თითქმის 80 წლის განმავლობაში იყო ერთადერთი სანდო წერო ე.წ. იმერენეული დიალექტისა და შავშთა და კლარჯთა ფოლკლორისა და ყოფის შესასწავლად. წიგნს დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული და ისტორიული დირებულება.

სახულის ქართული მონასტერი

პროფესორმა რევაზ დიასამიძემ კიდევ ერთი სასიკეთო საქმე გააპეთა. ქართულად თარგმნა და მკითხველ საზოგადოებას მიაწოდა ნ. მ. შუგუროვის ნაშრომი: „ხახულის ქართული მონასტერი“. შესავალი წერილი ეპუთვნის პროფესორ ჯემალ გარშალომიძეს.

ნარკვევის ავტორი, პორტენი ნ. მ. შუგუროვი მოგვითხოვთ ხახულის ქართული მონასტრის მდგომარეობაზე XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც იგი მუშაობდა ხახულის მმართველად. ნაშრომში მკითხველი ასევე ნახავს ცნობებს იმ პერიოდის ხახულის ოქმის ყოფისა და ყოველდღიურობის შესახებ.

მუპაჯირობა სახმრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX საუკუნის 30-80-იანი წლები)

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ის გამომცემლობამ დასტამბა, პროფესორ ჯემბერ ვარდმანიძის უაღრესად საინტერესო მონოგრაფია „მუპაჯირობა სახმრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX საუკუნის 30-80-იანი წლები)“

ნაშრომი სამხრეთ-დასავლეთ საქართვლოს ისტორიის აქტუალურ პრობლემებს ეხება. XIX საუკუნის საქართველოს მუპაჯირობის რამდენიმე ტალღამ გადაუარა. ავტორი განიხილავს სამცხე-ჯავახეთიდან და აჭარიდან გადასახლების ისტორიას, მრავალრიცხოვანი საარქივო დოკუმენტის და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე აანალიზებს XIX საუკუნის 30-80-იან წლებში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებს.

წიგნში თანმიმდევრულად არის განხილული მუჭაჯირობის წინაპირობები, მიმდინარეობა, შედეგები, თანადროული საზოგადოებრივი აზრი და სხვა არსებითი საკითხები, გაანალიზებულია ოსმელეთის და რუსეთის იმპერიების როლი მოსახლეობის აყრა-გადასახლების საქმეში.


შავშერი ჩანაწერები

გამომცემლობა „ჰოროსი XXI“ მა დასტამბა ნაყოფიერი მკვლევარის, პროფესორ მამია ფადაგას ნაშრომი „შავშერი ჩანაწერები“ (ბათუმი, 2013 წელი). წიგნში ავტორი მოგვითხრობს ოურქეთის საქართველოში საველე ექსპედიციების (2005, 2009, 2010) შთაბეჭდილებებს, ნახულსა და განცდილს, საუბრობს ექსპედიციის წევრებისა და ჭოროხის ხეობის მკვიდრ ქართველებზე, ხალხზე, რომელთაც მთის ფერდობებზე გაუშენებიათ სოფლები, დაუცავთ ქართული ენა და ქართული ყოფა...

წიგნში ასევე საუბარია თურქეთის საქართველოში გაბნეულ მატერიალური კულტურის ძეგლებზე, მათ მდგომარეობაზე...

შავშეთი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით



ბათუმელმა მკვლევარებმა გამოსცეს ვრცელი მონოგრაფია ისტორიული სამხრეთ საქართველოს კიდევ ერთი „ქვეყნის“- შავშეთის შესახებ (ავტორები: მამია ფადაგა, თონა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტკარაძე, მაია ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე).

საველე ექსპედიციების დროს შეკრებილ მასალებზე, ისტორიულ და სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით ავტორები ცდილობენ შექმნან შავშეთის ქვეყნის ერთიანი სურათი, კერძოდ, ნაშრომში პირველადია შესწავლილი შავშეთის ისტორია, მატერიალური კულტურის ძეგლები, ეთნოლოგიური ყოფა, ფოლკლორი, ტოპონიმია, შავშერი დიალექტი... წიგნს ერთვის ფოტომასალა, შავშეთის რუკა და დიალექტური და ფოლკლორული მასალები ლექსიკონითურთ.

აჭარის ლიგის ვრცელი და მოკლე დავთრები

„შ.პ.ს გამომცემლობა ORIENT“-მა დასტამბა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისათვის უაღრესად საჭირო წიგნი „აჭარის ლიგის ვრცელი და მოკლე დავთრები“ (თბილისი, 2016 წელი). ოსმალური ტექსტის თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები ეკუთვნით ზაზა შაშიძაძეს და მორიან მახარაძეს. მათვე ეკუთვნით ფოტომასალაც.

ნაშრომში წარმოდგენილი დოკუმენტები, რომლებიც დაცულია თურქეთის არქივებში, დიდი მეცნიერული დირებულებისაა. აქ წარმოდგენილი მასალები განსაკუთრებით საინტერესოა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად. იგი არანაკლებ საინტერესოა თვით ოსმალეთის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის თვალსაზრისითაც. წიგნი განკუთვნილია აღნიშნული მხარის და საერთოდ, საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის, ზოგადად აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

თავს ჯე ღ პ ზო

1. **თამაზი ფუტკარაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს სამსახურის უფროსი;
2. **ქეთეგან ფუტკარაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;
3. **თეა ქათამაძე** – ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, ადრიცხვისა და სამეცნიერო საცნობარო აპარატის განყოფილების უფროსი;
4. **ზურაბ ბერიძე** – ფილოლოგი;
5. **სოსო სტურუა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე;
6. **რამაზ სურმანიძე** – პროფესორი; მედიცინის დოქტორი;
7. **ფრიდონ ქარდაგა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
8. **მზია სურმანიძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
9. **ნინო გოგიტიძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
10. **ელგუჯა ჩაგანავა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს სამსახურის უფროსი.

Our Authors:

1. **Tamaz Phutkaradze** – professor of Batumi Shota Rustaveli State University; Head of service of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
2. **Ketevan Phutkaradze** – doctoral student of Shota Rustaveli State University;
3. **Tea Katamadze** – Kutaisi Central Archive, head of the registration of providing preservation and scientific-informational data system of the National Archives fonds;
4. **Zurab Beridze** – Philologist;
5. **Soso sturua** - deputy head of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
6. **Ramaz Surmanidze** – professor; MD;
7. **Fridon Kardava** – main specialist of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
8. **Mzia Surmanidze** – main specialist of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
9. **Nino Gogitidze** – main specialist of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
10. **Elguja Chaganava** - Head of service of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration.

თემატიკური სახელმწიფო განათლებისა და კულტურული მოღელი საქართველოში (1750-1850 წლებში).....

- თამაზ ფუტკარაძე/ქეთევან ფუტკარაძე – აკადემიური განათლებისა
და ცოდნის გაცვლის ეროვნული მოღელი საქართველოში (1750-1850
წლებში).....
- თემაზ ქათამაძე – ისევ ძველი ბათუმის რამდენიმე სახლის
ისტორიისათვის.....
- ზურაბ ბერიძე – უსამართლობის მსხვერპლი
- სოსო სტურუა – საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი
ორგანიზაციის ბათუმის ჯგუფი (1938 წელი).....
- რამაზ სურმანიძე - „ზღვის ცის“ ქვეშ შობილი გენია
- ფრიდონ ქარდავა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
1919-1920 წლები (ფონდი ი-84 –ის (კოლექცია) მიმოხილვა)
- მზია სურმანიძე/ნინო გოგიტიძე – ბათუმის საქალაქო სასწავლებელთან
არსებული მუზეუმის მოკლე გზამკვლევი (საარქივო დოკუმენტების
საფუძველზე)
- ელგუჯა ჩაგანაგა – მახუნცეთის ხიდი.....
- ქეთევან ფუტკარაძე – ინტერკულტურული განათლება ქართულ
საგანმანათლებლო სივრცეში
- მოგონებები – სტეფანე ქემხაძე – საუბარი უცნობთან.....
- საარქივო დოკუმენტური წყაროები.....
- რეცენზია.....
- ახალი წიგნები.....



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; universal@internet.ge